აბასანძე ზუგდიდში მომხდარ მკვლელობას ტერაქტად აფასებს A2

არშემდგარი სახელმწიფო კი არა, არშემდგარი პოლიტიკური ელიტა A3

ქვეყანა ღრმა საბიუჯეტო კრიზისშია A4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 24 ივნისი, 2003 წელი. №171 (383)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის გაერთიანების იმედს არ კარგავს

"მე ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნდა, რომ ოპოზიციას სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაედგა გაერთიანებისკენ და, მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, ჯერაც არ მაქვს ბოლომდე იმედი დაკარგული," – განაცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ.

A3

## ეკონომიკა

### სავალუტო ფონდი მთავრობასთან ოფიციალურ შეხვედრებს იწყებს

გუშინ, გვიან ღამით, თბილისში ჩამოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია პაოლო ნეუჰაუზის ხელმძღვანელობით. როგორც სახელმწიფო კანცელარიიდან იტყობინებიან, საქართველომ არ შეასრულა ფონდის რამდენიმე რეკომენდაცია.

A4

## უცხოეთი

### "არჩევნები სომხეთში არ ჩატარებულა"

"24 საათის" სტუმარია ალექსანდრე არზუმანიანი, "სომხურ-თურქული შერიგების კომისიის" თანათავმჯდომარე და სომხეთის ეროვნული მოძრაობის (ტერ-პეტროსიანის პარტია) თავმჯდომარე. 1996-98 წლებში მას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

A5

## საზოგადოება

### „ვაი ბრმებს, ბრმა-ყრუების ქვეყანაში!"

მეხუთე დღეა პარლამენტის მიმდებარე სკვერში ყველაზე ჩუმი საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 15 ადამიანი - სავარძელს მიჯაჭვულნი, ბრმები, ყრუ-მუნჯები სახელმწიფოსგან ყურადღებას ითხოვენ.

A6

## სამართალი

### უშიშროებამ ესპანელ ბიზნესმენთა გამტაცებელი დააკავა

"არ ვიცით, ვინ იყვნენ გამტაცებლები – ბანდიტები, ტერორისტები თუ მაფიოზები, მაგრამ ის ზუსტად ვიცით, რომ პანკისის ხეობაში დიდი და კარგად ორგანიზებული მაფია მოქმედებს. ჩვენი გამტაცებლები ამ ორგანიზაციის უბრალო, რიგითი წევრები იყვნენ," – განაცხადეს 373-დღიანი მძევლობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ესპანელმა ბიზნესმენებმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას...

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | |
| ქუთაისი | 19 | |
| ბათუმი | 18 | |
| სოხუმი | 18 | |
| ფოთი | 18 | |
| თელავი | 22 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 19 | |
| ახმეტა | 22 | |
| ჭიათურა | 19 | |
| გაგრა | 19 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

# ღირს თუ არა ავთანდილ ჯორბენაძის ვაშინგტონში გამგზავრება

ეკა კვესიტაძე
*ვაშინგტონიდან*

ივნისის თვე ვაშინგტონში ქართული დელეგაციების ვიზიტებით საკმაოდ დატვირთული გამოდგა. პარლამენტის თავმჯდომარეს ფეხდაფეხ მოჰყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თვის ბოლოს, თითქმის ათდღიან ვიზიტს გეგმავდა სახელმწიფო მინისტრიც, მაგრამ ბოლო მომენტში ჯორბენაძემ ჩამოსვლა გადაიფიქრა. ვიზიტის გადადების მიზეზი გაურკვეველი დარჩა ისევე, როგორც გაურკვეველი დარჩა 17-კაციან დელეგაციასთან ერთად სახელმწიფო მინისტრის ვაშინგტონში სტუმრობის მიზანიც.

ვაშინგტონში სერიოზული ეჭვი გაჩნდა, რომ ჯორბენაძეს ჩამოსვლის სურვილი პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის შემდეგ გაუჩნდა. საინტერესო დეტალია, რომ ბურჯანაძის ეს ვიზიტი პროსახელისუფლებო ძალებმა ძალზე წარუმატებლად მონათლეს. როგორც ჩანს, ირინა სარიშვილისთვის კოლინ პაუელი საკმაოდ მაღალი დონე არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ჩათვალა, რომ პროსახელისუფლებო ძალთა დელეგაციას, რომლის წევრი თვითონაც უნდა ყოფილიყო, თავად ჯორჯ დაბლიუ ბუში მიიღებდა. უხერხული მომენტი კი მაშინ გაჩნდა, როცა ავთანდილ ჯორბენაძემ აღმოაჩინა, რომ არათუ ჯორჯ დაბლიუსთან, არამედ თვით კოლინ პაუელთანაც კი თითქმის გამორიცხული იყო შეხვედრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაპირისპირება „ნაციონალებსა" და „ლეიბორისტებს" შორის

ბელა მახარაძე

*"ბატონო შალვა, ნუ იპარავთ ფულს პატივცემულ ინჯიას ხელით ხალხის ჯიბეებიდან!" "ინჯია, ნუ გვართმევ უკანასკნელ თეთრებს!" "ინჯია-ნათელაშვილო, ჩამოგვეხსენით!" "შალვა, რა მოუგე ეი-ი-ეს თელასს ხალხისთვის!".*
*ამ ფრაზებით აჭრელებული პლაკატები გუშინ თხუთმეტამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ და "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებმა ელექტროკავშირის შენობის წინ გაშალეს და "ლეიბორისტთა" ლიდერის, შალვა ნათელაშვილისაგან პასუხს ელოდნენ. ნათელაშვილი და ინჯია გუშინდელი საპროტესტო აქციის მთავარი გმირები იყვნენ, მაგრამ იქ არ გამოჩენილან.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*"ლეიბორისტებსა" და "ნაციონალებს" შორის საუბარი, სოციალური პრობლემებიდან, პოლიტიკურ ბრალდებებში გადაიზარდა.*

# „დავიცვათ პარლამენტი გიჟებისგან!"

## "მამალაძის ხალხი" წინასაარჩევნო "ფსიქოტროპულ" კამპანიას აჩაღებს

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ერთიანობის ალიანსი", რომლის თანათავმჯდომარეც პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ლევან მამალაძეა, საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის - ორგანიზაციის მესვეურები დეპუტატობის კანდიდატების და საჯარო სამსახურში შემსვლელთა ნარკოლოგიურ და ფსიქოლოგიურ შემოწმებას ითხოვენ.*

ვერიკო თევზაძე

**"ჩვენ შევხვდით რამდენიმე ფსიქიატრს, რომელთაც დავითაშვილის, მაღლაფერიძის და კიდევ სხვა რამდენიმე დეპუტატის ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეისწავლეს და თქვეს: ამ ადამიანებს პარლამენტში რა უნდათ, ასათიანზე უნდა მკურნალობდნენო... სააკაშვილს, დამეთანხმებით, ექიმის თვალი არ სჭირდება, ფსიქოლოგიურად იმდენად გაუწონასწორებელია. მის გარშემო მყოფი ხალხიც კი მის ზნეზე გადავიდა. იგივე დაემართა ჟვანიასაც. ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. ჟვანიას ფერზე ყურადღებას არ გავამახვილებ, მაგრამ ფაქტია, რომ ზნე იცვალა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთ გიჟს შეუძლია, თავის გარშემო მყოფი ხალხი გააგიჟოს... ამიტომ, ჩვენი მოთხოვნაა, საქართველოს პარლამენტი დავიცვათ გიჟებისგან,"** – "საქართველოს ერთიანობის ალიანსის" გენერალური მდივანი ლერი გელენავა, ნარკოლოგიური და ფსიქოლოგიური შემოწმების გარდა, დეპუტატობის კანდიდატებისგან ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციის წარდგენას ითხოვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პროგნოზები უმადური საქმეა

## ანტირეკორდი 36 წლის შემდეგ




REUTERS

*პირველი სენსაცია - "უიმბლდონის" შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა.*

# ანკარამ ევროკავშირში გასაწევრიანებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა

რევაზ ბახტაძე

თესალონიკში ახალახან გამართული ევროკავშირის სამიტიდან თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოგანი და საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული დაიმედებულები ჩამოვიდნენ. "ამგვარი ატმოსფერო ადრე არასოდეს ყოფილა. შენიშვნები, განცხადებები – ყველაფერი პოზიტიური იყო", - განაცხადა ანკარაში დაბრუნებულმა აბდულა გულმა.

ევროკავშირმა განაცხადა, რომ 2004 წლის ბოლოს თურქეთის მიერ გატარებულ რეფორმებს შეაფასებს და ანკარასთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# გრიგოლ ხურცილავას საბრალდებო დასკვნამ კმაყოფილება მოჰგვარა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას მოსამართლე ნანა გუგუნაშვილი განაჩენს ორ კვირაში გამოუტანს. სახელმწიფო ბრალმდებლებმა კი, რომლებიც დასკვნით სიტყვას რამდენიმე საათის განმავლობაში კითხულობდნენ, წინასწარი და სასამართლო გამოძიების დეტალები თითქმის მთლიანად მიმოიხილეს და განსასჯელისთვის 13-წლიანი პატიმრობა მოითხოვეს სასჯელის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით. ხურცილავს ადვოკატი მოსამართლისგან მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მხოლოდ ოთხწლიანი პატიმრობის დაწესებას ითხოვს.*

**"კატეგორიულად გამოვრიცხავთ სანაიას მკვლელობის პოლიტიკურ მოტივს და დაკვეთილი მკვლელობის ვერსიას",** –ასეთია სახელმწიფო ბრალდების საბოლოო დასკვნა. პროკურორებმა გუშინ ხურცილავას იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების ბრალდება მოუხსნეს. **"ხურცილავამ მკვლელობა სექსუალური შეურაცხყოფის ნიადაგზე ჩაიდინა"** - ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე დასახელებული მკვლელობის მოტივი გაიზიარა და სანდოდ მიიჩნია. გუშინ საბოლოოდ დაემთხვა პროკურორებისა და ადვოკატის პოზიცია, თუმცა მხარეები ერთ საკითხში გუშინაც ვერ შეთანხმდნენ: ადვოკატ დავით დადიანის

გაგრძელება A7 გვერდზე

# კანცელარია-პარლამენტი – ეპისტოლარული დიალოგი

ლელა მჭედლიძე

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაზე სსფ-ს აღმასრულებელი დირექტორის ჯორჯ კრემერსის წერილი მიიღო, ჯორბენაძემ სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა. ამ ზომებიდან ერთ-ერთი პარლამენტის თავმჯდომარისადმი წერილიც გახლდათ. ნინო ბურჯანაძესთან გაგზავნილ თავის უსტარს ავთანდილ ჯორბენაძემ თავად კრემერსის წერილიც დაურთო. **"დარწმუნებული ვარ, საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას,"** - ასე დაასრულა პარლამენტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი წერილი ჯორბენაძემ და სსფ-ს წინაშე აღებული პასუხისმგებლობის ნაწილიც, გარკვეულწილად, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს გადაულოცა. პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფო მინისტრის წერილის ტონი მოიწონა და ოფიციალური პასუხიც ისრაელში გამგზავრებამდე ასევე წერილობით გასცა: **"როგორც თქვენთვის ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან გამართული შეხვედრების**

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ტელევიზია დღეს ყველაფერს ცვლის, თითქოს უფალი ღმერთი იყოს"...

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში დასრულდა დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების პირველი საერთაშორისო სატელევიზიო კონფერენცია "მირ ნოვოსტეი". კონფერენციაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების 187 ტელეკომპანია მონაწილეობდა, მათ შორის - "რუსთავი 2".

მოსკოვის "დრამატული ხელოვნების სკოლის" თეატრის შენობაში ოთხი დღე გრძელდებოდა დისკუსია საინფორმაციო მაუწყებლობის მწვავე პრობლემებზე, ყოველდღე იმართებოდა პოპულარული რუსი ტელეკომენტატორებისა და ცნობილი ტელეჟურნალისტების მასტერკლასები.

"21-ე საუკუნე - ახალი ინფორმაციული წესრიგი" - ამ თემაზე გამართული დისკუსიის მოდერატორის, რუსეთის ტელევიზიის აკადემიის პრეზიდენტის, ვლადიმირ პოზნერის აზრით, **"უკვე სახეზეა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელისუფლებასთან შერწყმა-შეზრდის პროცესი. ახალ ამბებს სულ უფრო ხშირად აკონტროლებს ხელისუფლება - ასე ხდება რუსეთში, ასე ხდება ამერიკაშიც".**

**"დღეს მსოფლიო ისეთია, როგორიცაა ინფორმაცია მასზე,** - ასე ფიქრობს იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩეველი ჰენრიხ იუშკიავიჩუსი, - **ტელეინფორმაციები აღარ გვიყვებიან ავღანეთზე და ავღანეთიც გაქრა. ერაყის მოვლენებიც ამის დადასტურებაა. ის, რასაც "სი-ენ-ენი", "ბი-ბი-სი" და "ალ-ჯაზირა" გვიჩვენებდნენ, დიდი სატელევიზიო სპექტაკლი იყო".**

კონფერენციის სხდომების თემატიკა ერთობ მრავალფეროვანი იყო: "ჟურნალისტური გამოძიება", "პირდაპირი ეთერი", "როგორ ვაკეთოთ არამთავარი ამბები", "როგორ გავყიდოთ სარფიანად კარგი ამბები", "რა საჭიროა ახალი ამბების ბრენდი". დისკუსიებში მონაწილეობდნენ ცნობილი ჟურნალისტები: სავიკ შუსტერი, ევგენი კისელიოვი, სვეტლანა სოროკინა, ლეონიდ პარფიონოვი, ალექსეი ვენედიქტოვი, ვიქტორ შენდეროვიჩი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ეკოსკოპი

B2 რევიუ B3 ისტორია B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# აბსანძე ზუგდიდში მომხდარ მკვლელობას ტერაქტად აფასებს



გურამ აბსანძე მისი პარტიის წევრთა მკვლელობაში ხელისუფლებას ადანაშაულებს.

ლენა მიქაძე

“ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის” თავმჯდომარე გურამ აბსანძე 21 ივნისს, ზუგდიდთან თავისი პარტიის წევრების - მამუკა გვაზავას, მანუჩარ და თეიმურაზ ზარანდიების მკვლელობას ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტად აფასებს. აბსანძის განმარტებით, ხელისუფლებამ, ბოლო დროს, ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მომძლავრება ვერ აიტანა. აბსანძის მომხრეთა მკვლელობა კი, კიდევ ორი მიზეზით იყო განპირობებული. როგორც პარტიის თავმჯდომარე აცხადებს, ამ გზით, სამეგრელოში დესტაბილიზაციის შექმნა და მოახლოებული არჩევნების ჩაშლა იყო ჩაფიქრებული. მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში მამუკა გვაზავა აბსანძის პარტიის სახელით წალენჯიხის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად აპირებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, გარკვეული ზეწოლა, გარდაცვლილთა ახლობლებზეც იგრძნობოდა. დახოცილთაგან ერთ-ერთის მშობელი პოლიციელებმა პატიმრობის დროს ცემით მოკლეს. აბსანძე მკვლელების დროულად დაპატიმრებას ითხოვს. მისი განცხადებით, ზუგდიდის აღელვებულ მოსახლეობას, ჯერჯერობით, მისი პარტიის წევრები აკავებენ. თუმცა, როგორც იგი განმარტავს, თუ სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელები შესაბამის ზომებს ოპერატიულად არ მიიღებენ, იგი მოსახლეობის რაექციასა და, შესაბამისად, მოსალოდნელ არეულობაზე უკვე პასუხს ვეღარ აგებს.

# „დავიცვათ პარლამენტი ბიჭებისგან!“

პირველი გვერდიდან

**“ნარკოლოგიურ შემოწმებას აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხომ გაივლიან?”** – პირველი ეს იყო, რაც ჟურნალისტებმა გელენავას გამოსვლის შემდეგ იკითხეს. პრესამ ისიც შენიშნა, რომ გელენავამ (როგორც “მამალაძის კაცმა”) მხოლოდ თავისი ოპონენტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება და არაფერი თქვა თანაბლოკელ პოლიტიკოსებზე, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც (მათი საჯარო გამოსვლებიდან გამომდინარე) ნაკლებად საინტერესო არ უნდა იყოს.

ლერი გელენავა ამბობს, რომ მათ არც ერთ საპარლამენტო ფრაქციასთან წინასწარ მოლაპარაკება არ ჰქონიათ, მაგრამ იმედს იტოვებს, რომ **“სახელისუფლებო ბლოკი და მთელი რიგი ფრაქციებისა ამ ინიციატივას მხარს დაუჭერენ.”**

“საქართველოს ერთიანობის ალიანსი” თხოვნით მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს საარჩევნო კოდექსში და “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში ხსენებული ცვლილებების შეტანის თაობაზე.

“მამალაძის ხალხის” პროექტის მიხედვით, დეპუტატობის კანდიდატები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ ცნობას სამედიცინო-ფსიქიატრიული შემოწმების შესახებ. პროფესიონალი ექიმებით დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფი გააკონტროლებს, რამდენად ობიექტურად შეამოწმეს ესა თუ ის კანდიდატი.



გელენავამ, სავარაუდოდ, მამალაძის ინიციატივა გაახმოვანა.

“საქართველოს ერთიანობის ალიანსის” გენმდივანი გელენავა აცხადებს, რომ მათ ინიციატივას ხალხი მხარს უჭერს. “ხალხი” ამ შემთხვევაში - გურამ ყორღანაშვილის საზოგადოებრივი ორგანიზაცია “მოძრაობა სიცოცხლისთვის” და არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს უშიშროების და სამართალდაცვის ეროვნული ცენტრია.”

# ინტერფრაქციული ჯგუფი უკან არ იხევს

*ლეიბორისტების მიერ ინიცირებული და დეპუტატთა უმრავლესობის მიერ დაწუნებული საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფისათვის აქტუალობას მაინც არ კარგავს. იმის მიუხედავად, რომ კანონპროექტმა პირველ მოთელვასაც კი ვერ გაუძლო, მისი ავტორები და, მათთან ერთად, ფრაქცია “ტრადიციონალისტების” წევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ამ მოწვევის პარლამენტმა კონსტიტუციური ცვლილებები რიგგარეშე სესიაზე მაინც მიიღოს.*

თამარ ასათიანი

საკონსტიტუციო ცვლილებების ამ კონკრეტული პროექტის რეალურ მიზნებზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. ოპონენტთა აზრით, არჩევნების წინ პროექტის ფორსირებული ტემპით განხილვის დაჟინებული მოთხოვნა მხოლოდ ერთ რამეს ისახავს მიზნად – ეს მაჟორიტარებისთვის უფლებამოსილების გასაგრძელებლად იურიდიული საბაბის გამოძებნაა.

ამის მიუხედავად, ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარე ალექსანდრე შალამბერიძე დაჟინებით ითხოვს კანოპროექტის განხილვას და მიაჩნია, რომ ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელის საბოლოო განსაზღვრა და სენატისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღებისთვის ბრძოლა საერთოდ არ უკავშირდება მოახლოებულ არჩევნებს და **”მისი განხილვა არასდროსაა გვიან”.**

მოკლედ, კანონპროექტის გულშემატკივრები უკან არ იხევენ. მეტიც: რიგგარეშე სხდომამდე დარჩენილ დროში ისინი პროექტის ყველა ”შავი ხვრელის” ამოვსებას ცდილობენ. ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს: **”საპარლამენტო ფრაქციებს კანონპროექტის ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, გაუგებრობას იწვევს კანონპროექტის ნიუანსები და მისი ამოქმედების ვადები”.** მისივე თქმით, ჯგუფმა დაიწყო ფინანსური გაანგარიშება და იმ თანხის განსაზღვრა, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილების ასამოქმედებლად იქნება საჭირო.

გუშინ ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მუშაშეხვედრაზე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები მოიწვია და მათი აზრიც მოისმინა. თუმცა, მანამდე შალამბერიძემ დამსწრე საზოგადოებას კანონპროექტის არსი გააცნო და პოლიტიკურ მომენტებთან ერთად, მის ფინანსურ ასპექტებზეც გაამახვილა ყურადღება. **”ხარჯები შეუმცირდება როგორც პარლამენტს, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგან შემცირდება საპარლამენტო ფრაქციების, კომიტეტებისა და სპიკერატის, ასევე სამინისტროების რაოდენობა. რაც შეეხება პრეზიდენტს, მისი სამსახური დაკარგავს სახელმწიფო კანცელარიის ფუნქციებს და პირადად მას მოემსახურება”,** - განცხადა ჯგუფის ხელმძღვანელმა.

ამის მიუხედავად, ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ამ პროექტისადმი მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილები. ასე, მაგალითად, საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისიის წევრმა, იურისტმა დავით უსუფაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ ”კანონპროექტი ნახევარფაბრიკატია”, რომლის მიღება დაუშვებელია, თუმცა იქვე დასძინა, რომ არ იზიარებს აზრს, რომლის თანახმად, სახელმწიფოს სისტემური შეცვლა ნაადრევია, ვინაიდან ბევრი საკითხი მოქმედ კონსტიტუციაში ღიად არის დატოვებული. იგი მომხრეა ქვეყნის მოწყობის მოდელის საბოლოო განსაზღვრისა, ოღონდ არა იმ დაუხვეწავი პროექტის საფუძველზე, რომელიც ინტერფრაქციულმა ჯგუფმა შეიმუშავა.

გუშინ უსუფაშვილმა პარლამენტარებს ურჩია, მაქსიმალურად დაიცვან საკონსტიტუციო ცვლილების მიღების პროცედურები, **”რადგან შესაძლოა, რაიმე დარღვევის შედეგად საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება ეჭვქვეშ დადგეს”.**

# თბილისი - სოჭის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენას, სულ რაღაც, წელიწადნახევარი სჭირდება

შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის განცხადებით, თბილის-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენისთვის არანაკლებ 1,5 წელია საჭირო.

მისივე თქმით, ამ მიმართულებით მოძრაობის განახლებისთვის არა მარტო ტექნიკური სამუშაოების ჩატარება, არამედ უსაფრთხოების უზრუნველყოფაა მისაღწევი.

თბილისი-სოჭის მაგისტრალზე აღსადგენია ინგირი-სოჭის 195-კილომეტრიანი მონაკვეთი.

„საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ ამ მონაკვეთზე რთული სამუშაოებია ჩასატარებელი, რადგან აფეთქებულია ორი დიდი სარკინიგზო ხიდი, ერთი მათგანი - ყველაზე დიდი, 450-მეტრიანი ხიდი მდინარე ენგურზე. განადგურებულია სალხინო-გალის მონაკვეთის ლიანდაგი, რომელიც თავიდანაა დასაგები.

რუსეთის, აფხაზეთის და საქართველოს მხარეები უახლოეს მომავალში ჩამოაყალიბებენ საპროექტო ჯგუფებს, რომლებიც გაემგზავრებიან ადგილზე და შეისწავლიან მაგისტრალის მდგომარეობას, ასევე გაიანგარიშებენ აღდგენისთვის საჭირო ფინანსურ ხარჯებს. **მედია-ნიუსი.**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს დელეგაცია, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით, გუშინ სევანში, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ თბილისის ორგანიზაციამ დედაქალაქის საკრებულოს დათხოვნის მოთხოვნით თბილისის მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა“ (ლიდერი მანანა არჩვაძე-გამსახურდია) მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს.

როგორც ცნობილია, საარჩევნო კანონპროექტის ე. წ. შეთანხმებული ვარიანტი ცესკო-ში ყოფილი უზენაესი საბჭოს ერთი წარმომადგენლის შეყვანას ითვალისწინებს. ”ცესკო-ში ადგილის მიღება, ფაქტობრივად, არჩევნებში მონაწილეობასა და საოკუპაციო ხელისუფლების აღიარებას ნიშნავს,” - აცხადებენ ”მრგვალი მაგიდის” წარმომადგენლები და მომავალ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომამ. საქართველოს დელეგაციას კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელი ირაკლი მაჭავარიანი ხელმძღვანელობს. კომისიის თანათავმჯდომარეები 25 ივნისამდე იმუშავებენ და, ძირითადად, ქართველი და ოსი სამართალდამცავების ერთობლივი საკონტროლო ცენტრის ამოქმედების საკითხებზე იმსჯელებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ გუშინ განაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტის ნებისმიერი მცდელობა როგორც აფხაზ, ასევე ქართველ ხალხს კატასტროფამდე მიიყვანს.

“უფრო მეტიც, თუ თბილისი აფხაზეთში ახალ ომს დაიწყებს, ამას, პირველ რიგში, ქართული სახელმწიფოს დაშლა მოჰყვება”, - განაცხადა მან საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას იმის თაობაზე, რომ ქართულმა მხარემ აფხაზეთში თავისი იურისდიქციის ძალისმიერი გზით აღდგენის გეგმა შეიმუშავა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პარლამენტის საგანგებო სხდომას მოიწვევს, რომელზეც საარჩევნო კოდექსთან ერთად, სხვა კანონპროექტების განხილვაც მოხდება. ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში თქვა, რომ პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევა საჭიროა, რადგან “დრო აღარ ითმენს”. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი,** თბილისი გამოდის ინიციატივით, რომ კოდორის ხეობაში პატრულირებისას, გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების უსაფრთხოება, დსთ-ს კოლექტიურ სამშვიდობო ძალებთან ერთად, ქართველმა სამხედროებმაც უზრუნველყონ. ამის შესახებ დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე მსუბუქი ბრიგადის დაარსებიდან მე-11 წლისთავთან დაკავშირებით, დღეს, ქუთაისში, მისი დისლოკაციის ადგილას საზეიმო ღონისძიება გაიმართება. ცერემონიაზე თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ბრიგადის პირადი შემადგენლობის დათვალიერებას მოაწყობს. **პრაიმ-ნიუსი**

# დაპირისპირება „ნაციონალებსა“ და „ლეიბორისტებს“ შორის

პირველი გვერდიდან

“ლეიბორისტების” წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე შეკრებილი ხალხი, გუშინ, ახალი ქსელების სატელეფონო საუბრის წუთობრივი გადასახადის გაუქმებას ითხოვდა. შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციები და “ნაციონალების” აქტივისტები, სიმცირის მიუხედავად, საკმაოდ ხმაურობდნენ და გამვლელთა ყურადღებას იქცევდნენ. აქციის მონაწილეები გუშინ ნათელაშვილს, ინჯიასთან ერთად, ბრალს კორუმპირებულობაში სდებდნენ. **“ვერ გაგვიგია, რანაირი შრომის პარტიის ლიდერია ნათელაშვილი, როცა მშრომელ ხალხს უკანასკნელ თეთრებს გვაცლის ჯიბიდან ინჯიას ხელით?”** - მხარდამჭერებს ერთსულოვნებისკენ მოუწოდებდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე. გუშინდელ საპროტესტო აქციას ორგანიზებას გიორგი არევაძე - “ნაციონალური მოძრაობის” რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე უწევდა. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეთა მოთხოვნა – ინჯიას და ნათელაშვილს პასუხი გაეცათ მათ კითხვებზე - არ დაკმაყოფილდა, გადაწყვიტეს, თავად მიეკითხათ “ლეიბორისტებისთვის” და იქ მაინც მიეღოთ პასუხი.

“ნაციონალების” დროშებით ხელდამშვენებულ სტუმრებს მასპინძელი “ლეიბორისტები” ქუჩაში შეეგებნენ. მართალია, “ლეიბორისტები” ერთმანეთს არიგებდნენ: პროვოკაციას არ ავყვეთო, მაგრამ სტუმართა მოახლოებამ ისე აღაშფოთა ისინი, თავშეკავება უმალ დაავიწყდათ და ყველანი, გიორგი გუგავას ხელმძღვანელობით, პასუხების გაცემაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ვალში არც “ ნაციონალები” დარჩენილან და მასპინძლებს კონკრეტულ პასუხებს სთხოვდნენ. **“ჩვენ გვინდა, ინჯიამ პასუხი გაგვცეს!”** – დაჟინებით ითხოვდა “ლეიბორისტ” ინჯიას ნახვას ერთ-ერთი აქტივისტი, **”ბატონი ფრიდონ ინჯია პარლამენტში მუშაობს”,** - ინჯიას მისამართი შეახსენა ერთ-ერთმა “ლეიბორისტმა”. **“ხალხო, პარლამენტის წინ აქციის მოწყობისკენ გვიბიძგებენ ლეიბორისტები,”** - ვითარება გააცნო ხალხს ახალგაზრდა მამაკაცმა. **“აი, თუ არ ხართ პროვოკატორები,”** - სიტყვაზე დაიჭირა “ლეიბორისტმა” ახალგაზრდა.

“ლეიბორისტებსა” და “ნაციონალებს” შორის საუბარი, სოციალური პრობლემებიდან, სულ მალე პოლიტიკურ დაპირისპირებაში და ბრალდებებში გადაიზარდა. **“თქვენ ხართ შევარდნაძის სატელიტი პარტია, წადით და თქვენს მამა-მარჩენალს მოკითხეთ პასუხი,”** - ამბობდა გიორგი გუგავა. რაღა თქმა უნდა, არც “ნაციონალებმა” დააყოვნეს პასუხი და სანაცვლოდ შეახსენეს: **“ვისი ყოფილი მინისტრია ინჯია?”**

ცოტა ხნის შემდეგ, პოლიტიკური მოთხოვნა არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ გააჟღერა, **“თუ ოპოზიცია ხართ, გაერთიანდით, გაერთიანდით!”** ითხოვდა “ლეიბორისტებისაგან” ქალბატონი. ეს მოთხოვნა არ გამოპარვია გიორგი გუგავას და პასუხიც უმალ დაუბრუნა, **“ვისთან გვთხოვთ გაერთიანებას, შევარდნაძესთან?”** ამ მოთხოვნა–პასუხებისგან დაღლილმა აქტივისტებმა მალე გადაწყვიტეს დაშლა. მათ მასპინძლებიც დაეხმარნენ, **“როგორც მოსვლით გაგვახარეთ, ისე წასვლით გაგვახარეთ,”** - აცილებდა ახალგაზრდა “ლეიბორისტი” სტუმრებს. **“სად უნდა წავიდე შვილო, აქა ვცხოვრობ. შენ წადი, თუ კარგია,”**- უპასუხა გაუგებრობაში შემთხვევით მოყოლილმა ქალბატონმა.

სტუმრების გაცილების შემდეგ გუგავამ საგანგებო ბრიფინგი გამართა. გუგავას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით “ნაციონალების” დაბალ რეიტინგს უკავშირდება, რამაც ისინი **“აგონიაში ჩააგდო”. “შევარდნაძემ და მისმა სატელიტმა პარტიებმა მამა-მარჩენალ არქიფოსაგან დავალება მიიღეს - მოეწყოთ უსუსური აქცია “ლეიბორისტთა” წინაღმდეგ,”**- აცხადებს გუგავა. მიუხედავად იმისა, რომ “ლეიბორისტები” “ნაციონალებს” კორუმპირებულობაში ადანაშაულებენ, გუშინ ხალხის სიმცირე გუგავამ ასე ახსნა: **“ალბათ, ფული არ ეყოთ, რომ მეტი ხალხი მოეყვანათ.”** რაც შეეხება გადასახადს, მათ იმედი აქვთ, რომ ისევე როგორც თელასს, ახალ ქსელებსაც მოუგებენ სასამართლოს. გუგავა გამორიცხავს ინჯიას ურთიერთობას ახალ ქსელებთან და, მით უმეტეს, ტარიფის გაძვირებასთან. **“კუდმოკლე და ჭკუამოკლე პოლიტიკოსების ანცობაზე შალვა ნათელაშვილი კომენტარს არ გააკეთებს,”**- ასე ახსნა გუშინ ნათელაშვილის დუმილი გუგავამ.

# კანცელარია-პარლამენტი - ეპისტოლარული დიალოგი

პირველი გვერდიდან

**დროს, საქართველოს პარლამენტის სახელით გამოვხატეთ მზადყოფნა, რომ უახლოეს პერიოდში დაგეგმილ საგანგებო სესიაზე განხილულ იქნება საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება და ლიბერალიზაცია. დღის წესრიგში ასევე გათვალისწინებული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ პროექტების რატიფიცირება (სოციალური ინვესტიციების ფონდის მე-2 პროექტი; სოციალური ინვესტიციების ფონდის პირველი პროექტის დამატებითი სესხი - თბილისში მიწისძვრით დაზიანებული განათლების ობიექტების რეაბილიტაცია) და “ფულის გათეთრების” კანონთან დაკავშირებული კანონპროექტები. იმედს ვიტოვებთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება მზად იქნება აღნიშნული საკანონმდებლო აქტების მხარდასაჭერად და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ვალდებულებების შესასრულებლად”.**

ფაქტობრივად, პარლამენტის თავმჯდომარემ თავისი წერილის ბოლო აბზაცში სახელმწიფო მინისტრისადმი საკმაოდ ზრდილობიანი მინიშნება გააკეთა იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება მხოლოდ პარლამენტისადმი წასაყენებელი მოთხოვნა თუ პირობა არ არის. პარლამენტის თავმჯდომარე საგანგებო სესიის მოსაწვევად მზად არის და როგორც აცხადებს, სასურველი შედეგის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დაიშურებს. მისი აზრით, ხელშეკრულებების რატიფიცირების საკითხი საგანგებო სხდომის დღის წესრიგში მომავალ კვირას შევა, როცა საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები საარჩევნო კოდექსზე შეთანხმდებიან... თუმცა, თუ საარჩევნო კოდექსისადმი საპარლამენტო ფრაქციების დამოკიდებულებას გავიხსენებთ, პარლამენტის თავმჯდომარის ასეთი ოპტიმიზმი, შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებულად ჩაითვალოს.

# "ტელევიზია დღეს ყველაფერს ცვლის, თითქოს უფალი ღმერთი იყოს"...

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტების დიდი დაინტერესება გამოიწვია დისკუსიამ თემაზე "ტრაგედია პირდაპირ ეთერში", რომელიც ერაყის ომის დროს ინფორმაციის გავრცელების თავისებურებებს მიეძღვნა. როგორ იმუშაონ ჟურნალისტებმა ცენზურის პირობებში? როგორ გაავრცელონ ინფორმაცია პანიკისა და სტრესის გამოწვევის გარეშე? ჟურნალისტი ტრაგედიის ფონზე - ამ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობდნენ რუსეთის "ვესტის" წამყვანი სერგეი ბრილიოვი, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელი ეროსი კიწმარიშვილი, "სი-ენ-ბი-სიდან" რობ რეინოლდსი, "ალ-ჯაზირადან" აკრამ ხაზამი ჟა, "ევრონიუსის" რუსული სამსახურის დირექტორი პიოტრ ფიოდოროვი.

კონფერენციის ბოლო დღეს შედგა მრგვალი მაგიდა - "ფრთხილად , არჩევნებია!" - დსთ-ს და ბალტიის რესპუბლიკებში წინსაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ახალი ამბების გაშუქების ტენდენციებზე. მრგვალი მაგიდა მიჰყავდათ ბორის ნავასარდიანს (ერევნის პრეს-კლუბი), გლებ პავლოვსკის (ეფექტური პოლიტიკის ფონდი) და ეროსი კიწმარიშვილს ("რუსათვი 2").

მოსკოვში დსთ-ს და ბალტიის სახელმწიფოთა ტელეკომპანიების პირველი საერთაშორისო კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი დევიზი რუსი მწერლის ალექსანდრ სოლჟენიცინის ციტატა იყო: "ტელევიზია დღეს ყველაფერს ცვლის, თითქოს უფალი ღმერთი იყოს. მაგრამ იგი ვერ შეძლებს დაკარგული კულტურული სივრცის კომპენსირებას".

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის გაერთიანების იმედს არ კარგავს

თამარ ხორბალაძე

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალური ვიზიტით ისრაელში გაემგზავრა. გამგზავრების წინ მან კომენტარი გააკეთა მომავალ საგანგებო სხდომასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტის საგანგებო სხდომა მისი ჩამოსვლის შემდეგ გაიმართება.

**“საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, იმედი მაქვს, მომავალი კვირისთვის შეთანხმებას მივაღწევთ. ამასთან, შესათანხმებელია რამდენიმე საკითხი – მათ შორის - ინვალიდების ინიციატივა, საგადასახადო ცვლილებები,”** – აღნიშნა მან.

პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ასევე კომენტარი გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას იმის შესახებ, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება:

**“პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს, თუმცა მიმაჩნია, რომ არსებობს მეტ-ნაკლები პასუხისმგებლობა. ხელისუფლებას ნამდვილად აქვს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე ოპოზიციას... ვფიქრობ, რომ ორივე მხარეს უნდა ესმოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ორივე მხარემ უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯები. თუმცა, მე რამდენადაც ვიცი, ძალიან ხშირად, ეს ნაბიჯები ოპოზიციის მხრიდან გადადგმული იყო და ძალიან ჭირდა საპასუხო ნაბიჯების გადადგმა სახელისუფლებო ბლოკის მხრიდან,”** – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ პრეზიდენტსაც და ოპოზიციასაც მან დიალოგისკენ მოუწოდა.



ნინო ბურჯანაძე: "საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, იმედი მაქვს, მომავალი კვირისთვის შეთანხმებას მივაღწევთ."

ბონდო ბაზაიძის ფოტო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საკუთარი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას, ჯერჯერობით, არ აპირებს. **“დამოუკიდებლად მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვების იმედი ნამდვილად მაქვს. რაც შეეხება უფრო სერიოზულად მოსვლას, მე ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნდა, რომ ოპოზიციას სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაედგა გაერთიანებისკენ და, მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, ჯერაც არ მაქვს ბოლომდე იმედი დაკარგული. თუ ეს ვერაფრით ვერ მოხერხდა, შეიძლება სხვადასხვა ვარიანტებზე ფიქრი, თუმცა ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია პარტიის ჩამოყალიბება ამ მცირე ვადებში,”** – განაცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ.

# ღირს თუ არა ავთანდილ ჯორბენაძის ვაშინგტონში გამგზავრება

პირველი გვერდიდან

ამ უხერხულ დეტალთან ერთად სახელმწიფო მინისტრის სტუმრობას ძალზე არასახარბიელო ფონი შეუქმნა არასამთავრობო სექტორის დელეგაციამაც, რომელსაც გია ნოდია, თინიკო ხიდაშელი, კახა ლომაია და გიგა ბოკერია წარმოადგენდნენ. მათ შეხვედრები გამართეს სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტებში, უშიშროების საბჭოს მდივან კონდოლიზა რაისის, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის, გავლენიანი სენატორების ბრაუნბეკისა და ჰეიგელის თანაშემწეებთან, წამყვანი ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლებთან; ჰქონდათ საჯარო გამოსვლა კარნეგის ცენტრში.

ყველა შეხვედრის და გამოსვლის დროს მათ დეტალურად აღწერეს ის ძალადობა, რომელსაც მიმართავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ახალგაზრდული და ოპოზიციური მოძრაობის წინააღმდეგ. ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლის მოგვარებას ხელისუფლება არ აპირებს და რომელიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას (პირველ რიგში, კი ხაზი გაესვა დაუზუსტებელი საარჩევნო სიების არსებობას და მიკერძოებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნას).

ამ ფონზე სახელმწიფო მინისტრს, ჩამოსვლის შემთხვევაში, დამაჯერებელი არგუმენტების მოძიება დასჭირდებოდა იმ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, რომელსაც მას აქ ყველა შეხვედრაზე დაუსვამდნენ - დაწყებული სახელმწიფო დეპარტამენტიდან, დამთავრებული კონგრესით.

ის არგუმენტი, რომ ქვეყანაში ძალიან დაძაბული სიტუაციაა და ნებისმიერ მშვიდობიან დემონტრაციასაც კი უცხო ძალები დესტაბილიზაციის მოსაწყობად გამოიყენებენ, ნამდვილად არ იქნება საკმარისი ხელისუფლების საქციელის ასახსნელად. ჯორბენაძე ვერავის დაუმტკიცებს, რომ სწორედ სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით აცხადებს ქვემო ქართლის გუბერნატორი, "ჩემს ტერიტორიაზე" ოპოზიცია ცხვირსაც ვერ შეყოფსო და სწორედ ამ მიზანს ემსახურება თელავის გამგებლის ღიად გაკეთებული განცხადებაც, რომ კმარას აქტივისტებს უარესს უზამს, ვიდრე ეს მუცელზე "კმარას" ამოკაწვრაა; რომ ეს ყველაფერი მისაღებია, რადგან ამ ეტაპზე სტაბილურობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

მართალია, დიდი ხნის განმავლობაში "სტაბილურობის არგუმენტი" ამერიკელებზე კარგად სჭრიდა და ამის გამო, ვაშინგტონში გარკვეულ კომპრომისებზეც მიდიოდნენ, მაგრამ დღეს აქ უკვე ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოში, სადაც ავტორიტარული რეჟიმის შესაქმნელად არც ხელიუფლებას ეყოფა რესურსები და ამას არც სამოქალაქო საზოგადოება დაუშვებს, სტაბილურობის გარანტი არა შევარდნაძე, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაა. ხოლო უუნარო, კორუმპირებული რეჟიმის შენარჩუენება ნამდვილად გამოიწვევს სერიოზულ სოციალურ და სამოქალაქო პროტესტს და დემოკრატიული არჩევნები ერთადერთი გამოსავალია იმ ჩიხიდან, რომელშიც ქვეყანა ხელისუფლებამ შეიყვანა.

ხოლო თუ სახელმწიფო მინისტრს იმედი ჰქონდა ან კიდევ აქვს, რომ ხელისუფლების მიერ შეთხზული კონსპირაციული თეორიების პოპულარიზებას შეძლებს ვაშინგტონში, რომ "კმარა" რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იმართება, რათა ქვეყანაში არეულობა გამოიწვიოს, მაშინ სერიოზული იმედგაცრუება ელის. ამერიკელებს ნამდვილად ვერავინ გააკვირვებს მშვიდობიანი დემონსტრაციებით და მანიფესტაციებით, მითუმეტეს, როცა ის დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებების დაცვას ემსახურება. ამიტომ, აქ ყველა სიმპატიით არის განწყობილი სტუდენტური მოძრაობის მიმართ და, საერთოდ, ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ საქართველო სწორედ იმით განსხვავდება დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან, რომ აქ ახალგაზრდებს დემოკრატიის მთავარი ფასეულობების დაცვა შეუძლიათ.

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრს არ უნდა დაავიწყდეს ის არც თუ უმნიშვნელო დეტალი, რომ ამერიკის ხელისუფლებაში ფრიად შეშფოთებულები არიან პროსახელისუფლებო ბლოკით, რომელშიც ვაშინგტონისთვის ბევრი მიუღებელი ადამიანი შედის. ამიტომ, აპრიორი, ის ყველა შეხვედრაზე უკვე წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდებოდა.

ხოლო თუ ავთანდილ ჯორბენაძე ვაშინგტონში ჩამოსვლას მაინც გეგმავს, რადგან იმედი აქვს, ამ ვიზიტით გადაწყვეტილებას შეაცვლებინებს სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს, რათა "ქვეყნისათვის ამ საპასუხისმგებლო მომენტში", ვალდებულებების შესრულების გარეშე, დახმარება აღგვიდგინონ, ამ იმედს არანაირი ობიექტური საფუძველი არ აქვს.

საქართველოში ხელმოცარული დაბრუნების შემთხვევაში კი, ჯორბენაძეს ძალიან გაუჭირდება იმის ახსნა, თუ რა საჭირო იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამხელა ხარჯის გაღება და ამერიკის დედაქალაქში 17-კაციანი დელეგაციის ერთი კვირით დაფინანსება. ასეთი ხალხმრავალი და ასე ხანგრძლივი დროით დელეგაციის ვიზიტმა გაკვირვება გამოიწვია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტშიც.

ასე რომ, სახელმწიფო მინისტრი უდავოდ ბრძნულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ ამ ვიზიტს არათუ გადადებს, არამედ საერთოდ გააუქმებს.

# პრეზიდენტს ქუჩაში შუქის მოთხოვნით გამოსვლაც აღიზიანებს

რადიოინტერვიუ

თამარ ხორბალაძე

### პუტინის ˝გაწონასწორებულ˝ განცხადებაზე...

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ პირველი კომენტარი გაუკეთა რუსეთის პრეზიდენტის მიერ გასულ კვირაში გაკეთებულ განცხადებებს და მათ "საკმაოდ გაწონასწორებული" უწოდა.

შეგახსენებთ – ვლადიმირ პუტინმა გასულ პარასკევს განაცხადა, რომ **"საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის მოსახსნელად საქართველოს მხრიდან საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: საქართველოს ტერიტორიიდან შეწყდეს თავდასხმები მის მოსაზღვრე რუსეთის რაიონებზე"**.

გამოსვლაში, რომელიც საკმაოდ გაღიზიანებული ტონით გამოირჩეოდა, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთი მზადაა, საქართველოს **"დაეხმაროს ინფორმაციული, ფინანსური, პროპაგანდისტული კუთხით და თუ საჭირო გახდება, პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიაზე ბოევიკთა წინააღმდეგ ოპერაციებში"**.

ამასთან, პუტინის თქმით, ასეთი ინიციატივები საქართველოს მხრიდან არ ისმის. აფხაზეთთან დაკავშირებით კი მან განაცხადა, რომ: **"რუსეთი არ აპირებს აფხაზეთზე ზეწოლას, ვინაიდან, მისი აზრით, სოხუმის იძულება მოლაპარაკებების გამართვაზე საქართველოს ინტერესებში არა შედის. მიუხედავად ამისა, რუსეთი ხელს შეუწყობს მოლაპარაკებებს და დევნილთა დაბრუნების პრობლემის მოგვარებას, მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენაში"**.

პუტინის ამ გამოსვლას მომენტალურად მოჰყვა სოხუმის კომენტარი, რომელშიც აფხაზური ხელისუფლება მიესალმა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ პარასკევს გაკეთებულ განცხადებას. ამ განცხადებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც საკმაოდ სერიოზული აჟიოტაჟი მოჰყვა.

გუშინ კი რუსეთის პრეზიდენტის "გაწონასწორებულ" პოზიციას საქართველოს პრეზიდენტმა შემხვედრი მზადყოფნა დაახვედრა: მან ქართული მხარის სახელით მზადყოფნა გამოთქვა, ითანამშრომლოს რუსეთთან ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში და ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზებისთვის.

**"ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ რუსეთის ფედერაციასთან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ისევე, როგორც აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად,"** - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ დღევანდელ რადიოინტერვიუში.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, მას და პუტინს შორის 6-7 მარტს სოჭში მიღწეული შეთანხმებები აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების, ენერგეტიკული ობიექტების აღდგენის და რკინიგზის ამოქმედების **"რეალურ შანსს ქმნიან"**. მისივე თქმით, ქართული მხარე აღნიშნული პროცესის **განვითარებას "დევნილთა დაბრუნების პარალელურად განიხილავს"** და იმედოვნებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიერ შემუშავებული ტერმინი **"პროცესის პარალელურად განვითარების"** შესახებ ძალაში რჩება.

### ისევ არჩევნებზე

რა გასაკვირია, რომ არჩევნების თემა წელს საქართველოს პრეზიდენტის აბსოლუტურად ყველა გამოსვლის მთავარი საკითხია. გუშინაც მან კომენტარი გააკეთა საარჩევნო კანონის ირგვლივ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და ოპოზიციას კომპრომისებისკენ და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისკენ მოუწოდა.

**"ქვეყანაში ნორმალურ ვითარებაში სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ არის მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა და ეს ის შემთხვევაა, როცა სახელისუფლებო ცაიტნოტი უნდა გამოირიცხოს"**, – განაცხადა გუშინ ედუარდ შევარდნაძემ და განმარტა, რომ პოზიციის დათმობას აღარ აპირებს: **"სახელისუფლებო კოალიციას არ აქვს პრეტენზია საარჩევნო კომისიებში ჰყავდეს უმრავლესობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპოზიციას ჰქონდეს არჩევნების შედეგების ბლოკირების საშუალება,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა და ოპოზიციის მიერ არჩევნების შედეგების უმოკლეს ვადებში სამართლიანად დაფიქსირებაში სასამართლო ორგანოების მონაწილეობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

### სახალხო გამოსვლებზე

საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც "კმარას"-თან და სხვა, მისი განცხადებით, "მართულ" გამოსვლებთან დაკავშირებით პოზიცია უკვე არაერთხელ და საკმაოდ მწვავედაც დააფიქსირა, ახლა უშუქობის გამო ქუჩაში გამოსულ ხალხს გამოეხმაურა: **"მოსახლეობამ თავისი ენერგია არა ქუჩების და მაგისტრალების გადაკეტვას უნდა მოახმაროს, არამედ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ენერგოკომპანიებთან ერთად, აღრიცხვიანობის მოწესრიგებისთვის უნდა იზრუნოს. სახელმწიფო ვერანაირად ვერ ჩაერევა იმ უცხოური ენერგოკომპანიების საქმიანობაში, რომელთა ძირითადი ამოცანაც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებაა. ჩვენ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ დამოუკიდებელმა ქვეყანამ თავი თვითონვე უნდა ირჩინოს. რაც შეეხება ენერგორესურსებს, სამწუხაროდ, საქართველოს ამ კუთხით, ჯერჯერობით, საკმაოდ მწირი შესაძლებლობები გააჩნია,"** – განუცხადა შევარდნაძემ მოსახლეობას, რომელთა დიდ ნაწილს, თავად ხელისუფლებისავე აღიარებით, ორი თვის 14-ლარიანი პენსიაც არ აუღიათ.

ალსანიშნავია, რომ აქვე ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა სიღარიბის დაძლევის შესანიშნავ პროგრამაზე და შეჰპირდა საზოგადოებას, რომ ამ პროგრამას მოსახლეობას სპეციალური საპრეზიდენტო მიმართვის სახით გააცნობს.

# არშემდგარი სახელმწიფო კი არა, არშემდგარი პოლიტიკური ელიტა

*საქართველოს, წლების მანძილზე, ქრონიკული კრიზისის პირობებში უხდება ცხოვრება. საკითხავია, რა განაპირობებს დღევანდელ არასახარბიელო ვითარებას: რთული ობიექტური პირობები, ხალხი, რომელსაც "სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი არ გააჩნია", თუ შევარდნაძის ხელისუფლება, რომელიც 1992 წლიდან უდგას ქვეყანას სათავეში? არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ეს კითხვები სულ უფრო ხშირად გაისმის ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთა მხრიდან. თუმცა მათზე გაცემული პასუხები ხშირად დიამეტრალურად განსხვავებულია. ამჯერად "მოპასუხე" გახლავთ პოლიტოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე.*

**- როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა დღევანდელი მძიმე ვითარება?**

- უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველომ მიიღო მრავალი ასეული მილიონი დოლარი, კრედიტებისა და დახმარებების სახით. ეს სახსრები რომ მიზნობრივად გამოყენებულიყო დღეს, ალბათ, აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვრებდით.

საქმე ისაა, რომ ამ თანხების უდიდესი ნაწილი ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში მოკალათებულთა გამდიდრებას მოხმარდა და დღეს ქვეყანას აღებული ვალების გადახდის პრობლემა უმძიმეს ტვირთად აწევს.

თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა არსებული ვითარების სერიოზულ ანალიზს მოითხოვს, მაგრამ საქმე ისაა, თუ რა ცნებებით და კატეგორიებით შევუდგებით ამ ვითარების აღწერას. თუ ვილაპარაკებთ ზოგადად "საბჭოური ტოტალიტარიზმის მსხვრევაზე", "სტაბილურობაზე" და "დემოკრატიულ აღმშენებლობაზე", ჩვენ, უბრალოდ, ვერ მოვახერხებთ პრობლემის განხილვას. ეს ტერმინოლოგია, ფაქტობრივად, ოფიციალური იდეოლოგიის ენაა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში. რამდენად ადეკვატურად ასახავს იგი რეალობას - სხვა საკითხია.

**- დემოკრატიულ აღმშენებლობის თემაზე საუბრისას ხანდახან გაიჟღერებს ხოლმე ტერმინი "არშემდგარი სახელმწიფო". რას იტყვით ამის შესახებ?**

- ეს ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსის და პოლიტიკოსის საყვარელი თეზისია, მაგრამ ჩვენშიც გამოუჩნდა აშკარა თუ ფარული მიმდევრები.

გლობალურად თუ მივუდგებით, "არშემდგარი სახელმწიფოები" XXI საუკუნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თემაზე, ჯერჯერობით, სპეციალური გამოკვლევები არ შექმნილა, მაგრამ ამგვარი სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები სადავო არაა: იგი ვერ აკონტროლებს თავის საზღვრებს და ტერიტორიას; ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას, იმის გამო, რომ ვერ აფინანსებს სათანადოდ სახელმწიფო უწყებებს; თავად სახელმწიფო სტრუქტურები არაეფექტიანად მუშაობენ მოხელეთა უპასუხისმგებლობის, არაკომპეტენტურობის და კორუმპირებულობის გამო.

**- ეს ნიშნები პირდაპირ ზედგამოჭრილია დღევანდელი საქართველოსათვის...**

- გარდა ამისა, დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ხელისუფლებას არ შეუძლია თქვას, თუ როგორ და როდის მოხერხდება ამ საკითხის გადაწყვეტა; ქვეყნის ბიუჯეტი სასაცილოდ მწირია. 1997 წლის შემდეგ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, ფაქტობრივად, არ იზრდება და დაახლოებით 350 მლნ დოლარს შეადგენს. სამომავლო პერსპექტივა კი უაღრესად მძიმეა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 2004-2007 წლებში ქვეყანას თავისი მინიატურული ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 180 მლნ დოლარის გადახდა მოუწევს საგარეო ვალების გასასტუმრებლად.

**- საარჩევნოდ ხელისუფლება ალბათ კვლავ შეეცდება სინამდვილის შელამაზებას. დაწვრილებით აღწერს იმ ნათელ მომავალს, რომლისკენაც საქართველო ახალი "აბრეშუმის გზით" წავა. მაგრამ რას მოიმოქმედებს ოპოზიცია?**

- ოპოზიციური პარტიები, როგორც ყოველთვის, ყველაფერში დამნაშავედ ხელისუფლებას გამოაცხადებენ და ქვეყნის გადარჩენას მხოლოდ თავიანთ მოსვლას დაუკავშირებენ. სიმართლის პოვნა კი, ალბათ, "პარტიული სათვალეებით" გაგვიჭირდება. პრობლემა ხომ უფრო ღრმა არის, ვიდრე ეს პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმებში წარმოჩინდება ხოლმე.

**- პრობლემებზე საუბრისას, ეს იქნება კორუფცია თუ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, ხშირად მიუთითებენ ხალხის მენტალიტეტზე, როგორც პროგრესის ძირითად დამაბრკოლებელ ძალაზე. რას იტყვით ამის შესახებ?**

- რაც შეეხება ხალხს, მას ყველაზე ნაკლები აქვს სასაყვედურო. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის სახელით მან განვლილი ათწლეულის განმავლობაში უდიდესი გაჭირვება გადაიტანა და დღესაც მზადაა, გაუძლოს ათასნაირ სიძნელეს. "დამოუკიდებლობის იდეა" არ მომკვდარა. ამაზე მეტყველებს თუნდაც საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი, სადაც ის ძალები, რომლებიც "რუსეთთან ინტეგრაციაზე" აშკარად საუბრობენ, რაიმე ხელშესახები მხარდაჭერით ამომრჩეველთა მხრიდან არ სარგებლობენ.

**- ესე იგი პოსტკომუნისტური საქართველოს სიძნელეების თავი და თავი ქვეყანაში არსებული ხელისუფლებაა?**

- დიახ! აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელია. დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში აღმოჩნდა ის ძალა, რომელსაც მანამდე არასოდეს უფიქრია და, მით უმეტეს, არ უბრძოლია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამას, ცხადია, არ შეიძლება თავისი დაღი არ დაემჩნია დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმული ნაბიჯებისათვის.

ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა დომინირებს დსთ-ს სხვა ქვეყნებშიც. ეს არაა შემთხვევითი. საბჭოთა კავშირის არსებობის შვიდი ათწლეულის მანძილზე მასში შემავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, პირწმინდად განადგურდა ყველა შესაძლო კონტრელიტა, რომელიც კომუნისტური ნომენკლატურის შეცვლას შეძლებდა. ფაქტობრივად მთლიანად მოისპო ის, რასაც სამოქალაქო საზოგადოება ეწოდება. ამიტომაა დღემდე პრობლემატური "ობიექტური და სამართლიანი არჩევნების" ჩატარება.

**- შევარდნაძეს არაერთხელ განუცხადებია, რომ კორუფციის დამარცხების გარეშე არც დემოკრატია გვექნება და არც დამოუკიდებელი სახელმწიფო შედგება. რეალობა კი კვლავ უცვლელია.**

- კორუფციის არათუ დამარცხება, არამედ შეზღუდვაც კი წარმოუდგენელია დღეს არსებული კლანური სისტემის დემონტაჟის გარეშე. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შემდეგ ხელისუფლებისკენ გზას გაიკაფავენ ის ძალები, რომელთაც მართლაც სურთ დემოკრატიული ფასეულობებისა და პრინციპების რეალური დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა. ეს კი მართლაც გარდამტეხი ეტაპი იქნება თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში.

საქართველოს დღევანდელი ვითარების დახასიათებისას შეიძლება გამოიყოს სამი უმთავრესი მომენტი:

1. საქართველო დგას მნიშვნელოვან გზაგასაყარზე თავის განვითარებაში, როდესაც უნდა გაირკვეს, შეძლებს თუ არა ქვეყანა უახლოეს მომავალში რეალური ნაბიჯების გადადგმას დემოკრატიისაკენ, თუ დამკვიდრდება ავტორიტარული მმართველობა და გაქრება ის საფუძველიც, რაც დღეს ქვეყანას დემოკრატიული განვითარების შანსს უტოვებს;

2. საქართველო ღრმა კრიზისს განიცდის. კრიზისი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფოებრიობის კრიზისზე. ნიშანდობლივია, რომ ზოგი უკვე არშემდგარ სახელმწიფოს გვიწოდებს. თუმცა, უფრო მართებული იქნება ტერმინი - არშემდგარი ელიტა;

3. საქართველოში მიმდინარე პროცესები და მათი განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საგარეო ფაქტორებით. კავკასიაში დღეს მრავალი ქვეყნის ინტერესები იკვეთება. მათი ზეგავლენა, საქართველოს სისუსტის გამო, კიდევ უფრო მკაფიოა. საგარეო ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საქართველოს სამომავლო პერსპექტივების შესახებ საუბარი.

**- ზოგიერთი მკვლევარი პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო კლანებს. იზიარებთ თქვენ ამგვარ კვალიფიკაციას?**

- კლანურ საზოგადოებასა და სახელმწიფოში კორუფცია ანომალია კი არა, კლანების ცხოვრების წესია. თუკი საქართველოში კლანური სისტემის არსებობის ფაქტიდან გამოვალთ, მაშინ ილუზიად შეიძლება მივიჩნიოთ იმედები, რომ სისტემის შიგნით რაღაც პოსტების დაკავებით, ანდა ანტიკორუფციული სტრუქტურების შექმნით შესაძლებელი იქნება მთელი სისტემის დემონტაჟი. ამგვარი სკეპტიკური პოზიციის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ არსებული ვითარება: კორუფციას და კლანებს სიტყვით ყველა ემიჯნება, მაგრამ საქმე ამის იქით არ მიდის.

ჩემი აზრით, სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული ძალების სისუსტეზე თავისთავად მეტყველებს ის გარემოება, რომ კლანური სისტემა რეალობას წარმოადგენს. გარდა ამისა, კლანური სისტემის საქმიანობა ასოცირდება "დემოკრატიასთან", თავისუფალ ეკონომიკასთან და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების თვალში მოხდა დემოკრატიული ღირებულებების გაუფასურება.

მეორე მხრივ, ხელისუფლებას არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი რესურსი (მაგალითად, ნავთობი, ან გაზის საბადოები), რომლის უპრობლემო მითვისებაც გაგრძელდებოდა კლანების მიერ და რომლის ნაწილიც პრობლემათა მოხსნა-შერბილებას მოხმარდებოდა.

გარდა ამისა, კორუმპირებულკლანურ სისტემას არ გააჩნია იდეოლოგია, რითაც იგი მიმზიდველი იქნებოდა მასებისათვის.

**- მოდით დავუბრუნდეთ არჩევნების თემას. როგორ ფიქრობთ, მოხერხდება კი არჩევნების დემოკრატიულობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა?**

- დიდია შანსი იმისა, რომ საზოგადოების აქტიური ჩარევის გარეშე, მომავალი არჩევნებიც "ტრადიციული მეთოდებით" ჩატარდება, რაც ქვეყანას მართლაც დააყენებს დესტაბილიზაციის და მწვავე პოლიტიკური კონფრონტაციის ზღვარზე.

იქმნება უცნაური სიტუაცია: ერთი მხრივ, არჩევნების გაყალბება მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებას ნიშნავს; მეორე მხრივ, სამართლიანი არჩევნები გარკვეული ძალების ხელისუფლებისაგან ჩამოცილებას ნიშნავს, რაც ასევე შეიძლება, დესტაბილიზების ფაქტორი აღმოჩნდეს. მთლიანობაში, არჩევნები და არჩევნების წინა წლები ჩაივლის დესტაბილიზაციის მუდმივი მუქარის ქვეშ. ჩვენთვის უკვე კარგადაა ნაცნობი საუბარი მოსალოდნელი ე.წ. საშემოდგომო და საგაზაფხულო დესტაბილიზაციის თაობაზე.

*ესაუბრა გია სიამაშვილი*

## ქვეყანა ღრმა საბიუჯეტო კრიზისშია

კატასტროფული მდგომარეობაა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში. 23 ივნისისათვის ექვსი თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 75%-ით, ხოლო წლიური მაჩვენებლი - 35%-ით. ასეთივე მდგომარეობაა დეფიციტის დაფინანსებაში: ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 75%-ით, ხოლო წლის გეგმა - 37%-ით.

**მთავრობამ 7 დღეში უნდა შეძლოს შემოსავლების და დაფინანსების 167 მილიონ 340 ათასი ლარის მობილიზება, რაც წარმოუდგენელია.**

**ისედაც ფურცელზე შესრულებული ბიუჯეტის ამ ოდენობით გარღვევა სრულიად უკონტროლოს ხდის ქვეყნის ფინანსურ სისტემას.**

გასათვალისწინებელია, რომ წლის მეორე ნახევარში მთავრობას 70 მილიონ 280 ათასი ლარით მეტი თანხის მობილიზების ვალდებულება აქვს, ხოლო ეგრეთ წოდებული **"საპრაკრუტკო" ბაზა და წინასწარ გადახდების რესურსი თანდათან იწურება.**

**ნათელია, რომ ქვეყანა ღრმა საბიუჯეტო კრიზისშია და მთავრობაში სიტუაციის გამოსწორების სურვილიც კი არ ჩანს.**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში.

**არანაკლები პრობლემებია ხარჯვით ნაწილში. 23 ივნისისათვის სერიოზული გარღვევაა მაისის თვის ხელფასების დაფინანსებაში.**

მიუხედავად ამისა, წინა კვირას მივლინებებზე დაიხარჯა 193,2 ათასი ლარი, სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდირებაზე - 834,8 ათასი ლარი და ა. შ.

სულ წინა კვირას დაიხარჯა 8 მილიონ 230 ათას 400 ლარი, აქედან მხოლოდ 5 მილიონ 342 ათას 800 ლარით დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასები და კვების ხარჯები.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**
ოპერატიული ინფორმაცია 23 ივნისისათვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის გეგმიური | ექვსი თვის გეგმიური | შესრულება | % წლის გეგმიდან | % ექვსი თვის გეგმიდან |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 529.8 | 396.93 | 35% | 75% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 385.09 | 283.8 | 34% | 74% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 310.64 | 244.31 | 37% | 79% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.16 | 30.39 | 39% | 84% |
| გრანტები | 95.4 | 38.3 | 9.09 | 10% | 24% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 116.81 | 96.47 | 40% | 83% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 16.9 | 34% | 70% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 118.66 | 88.77 | 37% | 75% |
| გარდამავალი [illegible] სახსრები | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| სახაზინო ვალდებულებებიდან შემოსავალი | 22 | 13.5 | 13.44 | 61% | 100% |
| ეროვნული ბანკის სესხი | 40 | 29.54 | 18.51 | 46% | 63% |
| ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხი | | | 5 | | |
| პრივატიზაციიდან შემოსავალი | 41.5 | 9.51 | 4.39 | 11% | 46% |
| საინვესტიციო კრედიტები | 127.8 | 57.61 | 39.9 | 31% | 69% |

| დასახელება | წლის გეგმიური | ექვსი თვის გეგმიური | შესრულება | % წლის გეგმიდან | % ექვსი თვის გეგმიდან |
|---|---|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 511.7 | 260.30 | 218.05 | 43% | 84% |
| საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 389.1 | 181.04 | 127.32 | 33% | 70% |

## სავალუტო ფონდი მთავრობასთან ოფიციალურ შეხვედრებს იწყებს

გუშინ, გვიან ღამით, თბილისში ჩამოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია პაოლო ნეუჰაუზის ხელმძღვანელობით. როგორც სახელმწიფო კანცელარიიდან იტყობინებიან, საქართველომ არ შეასრულა ფონდის რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ, ბიუჯეტის 113 მილიონი ლარით შემცირება, ნავთობპროდუქტებსა და სიგარეტზე გადასახადების აკრეფის დონის ამაღლება, ელექტროენერგიის ტარიფის კვლავ გაზრდა. ამას გარდა, არ იქნა შემოღებული ერთიანი სახაზინო ანგარიში, რომელიც, ფონდის წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული ღონისძიებაა. კვლავ დაბალი რჩება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის აკრეფის დონე.

თბილისში ერთკვირიანი ვიზიტის დროს სსფ-ს მისიამ პაოლო ნეუჰაუზის ხელმძღვანელობით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოში პროგრამების შესაძლო განახლების შესახებ, რომელიც წელიწადნახევრის წინ შეწყდა. მისიის ვიზიტის შედეგებზე იქნება დამოკიდებული პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა.

საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებით, ქართულ ეკონომიკაში გამოკვეთილი აშკარა დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ქვეყნის ფისკალური მდგომარეობა კვლავ სავალალო რჩება. არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვითი მუხლები, რასაც საბიუჯეტო დავალიანებების დაგროვება მოსდევს. საქართველოს საგარეო ვალი კი 2 მილიარდ დოლარს უახლოვდება. პარიზის კლუბის პირობების თანახმად, მიმდინარე წელს საქართველომ დავალიანებისა და მისი პროცენტებისთვის 160 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს, 2004 წელს კი 166 მილიონი დოლარი.


ზაურ გოლაშვილის ფოტო

*პაოლო ნეუჰაუზი დღეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შეხვდება.*

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ვითარება არც ისე საგანგაშოა, როგორც ამას ზოგჯერ წარმოაჩენენ. ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ "სსფ-ს რეკომენდაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია. ფონდთან თანამშრომლობა კი აუცილებელი პირობაა პარიზის კლუბში საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის მისაღწევად."

დღეს სავალუტო ფონდის მისია პირველ შეხვედრას გამართავს ეროვნულ ბანკში.

*24 საათი*

## ბანკების ლიკვიდაციით კრედიტორებს საკუთარი ფული დაუბრუნდებათ

ნინო ნარჩემაშვილი

თითქმის ყველა ბანკი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩამორთმეული აქვს ლიცენზია და ლიკვიდაციას ექვემდებარება, აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლო წესით განხილვას მოითხოვს. გაჭიანურებული სასამართლო პროცესები კი მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ეროვნულ ბანკს. სებ-ის ინფორმაციით, დღეისათვის სალიკვიდაციო პროცესი 24 კომერციულ ბანკში მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ოთხ მათგანში უახლოეს მომავალში დასრულდება. სებ-ის ბანკების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მურთაზ კიკორიას განცხადებით, ლიკვიდატორებს, რომლებიც ინდივიდუალურად შეისწავლიან აღნიშნული 24 ბანკის საქმიანობას, უშუალო კონტაქტი აქვთ კრედიტორებთან და შემოსული თანხები მათ პროპორციულად უნაწილდებათ. მისივე თქმით, ლიკვიდაციის პროცესი გამჭვირვალეა, თუმცა არსებობს არა ერთი პრეცედენტი, როცა აღნიშნული პროცესი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს და ამ დროის მანძილზე სალიკვიდაციოდ განწირული ბანკები ახერხებენ თავიანთი აქტივების გაზიდვას. ასეთ შემთხვევაში აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ. სებ-ში კონკრეტული ბანკების დასახელებისაგან თავს იკავებენ და აცხადებენ - დონორი ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, მკაცრად განსაზღვრულია ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ხარისხი, რადგან საბანკო საქმიანობა სპეციფიური სფერო გახლავთ და ამა თუ იმ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლებელია არაადეკვატური რეაქცია გამოიწვიოს.

რაც შეეხება საკმაოდ სოლიდური თანხების მფლობელ მსხვილ ბანკებს, ლიკვიდაციის პროცესს მხოლოდ სამი მათგანი ემსხვერპლა. "თბილკრედიტბანკში", "თბილკომბანკში" და "ივერთბანკში" ამჟამად სალიკვიდაციო სამუშაოების ერთ-ერთი ეტაპი - შენობების რეალიზაცია მიმდინარეობს. ამოღებული თანხებით კი ვალების ნაწილი დაიფარება, ანუ ფული კრედიტორებს შორის განაწილდება.

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

ჩვენი მისია:
ჩვენს მისიას წარმოადგენს მეწარმეებისა და ბიზნესმენებისათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურებისა და მიზნობრივი საბანკო პროდუქტების მთელი ქვეყნის მასშტაბით შეთავაზებით საკრედიტო და სხვა საბანკო მომსახურების მიმწოდებელი ლიდერი ბანკის პოზიციების დამკვიდრება. ვუზრუნველყოფთ რა ბიზნესს ზრდისათვის აუცილებელი სახსრებით, ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. მოსახლეობას ჩვენ ვთავაზობთ ხელსაყრელ საბანკო მომსახურებას ოპტიმალური პირობებით.

ჩვენ გთავაზობთ:
-სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის
-მიმდინარე ანგარიშებს
-ვადიან დეპოზიტებს, ზრდად ვადიან ანგარიშებს, შემნახველ ანგარიშებს
-ფულად გადარიცხვებს
-ვექსილების დისკონტირებასა და დოკუმენტურ ოპერაციებს
-სავალუტო ოპერაციებს
-ონლაინ ბანკინგს




ფილიალების ქსელი

Email: central@mbg.com.ge
ფაქსი: (995 32) 77-96-11

Email: vake@mbg.com.ge
ტელ: (995 32) 25-88-06
ფაქსი: (995 32) 25-88-07

Email: saburtalo@mbg.com.ge
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18

Email: stationsquare@mbg.com.ge
ტელ: (995 32) 98-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11

Email: gldani@mbg.com.ge
ტელ: (995 32) 37-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01

Email: varketili@mbg.com.ge
ფაქსი: (995 32) 76-44-81

1400 გორი
Email: gori@mbg.com.ge

4600 ქუთაისი
Email: kutaisi@mbg.com.ge

Email: tbo@mbg.com.ge
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36

Email: marneuli@mbg.com.ge

4600 ქუთაისი
Email: kutaisioutlet@mbg.com.ge

6000 ბათუმი
Email: batumi@mbg.com.ge

Email: poti@mbg.com.ge

Email: zugdidi@mbg.com.ge

6000 ბათუმი
Email: batumioutlet@mbg.com.ge

Email: kobuleti@mbg.com.ge

bp btc AIOC

**აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი**

**პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი**

აზერი-ჩირაგ-გუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, სადაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP", თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, სანამ 2002 წელს მოხდა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს, ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მოელოდებიან შენიშვნებს და მოსაზრებებს მიღებას საზოგადოების წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ.38 თბილისი, ტელ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20, რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18, ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com )

# ანკარამ ევროკავშირში გასაწევრიანებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა

პირველი გვერდიდან

ევროკავშირის სამიტმა დაადასტურა, რომ თურქეთის პარლამენტის მიერ, დაახლოებით, ერთი თვის წინ დამტკიცებულმა რეფორმების მეექვსე პაკეტმა ევროპულ ლიდერებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. “თურქიშ დეილი ნიუზს” საფრანგეთის პრეზიდენტის სიტყვები მოჰყავს, რომ ისინი ახალი კანონების მიღებას არ ელოდნენ. “ჩვენ ეჭვი რა გვეპარება თქვენს განვითარებაში. თურქეთისადმი ჩვენი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზრდება”, - განუცხადა პრეზიდენტმა შირაკმა პრემიერ-მინისტრ ერდოგანსა და საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულა გულს.

ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, მიმომხილველები ამბობენ, რომ თურქეთის უმთავრესი საზრუნავი ახლა ამ ახალი კანონებისა და რეფორმების ცხოვრებაში რეალურად გატარებაა. მათი თქმით, სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის მიუხედავად, კვლავ ძალაში რჩება ისეთი მუხლები, რომლითაც სახელმწიფოს ოპოზიციისა და დისიდენტების დევნა შეუძლია.

ევროპელი ექსპერტების აზრით, საჭიროა თურქი მოსამართლეების გადამზადება, რათა მათ კანონების დემოკრატიული ინტერპრეტირება მოახდინონ და დისიდენტები ტერორისტებად არ მიიჩნიონ.

ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროების როლის შემცირება წარმოადგენს. თურქული მედიის ცნობით, რეფორმების მეშვიდე პაკეტს მთავრობა პარლამენტის წინაშე მალე წარადგენს, რომლის თანახმად, სახელმწიფო სამეთვალყურეო საბჭოებში სამხედროებს ყოფნა ეკრძალებათ. ამჟამად, ყველა საბჭოში სამხედროთა წარმომადგენელი შედის. თურქეთის მმართველ წრეებში ბევრი დარწმუნებულია, რომ ძალზე გავლენიანი უწყების - ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური შტაბის უფროსის ნაცვლად, სამოქალაქო პირი უნდა იყოს. ამ მოსაზრების მომხრე პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ უშიშროების საბჭო აღმასრულებელი ორგანო არ უნდა იყოს და მას მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია უნდა დარჩეს.



თურქეთის პრემიერ-მინისტრი საბერძნეთის სამიტით კმაყოფილია.

მთავრობას სურს, რომ ახალი რეფორმების პაკეტი პარლამენტში ივლისში წარადგინოს და ამიტომ, პარლამენტის სამუშაო პერიოდი შემდეგი თვის ბოლომდე გააგრძელა. შეეწინააღმდეგებიან თუ არა სამხედროები მოსალოდნელ ცვლილებებს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. “თურქიშ დეილი ნიუზის” ანალიტიკოსის აზრით, სამხედროები არ მოისურვებენ, რომ ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა იარლიყი მიეწებოთ, მაგრამ ისინი აუცილებლად შეეცდებიან, ახალ სისტემაში ისეთი მექანიზმები ჩადონ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან მთლიანად არ გამოეთიშონ.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, თურქეთმა კვიპროსის საკითხი სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს, რაც ევროკავშირისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. კვიპროსის ბერძნული ნაწილი 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანდება. ბრიუსელს სურს, რომ კვიპროსის თურქული და ბერძნული ნაწილი უახლოეს მომავალში გაერთიანდეს და 2004 წელს გამთლიანებული კუნძული გაერთიანებაში შევიდეს. ევროპელი ლიდერები ანკარაზე ზეწოლას ახორციელებენ, რათა მან ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კომპრომისის აუცილებლობაში დაარწმუნოს.

თურქეთმა საბერძნეთთანაც უნდა მოაგვაროს ტერიტორიული პრობლემები. სავარაუდოდ, ამ წინააღმდეგობას ანკარა იოლად დაძლევს, თუ უკანასკნელ ხანებში ორ ქვეყანას შორის დამთბარ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ.

თუმცა, ევროკავშირში გასაწევრიანებლად აუცილებელი მოთხოვნების ნუსხა ამით არ ამოიწურება. ბრიუსელი თურქეთისგან მოითხოვს, რომ სომხეთთან ურთიერთობები მოაგვაროს და დიპლომატიური ურთიერთობები დაამყაროს, აგრეთვე, ერაყელი ქურთების მიმართ უფრო შემწყნარებელი პოზიცია დაიკავოს.

ერაყსა და თავად თურქეთში მცხოვრები ქურთების მიმართ ანკარას პოლიტიკას ევროკავშირში გასაწევრიანებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

და ბოლოს, ბრიუსელის გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობაც. ამჟამად, ანკარასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს ახალი ეკონომიკური პროგრამის განხორციელებაზე, რომელსაც ფონდი დააფინანსებს.

# "არჩევნები სომხეთში არ ჩატარებულა"

*“24 საათის” სტუმარია ალექსანდრე არზუმანიანი, “სომხურ-თურქული შერიგების კომისიის” თანათავმჯდომარე და სომხეთის ეროვნული მოძრაობის (ტერ-პეტროსიანის პარტია) თავმჯდომარე. 1996-98 წლებში მას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.*

შოთა უტიაშვილი

**- რაზე მუშაობს ამჟამად თქვენი კომისია?**

- კომისია 2001 წლიდან მუშაობს. მას შემდეგ ჩვენ არაერთხელ შევხვდით თურქ კოლეგებს, უკანასკნელად - სამი კვირის წინ, სტამბოლში, სადაც მომავალი მუშაობის გრაფიკი მოვხაზეთ. ორივე მხრიდან კომისია საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შედგება. ჩვენი მიზანია, მოვსინჯოთ გზები მომავალი დიალოგისათვის, მთავრობის საქმეა – მიიღებს თუ არა ჩვენს წინადადებებს.

რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა ჩვენი და თურქების შერიგება, ვფიქრობ, ძალზე არაბუნებრივია, რომ ორ მეზობელ სახელმწიფოს არა აქვს დიპლომატიური, ეკონომიკური ან სავაჭრო ურთიერთობები. ადრე თუ გვიან, ჩვენ აუცილებლად დავამყარებთ ნორმალურ ურთიერთობებს.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ სანამ არ გადაჭრილა გენოციდის აღიარებისა და ყარაბაღის პრობლემები, ურთიერთობების აღდგენა არარეალურია?**

- დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან სომხეთსა და თურქეთს შორის არსებული რიგი კომპლექსური ისტორიული პრობლემების დაკავშირება არაპროდუქტიულად მიმაჩნია. რაც შეეხება ყარაბაღის საკითხს, ეს სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების პრობლემაა და მესამე ქვეყნებთან სომხეთის ურთიერთობების კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ.

**- როგორ შეაფასებდით სომხეთ-რუსეთის დღევანდელ ურთიერთობებს? ყველასათვის ცნობილია, რომ უსაფრთხოების საკითხებში რუსეთი სომხეთის მთავარი მოკავშირეა. ამავე დროს, სომხეთის ეკონომიკაზე რუსების კონტროლი სულ უფრო იზრდება. როგორ ფიქრობთ, რა მოიგო და რა დაკარგა სომხეთმა რუსეთთან კავშირით?**

- ჩვენს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას საფუძველი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩაეყარა. თუმცა, ის, რაც ამ ურთიერთობებში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხდება, არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. ამას უკვე თანასწორი პარტნიორობა აღარ ეთქმის. სომხეთი ნელ-ნელა ხდება უმცროსი პარტნიორი, რომ არ ვიხმაროთ ტერმინი “ვასალი”.

შემაშფოთებელია ისიც, რომ უსაფრთხოების საკითხებში რუსეთი ჩვენი მთავარი მოკავშირეა. მე დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის სამივე სახელმწიფო უსაფრთხოების ერთიან სისტემას უნდა ქმნიდეს. კავკასიაში გამყოფი ხაზების გავლება არც ერთ სახელმწიფოს არ გამოადგება. ამიტომ, მე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მაქვს “კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის” მიმართ, რომლის წევრები არ არიან არც აზერბაიჯანი და არც საქართველო.

რაც შეეხება ეკონომიკაზე კონტროლს, პროგრამა “ქონება ვალების სანაცვლოდ” არის რუსეთის მიერ სუვერენულ სახელმწიფოზე, სომხეთზე საკუთარი ნების თავს მოხვევის მაგალითი.

სანამ სომხეთ-რუსეთის ურთიერთობები თანასწორუფლებიან თანამშრომლობად არ იქცევა, მანამდე სომხეთი ამ კავშირით ყოველთვის წაგებაში იქნება.

**- ამ კონტექსტში, როგორ უყურებთ საქართველოსა და აზერბაიჯანის მისწრაფებას - გახდნენ ნატო-ს წევრები: როგორც ახალი გამყოფი ხაზების გავლების საშუალებას თუ ნაბიჯს რეალური უსაფრთხოების რეგიონული სისტემის შექმნისაკენ?**

- საქართველოს, ისევე როგორც სომხეთს, სრული უფლება აქვს, თავად აირჩიოს უსაფრთხოების ის სისტემა, რომელიც მოსწონს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამივე ქვეყანა უსაფრთხოების ერთი სისტემის ნაწილი იყოს. დღეს რეგიონში და მის გარეთ მიმდინარე მოვლენები ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, რომ სამივე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გზებს მონახავს. ამიტომ, არა მგონია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის სწრაფვა ნატო-საკენ რეგიონში ახალ გამყოფ ხაზებს ქმნიდეს.

**- ნათელია, რომ რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნისათვის აუცილებელია ყარაბაღის პრობლემის ორივე მხარისათვის მისაღები ფორმით მოგვარება. თქვენი აზრით, თუ განახლდება სამშვიდობო პროცესი აზერბაიჯანში არჩევნების შემდეგ? რამდენად არიან მზად მხარეები კომპრომისისათვის?**

- რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია კავკასიაში ყველა კონფლიქტის მოგვარება – როგორც ყარაბაღის, ისე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ ვისაუბროთ კავკასიის, როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჰარმონიულ განვითარებაზე. ბუნებრივია, არჩევნებმა სომხეთსა და აზერბაიჯანში მოლაპარაკებები შეაფერხა. არჩევნების შემდეგ, სამშვიდობო პროცესი გაგრძელდება. რაც შეეხება კომპრომისისათვის მზადყოფნას, ჩემი აზრით, მხარეები უბრალოდ, ვალდებულნი არიან ორივესათვის მისაღები გამოსავალი მონახონ.

**- სომხეთი დიდადაა დაინტერესებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ამაზე მხოლოდ ლტოლვილების დაბრუნების შემთხვევაში დათანხმდება. აფხაზეთსა და სამხრეთ რუსეთში მცხოვრები სომხური დიასპორა საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობს. თქვენი აზრით, თუ შეუწყობენ ისინი ხელს კონფლიქტის მოგვარებას?**

- ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ მთავრობის სახელით არ ვსაუბრობ. რაც შეეხება ჩემს აზრს, ვფიქრობ, რომ მთავრობამ და რუსეთში მცხოვრებმა სომხურმა დიასპორამ ხელი უნდა შეუწყონ კონფლიქტის მოგვარებას. მაგრამ, თავად კონფლიქტი უნდა გადაწყდეს მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარეების თანხმობის საფუძველზე, როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარისათვის მისაღები გზით.

**- საინტერესო იქნებოდა თქვენი აზრი სომხეთში ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგები სომხეთის საშინაო პოლიტიკაზე და მის საერთაშორისო ავტორიტეტზე?**

- არჩევნები, როგორც ასეთი, სომხეთში არ ყოფილა. კოჩარიანმა საკუთარი თავი მეორე ვადით დანიშნა. იგივე გააკეთა მისმა გუნდმა საპარლამენტო არჩევნებშიც. საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც ისევე წინასწარ შედგენილი და ფალსიფიცირებული იყო, როგორც - საპრეზიდენტოსი. დღეს მოსახლეობის უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებამ მას ხმები მოჰპარა.

რა თქმა უნდა, არჩევნები გავლენას იქონიებს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზეც. ამის პირველი ნიშანი იყო ის, რომ არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის მისალოცი წერილები არ გამოუგზავნია, თუ არ ჩავთვლით რუსეთს, უკრაინას, ბელორუსსა და საქართველოს.

**- და ბოლოს, საინტერესო იქნებოდა თქვენი აზრი ჯავახეთთან დაკავშირებით. როგორც ტერ-პეტროსიანის, ისე კოჩარიანის მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საკმაოდ კონსტრუქციულია. მიუხედავად ამისა, შეიძლება თუ არა, რომ ვითარება ფეთქებადსაშიში გახდეს?**

- ეს, ალბათ, ერთადერთი საკითხია, რომელთან დაკავშირებითაც კოჩარიანისა და ტერ-პეტროსიანის პოზიციები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან “ჯავახკში” ვითარების დესტაბილიზაციით. მაგრამ ვფიქრობ, რომ სომხეთის ნებისმიერ მთავრობას კარგად ესმის საქართველოსთან მეგობრობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შენარჩუნების აუცილებლობა. “ჯავახკი” ყოველთვის იყო ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სიმბოლო და უნდა იყოს იმის მაგალითი, როგორ უნდა გადაიჭრას რეგიონში წარმოშობილი პრობლემები.

*დახმარებისათვის მადლობას ვუხდით მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს და ევრაზიის ფონდს.*

# ცოცხალია თუ არა სადამი

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ, აშშ-ში გამომავალმა ჟურნალმა “ტაიმმა” დაბეჭდა სტატია სათაურით “სად არის სადამი?” სტატია აგებულია 18 წლის მოსამსახურე გოგონას მონათხრობზე, რომელიც სადამის გაქცევის ამბებს აღწერს. პარალელურად, ვაშინგტონში არ გამორიცხავენ, რომ გასულ ოთხშაბათს ერაყის უდაბნოში ავტოკოლონის დაბომბვას ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სიცოცხლე შეეწირა. ვიდრე ამ ვერსიას განვიხილავდეთ, უმჯობესია, ჯერ რეალურ ამბავს მოვუსმინოთ.*

შინამოსამსახურე გოგონას, რომელიც რესპუბლიკური სასახლის კომპლექსში მუშაობდა, ერაყში ომის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, პრეზიდენტის ძმისშვილმა თიქრითული დიალექტის ათვისება ურჩია, რათა ზედმეტი ყურადღება არ მიეპყრო, როგორც ბაღდადის მცხოვრებს. ეს ყველაფერი კი პრეზიდენტის ოჯახის ჩრდილოეთ ერაყში, კერძოდ, თიქრითში გაქცევის გეგმას უკავშირდებოდა.

ყველაფერი 3 აპრილს დაიწყო, როდესაც სასახლეში ქუსეი ჰუსეინი ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად მივიდა. გოგონამ მოისმინა მათი საუბარი და შეიტყო, რომ ისინი ძველი და არაპრესტიჟული მანქანებით ბაღდადის დატოვებას და თიქრითის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გამგზავრებას აპირებდნენ. გოგონა შეეცადა დარჩენილიყო, მაგრამ მას უთხრეს, რომ საჭიროზე ბევრი იცოდა. ზუსტად ორი დღის შემდეგ, მოსამსახურე გოგონა სადამის შვილების – უდეის და ქუსაის ავტომანქანების კოლონაშიც მოხვდა. ისინი სადამთან შესახვედრად მის მშობლიურ ქალაქ თიქრითისკენ გაეშურენ. კოლონა 65 ძველი მანქანისგან შედგებოდა და ჯგუფებად იყო დაყოფილი. თითო ჯგუფში 2-3 მანქანა ირიცხებოდა. ეს ყველაფერი კი იმისათვის, რომ ზედმეტი ყურადღება არ მიეპყროთ. მგზავრებს შორის იყო სადამის ნათესავი და უახლოესი თანაშემწე აბიდ ჰამიდ მაჰმუდ ათ-თიქრითიც. ის ახლახან აშშ-ს სამხედროებმა დააპატიმრეს



სადამს ერაყში ჯერ კიდევ ბევრი მომხრე ჰყავს.

და ამჟამად ჩვენებებს აძლევს.

ავტოკოლონა თიქრითში ერთ ფერმასთან გაჩერდა, რომელიც სადამის ერთ-ერთ ნათესავს ეკუთვნოდა. ერაყის პრეზიდენტი ცალკე მოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, სადამმა თავის ორ შვილთან და მაჰმუდთან ერთად ფერმა დატოვა, ხოლო ერთი საათის შემდეგ კი, უდეის გარეშე დაბრუნდა.

ფერმის ტერიტორიიდან ამჯერად უკვე ექვსი მანქანა გავიდა. ამ კოლონაში სადამთან ერთად მოსამსახურე გოგონაც იმყოფებოდა. კოლონა სადამ ჰუსეინის სხვა ნათესავის სახლისკენ გაემართა, რომელიც ბაღდადის ჩრდილოეთით ეთ-თარმიაში მდებარეობს. დანიშნულების ადგილას ისინი საღამოს ცხრა საათისათვის იყვნენ. რეზიდენციის კარებთან მდგარმა მცველმა პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები ვერ იცნო, რადგან ისინი ტრადიციულ არაბულ სამოსში იყვნენ გამოწყობილები. მაჰმუდმა რევოლვერი ამოიღო და მცველს მარცხენა მხარში ესროლა.

სახლში შესული სადამი და მისი ამალა მომავალ სტრატეგიაზე მსჯელობდნენ. მოსამსახურე გოგონამ მოისმინა, რომ სადამს უდეისათვის წამლების მოგვარებას და მეზობელ სირიაში მის გაყვანას სთავაზობდნენ. როგორც ცნობილია, უდეი, რომელიც 1996 წელს თავდასხმის დროს დაჭრეს, მუდმივ მკურნალობას საჭიროებს. 6 აპრილს, დაახლოებით, ღამის ორის ნახევარზე, სადამმა, ქუსეიმ, ქუსეის ორმა შვილმა და მაჰმუდმა ეს ადგილიც მიატოვეს. ამ დღეს მოსამსახურე გოგონამ სადამი უკანასკნელად იხილა. მეორე დღეს ის ისევ თიქრითის ფერმაში წაიყვანეს. 8 აპრილს, როდესაც სადამის მოკვლის მიზნით, ამერიკელებმა ბაღდადის მასირებული დაბომბვა დაიწყეს, ერაყის პრეზიდენტმა ფერმაში დარეკა. ის ეძებდა ხალხს, რომლებიც “ხმელეთი-ხმელეთი” ტიპის რაკეტების გაშვებას შეძლებდნენ. იმავე დღეს მოვიდა ჰუსეინის ძმისშვილი მიგდალი და ტირილი დაიწყო. **“ბაღდადი ნებდება, არმია გარბის,”** - სლუკუნით ამბობდა იგი. 24 აპრილს გოგონას ბაღდადში დაბრუნების ნება დართეს. მანამდე კი, მოსამსახურე გოგონას ესმოდა, თუ რას ამბობდნენ სადამის შესახებ. მისი ნათქვამის თანახმად, ერაყის დამხობილი პრეზიდენტი, ქუსეისთან ერთად, ადჰამიას უბანში ინკოგნიტოდ ცხოვრობს, ატარებს ტრადიციულ სამოსს და გადაადგილდება ჩვეულებრივი ავტომობილით.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მოსამსახურე გოგონას ნაამბობი ჟურნალ “ტაიმში” გუშინ დაიბეჭდა. გუშინვე, სააგენტო “ბი-ბი-სიმ” გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, ერაყის ყოფილი პრეზიდენტი ცოცხალი უკვე აღარ არის. ოფიციალურ ვაშინგტონს ამის თქმის საშუალებას ოთხშაბათს ერაყის დასავლეთში ავტოკოლონაზე განხორციელებული ავიადარტყმა აძლევს. სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, კოლონაში სადამ ჰუსეინი იმყოფებოდა. აშშ-ს დაზვერვამ სატელიტურ ტელეფონზე მისი საუბარი მოისმინა, რის შემდეგაც მათ სადამის ადგილმდებარეობა დაადგინეს. მათი მონაცემებით, ის დასავლეთ ერაყის გზაზე მიმავალი კოლონის ერთ-ერთ ავტომანქანაში იმყოფებოდა.

კვირას, ტელევიზიით გამოსვლისას, აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ ავტოკოლონაში მყოფი სადამი და უდაი ჰუსეინები სირიის საზღვრისაკენ მიემართებოდნენ. ტელეკომპანია “ფოქსის” ეთერში სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ პეტ რობერტსმა განაცხადა, რომ “არ გაუკვირდება,” თუკი, ავიადარტყმის შედეგად, ერაყის ყოფილი პრეზიდენტი მკვდარი აღმოჩნდება. ამასთანავე მან დასძინა, რომ ამის თაობაზე კონკრეტული ინფორმაცია ჯერ არ არსებობს. ანალოგიურ ეჭვს გამოთქვამს იორდანიის მეფე აბდულაც. მან განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სადამ ჰუსეინი იმ რაიონში იმყოფებოდა, სადაც ავტოკოლონაზე ამერიკელებმა საჰაერო იერიში მიიტანეს.

ომის დროს, ჰუსეინის მოკვლა ამერიკელებმა ორჯერ სცადეს. ორჯერვე - ავიადარტყმებით. თუ რა შედეგით დასრულდა დამხობილ პრეზიდენტზე მესამე იერიში, ჯერჯერობით, უცნობია.

# ჰონგ-კონგმა ატიპურ პნევმონიას თავი დააღწია

ჰონგ-კონგი ატიპური პნევმონიისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა. “სარსით” ინფიცირების უკანასკნელი შემთხვევა 20 დღის წინ დაფიქსირდა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ამ ფაქტს “სარსის ეპიდემიის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა”. ჰონგ-კონგში რამდენიმე თვის განმავლობაში ატიპური პნევმონიით 296 ადამიანი გარდაიცვალა.

თუმცა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჰონგ-კონგში განსაკუთრებული ზომები კვლავაც უნდა შეინარჩუნონ, რათა ტორონტოს მსგავსად, ეპიდემიის ხელახალი აფეთქება არ მოხდეს.

ჰონგ-კონგში “სარსზე გამარჯვება” საზეიმოდ აღნიშნეს. ეს ამბავი ავტონომიის ეკონომიკაზე დადებითად აისახა. ჰონგ-კონგის აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა ტუნ ჩი-ხვამ საგანგებო პრეს-კონფერენცია ავტონომიის იმ ნაწილში მოიწვია, სადაც ყველაზე



ჰონგ-კონგში ნიღბებით სიარული აღარ მოუწევთ.

მეტი მოქალაქე დაავადდა. მან მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ჰონგ-კონგმა “სარსს” თავი დააღწია.

ჰონგ-კონგის ხელისუფლების მიერ “სარსის” აღსაკვეთად გატარებული ღონისძიებები მანამდე მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა. თუმცა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ აღიარა, რომ ეპიდემიის აღკვეთა მხოლოდ მკაცრი საკარანტინო მეთოდების გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ასობით ათასი მოქალაქე კი ქირურგიული ნიღბებით დადიოდა ქუჩაში, რათა მომაკვდინებელი სენისგან თავი დაეცვა.

დღემდე ატიპური პნევმონიის შედეგად მთელ მსოფლიოში 800 ადამიანი გარდაიცვალა, მათი უმეტესობა აზიელი იყო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან “სარსი” პირველად ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში გავრცელდა. ეპიდემიის მძვინვარების დროს ჰონგ-კონგში ყოველდღიურად 60-80 ადამიანი ავადდებოდა.

# საბერძნეთში ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული გემი დააკავეს

საბერძნეთის სპეცსამსახურებმა ტუნისში მიმავალი გემი დააკავეს, რომელზედაც 680 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. ბერძნულმა სპეცრაზმმა გემი აბორდაჟით აიყვანა. გემის “ბალტიის ცა” მფლობელი კომპანია “Alpha Shipping Inc” აღმოჩნდა. კომპანია მარშალის კუნძულებზეა რეგისტრირებული. ეკიპაჟის შვიდი წევრიდან, ხუთი უკრაინელია, მათ შორის - გემის კაპიტანიც. დანარჩენი ორი კი, აზერბაიჯანელები არიან. ისინი ამჟამად გამოძიებას ჩვენებებს აძლევენ.

პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, გემს დინამიტი გადაჰქონდა. სამართალდამცავები ამჟამად ტვირთის წარმომავლობის და კანონიერების საკითხებს ადგენენ.

როგორც გაირკვა, “ბალტიის ცამ” მოგზაურობა ივნისში შავი ზღვიდან დაიწყო და ამჯერად ტუნისის პორტისკენ მიემართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით, ტვირთის კანონიერების საკითხი გარკვეული არ არის, საბერძნეთის ხელისუფლებამ ოპერაციას საკმაოდ წარმატებული უწოდა და განაცხადა, რომ გემის დაკავების თაობაზე ინტერპოლს და დასავლეთის ქვეყნების სადაზვერვო ორგანიზაციებს უკვე ეცნობათ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამხედრო ძალებმა ხმელთაშუა ზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებში რეიდები საგრძნობლად გააქტიურეს. ამის მიზეზად საუდის არაბეთსა და მაროკოში ბოლო ხანებში მომხდარი მასშტაბური ტერორისტული აქტები იქცა. სპეცსამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ გემზე აღმოჩენილი 680 ტონა დინამიტი ტერორისტული აქტებისათვის იყო განკუთვნილი.

ფოსტა

## რატომ ჩერდება ლიფტი მე-19 სართულზე?!

*რედაქციაში შემოვიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოთარ სამადაშვილის წერილი, რომელიც ეხება შრომის სასახლის სახიფათო ლაბირინთებს.*

"შრომის სასახლეში მუშაობს ორი ლიფტი. ერთი ჩერდება კენტ სართულებზე და ადის მე-19-ე სართულზე, მეორე - ლუწ სართულებზე და ჩერდება მე-20-ე სართულზე. 21-ე სართულზე, სადაც განთავსებულია აფხაზეთის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი, ლიფტი არ ადის. ცხადია, ყველაზე ხელსაყრელია მეოცედან ასვლა, მაგრამ, როცა გეჩქარებათ და პირველად კენტსართულიანი ლიფტი მოდის, მეცხრამეტემდე ადიხართ და ორი სართულის ავლას აღარაფრად აგდებთ; მაგრამ სწორედ აქ ებმებით "მახეხაფანგში". მეცხრამეტე სართული "დაუსახლებელია" - ე.ი. ყველა კარი ღიაა და აბსოლუტურად ცარიელი, ხოლო კიბეზე გასასვლელი ჩაკეტილია რკინის კარებით. ერთადერთი გამოსავალი ისევ ლიფტია, თუმცა სანამ ამას მიხვდებით, მანამდე შემოივლით მთელ სართულს, ყველა ოთახს და მხოლოდ შემდეგ მივარდებით ლიფტს. ამ დროს გიჩნდებათ ერთი საფიქრალი, რომ ელექტროენერგია არ გაითიშოს.

არ გეგონოთ, რომ ეს იშვიათი შემთხვევაა. ორიოდე თვის წინათ თვითონაც გავები ამ მახეში და ბევრი სხვაც ვნახე გაბმული.

იბადება ერთი ბუნებრივი კითხვა - შრომის სასახლეში რატომ ჩერდება ლიფტი მე-19-ე სართულზე?!"

*წერილის ავტორი იტყობინება, რომ, დაახლოებით, იგივე სიტუაციაა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაღლივ კორპუსში, სადაც ლიფტს ავტომატურად აჰყავს ადამიანები სხვენზე. დენის გათიშვის გამო, იქიდან თავის დაღწევა სიცოცხლისთვის საშიშიც კი ყოფილა. იმედია, "ხაფანგებს" გააუვნებელყოფენ.*

Mercy Corps

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია "მერსი ქორი" აცხადებს გრანტების პროგრამას თემაზე:

რეგიონებში სათემო სამედიცინო განათლების ინიციატივის მხარდაჭერა

მიმდინარე კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს თემის სამედიცინო განათლების ინიციატივებს რეგიონებში, რათა 1. აამაღლოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამების შესახებ თემის ინფორმირებულობა; 2. ხელი შეუწყოს თბილისში და რეგიონებში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კავშირების დამყარებას, რათა მოხდეს რეგიონებში სამედიცინო განათლების სფეროში გამოცდილების გაზიარება და კვალიფიკაციის გაზრდა; 3. შეიმუშაოს მდგრადი მექანიზმები ადგილობრივ დონეზე პროექტის შედეგების უწყვეტი ფუნქციონირების მიზნით.

კონკურსი გაითვალისწინებს ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ფართო სპექტრს, თუმცა პრიორიტეტი მიენიჭება შემდეგს:

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
- რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ოჯახის დაგეგმვა;
- ინფექციური დაავადებები;
- იდს/შიდსის პრევენცია;
- სხვადასხვა ნივთიერებების (ნარკოტიკის/ალკოჰოლის/სიგარეტის) მოხმარება/მათზე დამოკიდებულება;
- ტუბერკულოზი;
- იოდის დეფიციტი;
- გულსისხლძარღვთა დაავადებების პრევენცია;
- დიაბეტი

კონკურსი მოიცავს შემდეგ რაიონებს:

- ბოლნისის და მარნეულის რაიონები ქვემო ქართლში;
- თელავის, ახმეტის, ყვარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, და დედოფლისწყაროს რაიონები კახეთის რეგიონში;
- ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ნინოწმინდისა და ადიგენის რაიონები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში;
- გორის, კასპის და ქარელის რაიონები შიდა ქართლის რეგიონში;
- მცხეთის და ახალგორის რაიონები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში;

პროექტის წარმდგენ არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს გამოცდილება და კომპეტენცია შესაბამის სამედიცინო სექტორში.

კონკურსის გამოცხადების თარიღი - 23 ივნისი, 2003 წ. . პროექტების წარდგენის ბოლო ვადა -23 ივლისი, 2003 წ. დღის 12 სთ.

კონსულტაციები გაიმართება მერსი ქორის თბილისის ოფისში 26 ივნისს დილის 11 საათზე; 29 ივნისს მერსი ქორის გორის ოფისში 12 სთ-ზე; და 11 ივლისს მერსი ქორის თელავის ოფისში დილის 12 საათზე.

ინფორმაციისთვის მიმართეთ მერსი ქორის ოფისებს შემდეგ მისამართებზე:

გორი: ჯუღაშვილის ქ. №4 ტელ: (270) 5-01-10

თელავი: წინანდლის ნისი №5 ტელ: (99532) 001235 (7002)

ახალციხე: მესხეთის ქ. №68 ტელ: (265) 50055

ისან-სამგორი: სამგორის I ნისი №3 ტელ: (32) 78-16-88/71-77-36

ბოლნისი: ჭავჭავაძის ქ. № 140 ტელ: 94-33-47
თბილისი (ცენტრალური) ოფისი: გოგებაშვილის ქ. №9 ტელ: (32) 25-24-71/2/3

## „ვაი ბრმებს, ბრმა-ყრუების ქვეყანაში!"

მაკა ჭაიანი

*მეხუთე დღეა პარლამენტის მიმდებარე სკვერში ყველაზე ჩუმი საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 15 ადამიანი - სავარძელს მიჯაჭვულნი, ბრმები, ყრუ-მუნჯები სახელმწიფოსგან ყურადღებას ითხოვენ. მათი გულშემატკივარიც უნარშეზღუდულია - ასევე ბრმები, ყრუ-მუნჯები, რომლებიც სათქმელს ერთმანეთს ხმადაბალი საუბრითა თუ ხელების მოძრაობით აგებინებენ. უხმაუროა ცრემლებიც, რომელიც მოშიმშილე შვილებისა თუ მეუღლეების შემხედვარე ქალებს სახეებზე ჩამოსდით... ეს ის სიჩუმეა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა ხმაურობდეს.*

უნარშეზღუდულთა წარმომადგენლებს, რომლებმაც ოთხი დღის განმავლობაში მშრალად იშიმშილეს, გუშინწინ ჯანმთელობის მდგომარეობა გაურთულდათ. აქციაზე გუშინ მისული სარეაბილიტაციო ცენტრის ექიმები უკვე ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ასეთ მდგომარეობაში პროტესტის გაგრძელება, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველია. "ჩვენ აქციას არ შევწყვეტთ! - ასეთი იყო მოშიმშილეების პასუხი, - ერთადერთი, სითხის მიღებაზე გთანხმდებით, ესეც იმიტომ, რომ ქალბატონმა ნინომ გვთხოვა"; საუბარია პარლამენტის თავმჯდომარეზე.

დღის 2 საათზე სწორედ მასთან დანიშნულ შეხვედრას ელოდნენ უნარშეზღუდულები. გუშინ, ისრაელში გამგზავრების წინ ნინო ბურჯანაძე მოშიმშილე პარლამენტარ გოგა კოხრეიძეს, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, გადასახადებისა და შემოსავლების, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდა და მათ საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის სახელით წარმოდგენილ საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვიანობის გაუმჯობესების ექსპერიმენტის პროექტზე ესაუბრა - ანუ დოკუმენტზე, რომლის მიმართ ხელისუფლების გაურკვეველმა დამოკიდებულებამ უნარშეზღუდულებს აფიქრებინა, - სამშობლოში ჩვენთვის აღარავის სცალიაო და მათ სხვა ქვეყნებისკენ დააჭერინა თვალი.

პარლამენტის თავმჯდომარე შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი იყო. **"მე მადლობელი ვარ ამ ადამიანების, რომ მშრალი შიმშილობა შეწყვიტეს. ეს მათთვის ძალიან მძიმე ასატანი იქნებოდა. ისინი საკითხების პარლამენტში განხილვას ითხოვენ და ამაზე ჩვენგან სრული თანადგომა მიიღეს. შევთანხმდით, რომ თუ ფინანსთა სამინისტრო ამ კვირაში წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს და მას კომიტეტებიც გაეცნობიან, მომავალ კვირაში საკითხს პარლამენტი განიხილავს"**, - ამბობს ნინო ბურჯანაძე.



*"ჩვენ აქციას არ შევწყვეტთ!" - ამბობენ მოშიმშილეები.*

უნარშეზღუდულთა ინიციატივის საგანგებო სესიაზე განხილვის პირობას იძლევა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, აკაკი ზოიძეც. ერთი შეკრება ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ მასთანაც გაიმართა. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ შეხვედრაზე შეთანხმდა სამოქმედო გეგმა და ახლა მთავარია, როდის წარმოადგენს შენიშვნებს ფინანსთა სამინისტრო.

პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კო მიტეტის თავმჯდომარის, დავით სალარიძის განმარტებით, ამ უწყების მრავალჯერ ხსენება იმითაა გამოწვეული, რომ დოკუმენტს შესაბამისი გათვლები არ ახლავს. **"კანონპროექტი, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, პრაქტიკულად, არ არსებობს. ჩვენ ხელთაა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც არ არის შეჯერებული ფინანსთა სამინისტროსთან და არა აქვს რეალური ეკონომიკური გათვლები. ეს სამუშაო ფინანსთა სამინისტროსთან ერთად უნდა ჩატარდეს. როგორც კი ჩვენთან შეჯერებული ვარიანტი შემოვა, კომიტეტი ერთ საათში განიხილავს მას და სესიაზე შეიტანს"**, - განმარტავს დავით სალარიძე.

ეყოფათ თუ არა ეს კვირა დასკვნების გამოსატანად, ფინანსთა სამინისტროში ვერ აზუსტებენ. მინისტრის მოადგილის, ლევან ჩრდილელის განცხადებით, დოკუმენტი მათთან პარასკევს შევიდა და ახლა საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტში მუშავდება. **"ჩვენ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, სწრაფად გავაკეთოთ ყველაფერი, რადგან საქმე ასეთი კატეგორიის ხალხს ეხება"**, - ირწმუნება მინისტრის მოადგილე.

უნარშეზღუდულები, რომლებიც ხელისუფალთა გულგრილობამ აიძულა, აქცია ასეთი ლოზუნგით გაემართათ - **"ვაი ბრმებს, ბრმა-ყრუების ქვეყანაში!"**, კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის ისევ მზად არიან. **"ჩვენ თანახმა ვართ ოთხთვიან ექსპერიმენტზეც, ოღონდ, იმ პირობით, რომ წარმატების შემთხვევაში იგი ფართოდ გავრცელდება"**, - ამბობს გოგა კოხრეიძე. ახლა სიტყვა მთავრობაზეა.

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში წარმოებული პროდუქტების უმრავლესობა გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს შეიცავს, - ასეთია საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მიერ 2003 წელს ჩატარებული საკვების მწარმოებელი ფირმების გამოკითხვის შედეგები. "მწვანეების" ინფორმაციით, ქართული საწარმოების უმრავლესობა ფართოდ იყენებს დამატკბობელ ასპარტამს, რომელიც გენური ინჟინერიით მიიღება. ასპარტამი მომაკვდინებელი შხამების რიგს მიეკუთვნება და ნევროლოგიურ დაავადებებს იწვევს. ასპარტამი თავის ტვინში ქიმიური ნივთიერებების შემადგენლობას ცვლის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობამ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილების მიერ არაერთხელ დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის პრობლემის მოსაგვარებლად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სტრუქტურებს დახმარებისთვის მიმართა. "თბილწყალკანალში" აცხადებენ, რომ, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, იქ მცხოვრები დევნილები საკუთარი მიწის ნაკვეთების მოსარწყავად საკანალიზაციო სისტემას განზრახ აზიანებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სამტრედია.** გუშინ ქალაქის ადმინისტრაციული შენობის წინ 500-მდე ადამიანი შეიკრიბა, რომელთა ძირითადი მოთხოვნა ელექტროენერგიის მიწოდება იყო. აქცია 20 წუთში დასრულდა. ელექტროენერგიის მიწოდება აღდგა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მრავალშვილიანმა დედებმა, თითოეულ ბავშვზე 20-ლარიანი დახმარების მოთხოვნით, მერიის შენობის წინ გუშინ მორიგი აქცია გამართეს. დედების ნაწილი დახმარებას მოითხოვდა ქალაქის მერიისგან, ნაწილი კი - საკრებულოსგან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს დღეებში მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია "ახმეტელის თეატრისა" და "ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორიებზე უკანონოდ დადგმული ჯიხურების აღებას დაიწყებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერის, ვანო ზოდელავას განცხადებით, მერიის სამსახურები საკრებულოს სხდომებზე გატანილი საკითხების შესახებ საერთოდ არ არიან ინფორმირებულები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ბოტულიზმის დაავადების ერთი შემთხვევა გამოვლინდა. 50 წლის მამაკაცი კონსერვირებული ღანძილით მოიწამლა. დღეისთვის დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ბოტულიზმის 28 შემთხვევაა აღრიცხული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თუ სააქციო საზოგადოება "თბილგაზი" მაისში მოხმარებულ ბუნებრივი აირის საფასურს უახლოეს ორ დღეში არ დაფარავს, 25 ივნისს თბილისს გაზმომარაგება შეუწყდება. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 16-20 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:**

**8 230.4 ათასი ლარი**

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 670.7 ათასი ლარი:
- დისკონტი - 546.2 ათასი ლარი;
- სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 124.5 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 6 471.2 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება - 3 710.3 ათასი ლარი;
- მეცნიერებათა აკადემია - 1 008.8 ათასი ლარი;
- კულტურის სამინისტრო - 620.2 ათასი ლარი;
- საერთო სასამართლოები - 220.2 ათასი ლარი;
- კონტროლის პალატა - 111.1 ათასი ლარი;
- ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 750.0 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის კვების ხარჯები - 1 632.5 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 600.0 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 338.6 ათასი ლარი;
- სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები - 261.6 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 226.0 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 133.3 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო - 69.0 ათასი ლარი;
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;

საქარტველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 834.8 ათასი ლარი;
- მ.შ. ტელეანძა - 100.0 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი (ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიები და გრანტები) - 14.3 ათსაი ლარი;

სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 12.3 ათასი ლარი;
- დ.ს.თ.-სა და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიურო - 6.2 ათასი ლარი;
- სახელმწიფო კანცელარია - 6.1 ათასი ლარი;

პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდი - 267.0 ათასი ლარი;
- ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (ჩაის პროგრამა) - 267.0 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 1 088.5 ათასი ლარი;

სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 297.9 ათასი ლარი:
- უშიშროების სამინისტრო - 80.0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 78.0 ათასი ლარი;
- კულტურის სამინისტრო - 60.0 ათასი ლარი (მ.შ პროგრამული ხარჯი 58.0 ათასი ლარი);
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 30.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი - 25.0 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 11.0 ათასი ლარი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია - 7.4 ათასი ლარი;
- სამხედრო-საინჟინრო აკადემია - 2.6 ათასი ლარი;
- საერთო სასამართლოები - 1.7 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი - 2.2 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 193.2 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 103.2 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი - 50.0 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტროს - 40.0 ათასი ლარი;
- სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის რონისძიებები - 36.5 ათასი ლარი;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება - 15.9 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 N211 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის სხდომის 28.02.03 N2/8 ოქმის დავალებათა შესაბამისად, ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირებისათვის გადარიცხული იქნა 545.0 ათასი ლარი, მათ შორის "ელექტროენერგეტიკული სექტორის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 12.02.03. N127 განკარგულების თანახმად გადაერიცხა 200.0 ათასი ლარი, ს.ს. "ტყიბულნახშირს" გამოეყო 145.0 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს 22.11.02 N1762-Iს და N1764-IIს კანონების შესაბამისად შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებულები) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებისათვის მიიმართა 200.0 ათასი ლარი;
- სულ ხარჯი: 8 230.4 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 670.7 ათასი ლარი:
- დისკონტი - 546.2 ათასი ლარი;
- სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 124.5 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 6 471.2 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 1 088.5 ათასი ლარი;
- სხვა საქონელი და მომსახურება - 350.3 ათასი ლარი;
- მივლინება - 193.2 ათასი ლარი;
- სუბსიდია - 545.0 ათასი ლარი.

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**

**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# გრიგოლ ხურცილავას საბრალმდებო დასკვნამ კმაყოფილება მოჰგვარა

პირველი გვერდიდან

მტკიცებით, ხურცილავამ მკვლელობა სულიერი აფექტის, აღელვების მდგომარეობაში ჩაიდინა, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება ბრალდების მხარე. განსასჯელის დამცველი იმ ფსიქოლოგ ექიმ-ექსპერტთა დასკვნას იწუნებს, რომლებმაც გრიგოლ ხურცილავას ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ მკვლელობის დროს ხურცილავა არ იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში. მიუხედავად 13-წლიანი პატიმრობის მოთხოვნისა, გრიგოლ ხურცილავა სახელმწიფო ბრალმდებლების პოზიციას ეთანხმება. **"პროკურატურას თითქმის ყველაფერში ვეთანხმები, მე ბრალმდებლებს ყველანაირად დავეხმარე საქმის გამოძიებაში. ვინანიებ, რაც მოხდა"**, - განსასჯელის კმაყოფილება პროკურორების მიერ გუშინ დასახელებულმა მკვლელობის მოტივმა გამოიწვია; "ის, რომ მკვლელობა სექსუალური შეურაცხყოფის ნიადაგზე მოხდა, უკვე დადგენილია", - მოულოდნელად შეიცვალეს პოზიცია გუშინ პროკურორებმა.

ერთი სიტყვით, ბრალდების მხარე საბოლოოდ გამორიცხავს გიორგი სანაიას მკვლელობის პოლიტიკურ მოტივსა და დაკვეთილი მკვლელობის ვერსიას. **"საქმე გვაქვს შურისძიებით მომხდარ განზრახ მკვლელობასთან. გასათვალისწინებელია შემამსუბუქებელი გარემოებებიც. განსასჯელი ორი არასრულწლოვანი შვილის მამაა და თანაც ნასამართლევი არ არის. ჩვენი აზრით, 13-წლიანი პატიმრობა სწორედ ის სასჯელია, რომელიც გრიგოლ ხურცილავას ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა ერგოს"**, - განაცხადეს გუშინ პროკურორებმა. მათ საქმის მასალებისა და სასამართლო გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების მოშველიებით, მოწმეთა მიერ გამოძიებისთვის და სასამართლო დარბაზში მიცემული ჩვენებების გამოყენებით დაადგინეს, რომ სანაიას მკვლელი ნამდვილად გრიგოლ ხურცილავაა.



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

*გრიგოლ ხურცილავა განაჩენს ელოდება.*

ადვოკატი დავით დადიანი კი კვლავ ხურცილავას აფექტზე საუბრობს. განსასჯელის ინტერესების დამცველი ხურცილავასთვის ოთხწლიან პატიმრობას ითხოვს სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის გამო.

გუშინდელ პროცესზე დაწყებული მხარეების კამათი გუშინვე დასრულდა. მანამდე კი ბრალდების მხარემ სანაიას მკვლელობის საქმის ძირითადი მოწმისა და განსასჯელის მეგობრის, მალხაზ ხვედელიანის სიმამრის, ამირან ადეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. **"ამირან ადეიშვილმა მკვლელობის იარაღი ხურცილავას გამოართვა, დაშალა და შეინახა. ამ ქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები. მოვითხოვთ, ადეიშვილის საკითხი გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს"**, - აცხადებდნენ სახელმწიფო ბრალმდებლები.

რაც შეეხება დაზარალებულის, ხათუნა ჩხაიძის სამოქალაქო სარჩელს, რომლითაც სანაიას მეუღლე პროკურატურას ადანაშაულებდა გამოძიების ტენდენციურად, არაობიექტურად და მიკერძოებით ჩატარებაში, სახელმწიფო ბრალდების განცხადებით, უსაფუძვლოა და გიორგი სანაიას მეუღლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. **"გამოძიება რომ ობიექტურად და ნორმების დაცვით მიმდინარეობდა, ეს სასამართლო პროცესზეც დადასტურდა. ამიტომ მოვითხოვთ, ლიად დარჩეს დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი,"** - ასე დაიცვეს საკუთარი უწყების პრესტიჟი გუშინ, გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში პროკურორებმა.

# მორიგი მკვლელობა გალის რაიონში პოლიტიკური ვერსიების საფუძველი გახდა

სოფიკო ჩხაიძე

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ინფორმაციის მინისტრისა და ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის წევრის თამაზ ხუბუას დის ოჯახის თავსდატრიალებულ ტრაგედიას საფუძვლად სხვადასხვა პოლიტიკური სარჩული დაუდეს. ამის საფუძველი რუსეთ-საქართველოს შორის გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნების შესახებ შეთანხმების გამო არსებული წინააღმდეგობა გახდა;

თამაზ ხუბუას დის ოჯახი, აფხაზეთში ომის წაგების შემდეგ, რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში ცხოვრობდა და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა მშობლიურ სახლში – გალის რაიონის სოფელ კოხორაში.

კვირას ღამით კი მათ ხუთი ნიღბიანი, შეიარაღებული ბოროტმოქმედი დაესხა თავს.

გალის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილის თენგიზ ძაძუას თქმით, **"იური ეზუგბაიას ოჯახს თავს გამთენიისას დაესხნენ. ოჯახის წევრებს ფულსა და ძვირფასეულობას სთხოვდნენ, თუმცა, მათი მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ და ცეცხლიც გახსნეს. სროლისას დაიღუპა 63 წლის თინათინ ხუბუა, დაჭრილია მისი მეუღლე და მოსკოვიდან ახლახან ჩამოსული ვაჟი. იური ეზუგბაია გალის საავადმყოფოში მოათავსეს, 36 წლის პაატა ეზუგბაიას კი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რთული ოპერაცია გაუკეთდა"**.

მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია წარმოიშვა. სამართალდამცველთა მხრიდან ყველაზე სარწმუნო ვერსიად მონათლულ ყაჩაღობას პოლიტიკოსები პოლიტიკურ სარჩულს უძებნიან. ერთი მხრივ, გალში ლტოლვილთა დაბრუნების მოწინააღმდეგეებს, მათ შორის - აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს, მომხდარი სრულ საფუძველს აძლევს, ისაუბრონ იმის შესახებ, თუ რამდენად დაუცველნი იქნებიან ლტოლვილები გალში დაბრუნების შემთხვევაში. მეტიც, ნადარეიშვილი იური ეზუგბაიას ოჯახზე თავდასხმას აფხაზეთში ქართველთა გენოციდის გაგრძელებად აფასებს.

**"ეს არის გენოციდის გაგრძელება და ამიტომ ვარ კატეგორიული წინააღმდეგი გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების, ვიდრე იქ საქართველოს იურისდიქცია არ აღდგება"**, - ამბობს ნადარეიშვილი და არ გამორიცხავს, რომ მომხდარი, შესაძლებელია, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგაც იყოს მიმართული.

ეს განცხადება, შესაძლოა, ერთგვარ პასუხად იქნას აღქმული იმ პოლიტიკური ვერსიის ავტორთა მიმართ, რომლებიც, ნადარეიშვილის საპირისპიროდ, მიიჩნევენ, რომ კოხორაში მომხდარი ყაჩაღობა საგანგებოდ მოწყობილი აქციაა, რომელიც გალში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის ჩაშლას ისახავს მიზნად.

ყოველგვარი პოლიტიკური ვერსიის საწინააღმდეგოდ, გალის სამართალდამცველები, ყველაზე სარწმუნოდ, მაინც ჩვეულებრივი ყაჩაღობის ვერსიას მიიჩნევენ. ამ ვერსიის მართებულობაზე, მათი აზრით, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეზუგბაიების ოჯახზე თავდასხმის ღამეს, იმავე სოფელში კიდევ ერთი ოჯახი დააყაჩაღეს. თუმცა, მეორე ინციდენტის შესახებ, ჯერჯერობით, ბევრი არაფერია ცნობილი, რადგან მეორე დაზარალებული ოჯახის წევრები ქართველების კონტროლირებად ზონაში ჯერ არ გადმოსულან.

# უშიშროებამ ესპანელ ბიზნესმენთა გამტაცებელი დააკავა

ინგა ალავიძე

*"არ ვიცით, ვინ იყვნენ გამტაცებლები – ბანდიტები, ტერორისტები თუ მაფიოზები, მაგრამ ის ზუსტად ვიცით, რომ პანკისის ხეობაში დიდი და კარგად ორგანიზებული მაფია მოქმედებს. ჩვენი გამტაცებლები ამ ორგანიზაციის უბრალო, რიგითი წევრები იყვნენ," – განაცხადეს 373-დღიანი მძევლობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ესპანელმა ბიზნესმენებმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. ორი ესპანელი ბიზნესმენი ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა, 2000 წლის 30 ნოემბერს თბილისში, აეროპორტის გზატკეცილიდან გაიტაცეს.*

ესპანელ მძევალთა გათავისუფლებას ქართველმა ძალოვანებმა წელიწადზე მეტი მოანდომეს. უცხოელმა ბიზნესმენებმა, რომლებიც საქართველოში ქვის გადამამუშავებელი და ხეტყის ბიზნესის გამართვას აპირებდნენ და ამ საქმეში სოლიდური თანხაც დააბანდეს, საქართველო დაუყოვნებლივ დატოვეს.

ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას გათავისუფლება ტრადიციულ "თარიღს" – ახალი ძალოვანი მინისტრების მოსვლას დაემთხვა. კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურძანია ჯერ სავარძელში კარგად მოკალათებულნი არც იყვნენ, რომ გატაცებული ესპანელები მოიკითხეს და ძალიან მალე, 2001 წლის 8 დეკემბერს გაათავისუფლეს კიდეც.

ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების თემამ გუშინ კიდევ ერთხელ წამოიწია. გატაცებიდან სამი წლის შემდეგ ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას საქმე გახსნილად გამოცხადდა. **"ქართული სამართალწარმოების ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა, დაკავებულია უცხოელი მოქალაქეების გამტაცებელთა ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წევრი და გამოცხადდა ძებნა რამდენიმე გამტაცებელზე,"** – განაცხადა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორმა ნიკა ლალიაშვილმა. როგორც გაირკვა, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს და ამჟამად უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფება ესპანელი ბიზნესმენების ერთ-ერთი გამტაცებელი, პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოს მკვიდრი ქისტი ალენ ბორჩაშვილი. უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის "უპრეცედენტო შედეგის" შესახებ ასეთი მოკლე შეტყობინება გავრცელდა. ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების დეტალებს, სამართალდამცავები, ჯერჯერობით, კვლავ ასაიდუმლოებენ.

თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 25 წლის ალენ ბორჩაშვილი პანკისის ხეობაში წლების მანძილზე მოქმედი და თითქმის ყველა რეზონანსული გატაცების ორგანიზატორის შოთა ჭიჭიაშვილის დაჯგუფების წევრია. დაკავებული ალენ ბორჩაშვილი ბოლო დროს პანკისის ხეობაში აღარ იმყოფებოდა. ხეობა მან ჯგუფის ხელმძღვანელთან – შოთა ჭიჭიაშვილთან ერთად დატოვა - ჯერ ბაქოში, ხოლო შემდეგ რუსეთში ცხოვრობდა. რამდენიმე თვის წინ ალენ ბორჩაშვილი პანკისში დაბრუნდა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, იგი ხეობაში ჯერ მალულად ცხოვრობდა, სიტუაციას ზვერავდა და მას შემდეგ გამოჩნდა "დღის სინათლეზე", როცა დარწმუნდა, რომ საფრთხე არ ელოდა.

ცოტა ხნის წინ, უშიშროების სამინისტროს მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა მძევალყოფილი ფრანცისკო კაბალა. მან ქართველ სამართალდამცველებს დეტალური ჩვენება მისცა და პანკისის ხეობაში ვიზიტისას ამოიცნო სახლი, სადაც ის და მისი თანამემამულე ჰყავდათ დატყვევებული. ფრანცისკო კაბალამ უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთა მიერ ნაჩვენებ ფოტოსურათებზე ამოიცნო გამტაცებლებიც – პირები, რომლებსაც ის და მისი პარტნიორი ერთი წლის მანძილზე ჯაჭვებით დაბმული ჰყავდათ.

გამოძიებისთვის უკვე ცნობილია, რომ ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა, ექვსი თვის განმავლობაში, სოფელ დუისში ალექსი ხანგოშვილის სახლში იყვნენ დატყვევებულები. ამ პერიოდში სახლის პატრონი ოჯახიანად თურქეთში იმყოფებოდა. სახლი მისმა ბიძაშვილმა, ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრმა ფარნაოზ ხანგოშვილმა გახსნა ისე, რომ ბიძაშვილისგან ნებართვა არ აუღია.

არსებული ინფორმაციით, შოთა ჭიჭიაშვილის 15-კაციანი ჯგუფი, რომელშიც, ძირითადად, ქისტები არიან, ადამიანით მოვაჭრეების, ცნობილი ძმები ახმადოვების პარტნიორი იყო. თუმცა, მოგვიანებით, საქმიანობის მასშტაბებით, ჭიჭიაშვილის ჯგუფმა ახმადოვებს აჯობა კიდეც. იგივე მონაცემებით, ორივე ჯგუფი დაკავშირებული იყო, როგორც ქართველ, ასევე რუს თანამდებობის პირებთანაც.

ჩვენი ინფორმაციით, წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე ტყვეობაში მყოფი ესპანელი მძევლები მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ესპანელთა ახლობლები მოსკოვში მოქმედ ჩეჩნურ კრიმინალურ დაჯგუფებასთან გავიდნენ კონტაქტზე და მძევალთა გამოსახსნელად სოლიდური თანხა გადაიხადეს.

სხვათა შორის, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის კახა ბაკურაძისა და უშიშროების სამინისტროს ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მაშინდელი უფროსის ლევან კენჭაძის სახელებმა ესპანელთა გატაცების საქმეში არასასურველ კონტექსტში გაიჟღერა. მართალია, ამ საქმესთან კავშირს კენჭაძე და ბაკურაძე კატეგორიულად უარყოფდნენ, გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, გენერალურ პროკურატურაში ამ გატაცების თაობაზე აღძრულ საქმეში მათ გვარებს ძირითადი ადგილი ეკავათ, მაგრამ საქმე ლოგიკურ დასასრულამდე არ მისულა.

ქართველმა კანონდამცველებმა შოთა ჭიჭიაშვილის ჯგუფის რამდენიმე წევრი დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. თუმცა, სერიოზული კავშირების მქონე შოთა ჭიჭიაშვილამდე ხელი ვერ მიუწვდათ. ადამიანებით მოვაჭრე ქისტმა და ძმებმა ახმადოვებმა პანკისის ხეობა მას შემდეგ დატოვეს, რაც ძალოვანთა მიერ პიტერ შოუს გასათავისუფლებლად დაგეგმილი ერთ-ერთი ოპერაცია ჩაიშალა – ოპერაციის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია ცნობილ კრიმინალებს თბილისიდან წინასწარ მიაწოდეს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ინგლისელი პიტერ შოუ და ბერი ბასილ მაჩიტაძე სწორედ ძმები ახმადოვებისა და შოთა ჭიჭიაშვილის ბანდის მიერაა გატაცებული.

პანკისის ხეობაში ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერაციებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, შსს-ს ძებნის სამმართველოს უფროსის გივი მღებრიშვილის განცხადებით, მამა ბასილ მაჩიტაძის ადგილსამყოფელი სამართალდამცველებისთვის ცნობილია. "დაზუსტებით ცნობილია, რომ მამა ბასილის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება და რომ ის თავს კარგად გრძნობს. უშიშროების სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ და უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მისი გათავისუფლების ოპერაცია განხორციელდეს," – განაცხადა გივი მღებრიშვილმა.

უშიშროების სამინისტრომ, ალენ ბორჩაშვილის დაპატიმრების შემდეგ, შოთა ჭიჭიაშვილსა და მისი ბანდის 7 წევრზე ძებნა გამოაცხადა.

# სასამართლოების გამჭვირვალობას ვებ-გვერდი უზრუნველყოფს

თეა ხოფერია

*საერთო სასამართლოებმა საჯაროობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია აცხადებს, ახლად გახსნილი საქართველოს საერთო სასამართლოების ინტერნეტ ვებ-გვერდი თითქმის ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას სასამართლოების საქმიანობის შესახებ.*

მიმდინარე სასამართლო საქმეების განრიგისა და გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციით დაწყებული, მოსამართლეების ბიოგრაფიებითა და მათი ბიბლიოთეკით დამთავრებული, ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტის შემდეგ მისამართზე: www.court.gov.ge. ვებ-გვერდი ყოველდღიურად განახლდება. **"ჯერჯერობით, ვებ-გვერდზე საქართველოს ყველა სასამართლოს შესახებ ინფორმაცია შესული არ არის. თუმცა, ეს მხოლოდ დროის პრობლემაა...**

**სიახლეა ისიც, რომ ვებ-გვერდზე ყველა გახმაურებული სასამართლო საქმის გადაწყვეტილება სასწრაფოდ გამოქვეყნდება, რაც, სხვათა შორის, ჟურნალისტებს ძალზე გაუადვილებს საქმიანობას. სასამართლოების მუშაობა კი მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება"**, - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ და ნახევრად ხუმრობით ისიც დააყოლა, რომ ის ყოველ დილით თავად გააკონტროლებს, არის თუ არა განახლებული ინფორმაცია შეტანილი ვებ-გვერდზე.

როგორც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციის სამმართველოს უფროსმა გიგა შუბითიძემ გუშინ საერთო სასამართლოების ვებ-გვერდის პრეზენტაციაზე განაცხადა - გარდა არსებული ინფორმაციისა, ვებ-გვერდზე სასამართლოებში გაჩენილი ვაკანსიების შესახებ ინფორმაციაც შევა. გვერდის საშუალებით მოეწყობა კონკურსები იურისტებისათვის და კვირაში ერთხელ გამარჯვებულიც გამოვლინდება.

აღნიშნული პროექტი სასამართლოების წარმომადგენლებმა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განახორციელეს. ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რეგიონული დირექტორის ქეროლაინ ქლარქ გემბელის განცხადებით, ის პირადად მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან ერთად ვებ-გვერდის შექმნის პროექტში.

**"თქვენი ვებ-გვერდი იმდენად მრავალფეროვან ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, როგორსაც, სხვათა შორის, აშშ-ს სასამართლოების ვებ-გვერდებიც კი ვერ აწვდიან. ეს მართლაც მისასალმებელია. მეც ვმონაწილეობდი ამ პროექტის შემუშავებაში და ჩემი კომენტარებიც კი დავაფიქსირე, თუმცა, თქვენ უფრო მეტი შეძელით,"** - განაცხადა ქეროლაინ ქლარქ გემბელმა პრეზენტაციაზე.

# ნაცემ პოლიციელს ომბუდსმენი იცავს

თამარ კაციტაძე

*რამდენიმე დღის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის მიერ, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლის ირაკლი თუშიშვილის დაკავების ფაქტს გუშინ სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი გამოეხმაურა. ომბუდსმენმა გენერალურ პროკურატურას ამ ფაქტის შესახებ მასალების შესწავლა მოსთხოვა. ნანა დევდარიანის განცხადებით, პოლიცია აღარც თავის თანამშრომლებს ინდობს, ამიტომ პოლიციელთა მიერ უფლებაშელახული პოლიციელის დაცვა სახალხო დამცველმა თავად იკისრა.*

შეგახსენებთ, ირაკლი თუშიშვილის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს გაურკვეველი მიზნით, პოლიციამ გამოგონილი ბრალდება - ყაჩაღობა მიაწერა და მას სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. როგორც სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ პატიმარს წინასწარი პატიმრობა განუსაზღვრა, კანონის თანახმად, იგი საპყრობილეში წაიყვანეს. მაგრამ ეზოში მიყვანილი ბრალდებული, შს მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის სატელეფონო ზარის შემდეგ, შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში დააბრუნეს. სახალხო დამცველის ინფორმაციითვე, წინასწარი დაკავების საკანში თუშიშვილი სასტიკად აწამეს. მას მთელი ღამის განმავლობაში კოლეგები ფეხის გულებზე სცემდნენ და დენის აპარატით აწამებდნენ.

**"როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ხაჟალიამ იცის, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით საქმის კურსშია ომბუდსმენი და დაკავებულს მაინც აწამებენ, ადვილი წარმოსადგენია, პოლიციაში უპატრონო დაკავებულებს რას უზამენ"**, - განაცხადა პრესკონფერენციაზე დევდარიანმა. იქვე ომბუდსმენმა სამინისტროს ხელმძღვანელობას შეახსენა, რომ სახალხო დამცველისთვის ჭკუის სწავლება - თუ ვისი უფლებები უნდა დაიცვას და ვისი არა, მათ კომპეტენციაში არ შედის. ომბუდსმენის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის გარდა, არ არის გამორიცხული, რომ თუშიშვილის საქმე შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილის ხელმძღვანელობის დაპირისპირების საბაბიც გახდეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, თუშიშვილმა ერთი საათი საპყრობილეში გაატარა და "კაპეზეში" იგი საპყრობილის დირექტორის მერაბ ბაღათურიას თანხმობით გადაიყვანეს.

**"თუშიშვილი საპყრობილეში სასამართლო გადაწყვეტილების მეორე დღეს შემოიყვანეს, ამის ოფიციალური დოკუმენტები არსებობს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, ვის დასჭირდა ამგვარი ინფორმაციის გავრცელება"**, - აღნიშნა №5 საპყრობილის დირექტორმა.

# სასამართლომ მტკიცებულებები უკანონოდ სცნო

*გუშინ საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა შარშან აგვისტოში, გირევის საგუშაგოსთან დაკავებული ერთ-ერთი ჩეჩნის – ჰამზატ ისაევის ადვოკატის შუამდგომლობა და განსასჯელის ბრალეულობის დამადასტურებელი თითქმის ყველა მტკიცებულება უკანონოდ სცნო.*

ისაევი ერთ-ერთია აგვისტოში დაკავებულ იმ სამ ჩეჩენს შორის, რომლებიც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რუსეთში ექსტრადიციისთვის ვერ გაიმეტა.

როგორც ცნობილია, გირევის საგუშაგოსთან დაკავებულ 13-ვე პირს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთასა და იარაღის უკანონოდ ტარებაში ედებოდათ ბრალი. თუმცა, ამ ცამეტი დაკავებულის ბედი სხვადასხვანაირად წარიმართა და ამას ქართული პრესა სისტემატურად აშუქებდა კიდეც.

რაც შეეხება ჰამზატ ისაევს, მისი სასამართლო პროცესი საოლქო სასამართლოში უკვე რამდენჯერმე გადაიდო, თუმცა, ფაქტობრივად, უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩეჩნებთან ერთად გირევთან დაკავებული ორი ქისტის მსგავსად, სასამართლო მასაც დარბაზიდანვე გაათავისუფლებს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, მოსამართლის მიერ განსასჯელის ადვოკატის მიერ წაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილება იძლევა. წინა პროცესზე ისაევის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა სასამართლოს განსასჯელის დაკავების, მისგან იარაღის ამოღების, იარაღის წარმოდგენის ოქმებისა და ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა მოსთხოვა. **"თითქმის ყველა ოქმი კანონის დარღვევით არის შედგენილი და არ შეიძლება, ისინი უტყუარ მტკიცებულებებად გამოდგეს სასამართლო გამოძიების პროცესში"**, - ასეთი გახლდათ ჩოფიკაშვილის პოზიცია. მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებით კი სასამართლომ, ისაევის ბრალდების დამადასტურებელი, ფაქტობრივად, ყველა მტკიცებულება უკანონოდ ჩათვალა. გარდა ამისა, გუშინდელ პროცესზე დაიკითხა ჩეჩნებთან ერთად დაკავებული ერთ-ერთი ქისტი მწყემსი – რობიზონ მარგოშვილი, რის შემდეგაც პროცესი 7 ივლისისთვის გადაიდო. ამ პროცესზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას მეორე ქისტი მწყემსის გიორგი კუშტანაშვილის მოწმედ მიყვანა.

## მოკლედ

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ უახლოეს დღეებში სასჯელის აღსრულების დაწესებულებებიდან გაქცეული პატიმრების დაკავების მიზნით, კიდევ რამდენიმე სერიოზული ღონისძიება ჩატარდება. როგორც სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ გივი მღებრიშვილმა განაცხადა, მათ გააჩნიათ ოპერატიული ინფორმაციები გაქცეული პატიმრების ადგილსამყოფელის თაობაზე, რომელთა მიმართ სათანადო ღონისძიებები გატარდება. "წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მათი ადგილზე ლიკვიდაცია მოხდება, ისე როგორც ეს ორი დღის წინ ქუთაისში მეხუთე საპყრობილიდან გაქცეული პაატა დოლაბერიძისა და ასევე ერთი წლის წინ საგარეჯოს მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული გავაშელიშვილის დაკავების მიზნით განხორციელებული ღონისძიებისას მოხდა", - აცხადებს გივი მღებრიშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა თბილისელი 42 წლის ირინა ასტუროვა დააკავეს. როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, ასტუროვასაგან სამართალდამცავებმა სარეალიზაციოდ გამზადებული 15 ამპულა "მორფინ ნიკომედი" ამოიღეს. დადგინდა, რომ აღნიშნული პრეპარატით მას სისტემატურად ამარაგებდა მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე, დროებით თბილისში მცხოვრები, 48 წლის ელენე მაჟალინა, რომელიც ასევე დაკავებულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენებისათვის, შსს-ს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა აფხაზეთის დახმარების საერთაშორისო ფონდი "სოხუმის" პრეზიდენტი, 68 წლის ძიბო ძოწენიძე და ამავე ფონდის კომერციული დირექტორი, 66 წლის ელიზბარ ღონისაშვილი ამხილეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, აღნიშნულმა პირებმა 2001 წლის მაისში შეადგინეს ყალბი უთარიღო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ფირმა "მებექსს" ფონდ "სოხუმი"-სათვის საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების მიზნით, 3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სასურსათო საქონელი უნდა მიეწოდებინა. ყალბი ხელშეკრულება ძოწენიძემ და ღონისაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარადგინეს და, საბაჟო წესების დარღვევით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაერთგზის გადმოიტანეს დიდი ოდენობით საქონელი, რის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს, საბაჟო გადასახადის სახით, 2 067 046 ლარის ოდენობით ზიანი მიაყენეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შსს-ს ძებნის სამმართველოსა და ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ეკატერინბურგში დააკავეს ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი 22 წლის ჯამბულატ სურმავა. სურმავამ 2002 წლის 25 იანვარს ამჟამად ბრალდებულ ზურაბ გივიაშვილთან, ასევე ვინმე გიასთან და კაკოსთან ერთად, მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა თბილისში მცხოვრებ მარგველაშვილის ოჯახზე, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს ოჯახის ერთ-ერთი წევრი. მზადდება მასალები სურმავას საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროსა და სხვა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს მცხეთის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრები, 28 წლის გიორგი წამალაშვილი და მისი თანატოლი ზურაბ სოზაშვილი, რომლებმაც „დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის სერჟანტს ზურაბ წიქარაძეს, ხოლო გიორგი წამალაშვილმა იგი საფანტის პისტოლეტით მუცელში დაჭრა. პისტოლეტი ერთი მჭიდითა და ორი ვაზნით ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი, პაკისტანის მოქალაქე, 26 წლის სახარგულ აფრეიდი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა გარდაბნის რაიონის სოფელ კარათაკლიას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარზე. სპირტიანი სასმელის მიღების შემდეგ იგი მდინარეში საბანაოდ შევიდა და დაიკარგა. მოკვლევას გაჩიანის შს ქვეგანყოფილება აწარმოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვში ადგილობრივმა მილიციამ დააკავა რამდენიმე ბინის გაქურდვაში ეჭვმიტანილი სამი პირი, რომელთაგანაც ორი ქართველია, ერთი კი - აფხაზი. მათ, მილიციის ინფორმაციით, სხვა ბინებთან ერთად, გაქურდეს სააქციო საზოგადოება "რუბინის" გენერალური დირექტორის ბინაც, საიდანაც 7 ათასი რუბლის ღირებულების ოქროულობა წაიღეს. სულ, მათ მიერ სხვადასხვა დროს ნაქურდალი ნივთების ღირებულება 235 ათას რუბლს შეადგენს. ნაქურდალი ნივთები ამოღებულია და ისინი უკვე მფლობელებს დაუბრუნეს. **მედია-ნიუსი**

# სომხეთში კანონმდებლობაზე მეტად მთავრობის სურვილი ფასობს

კახა დამენია

დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნით ხარჯებისა და გამოქვითვების მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხეთში. კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ ხარჯების ჩამონათვალი, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის შეიძლება ჩაითვალოს გამოსაქვით ხარჯად. ამასთან, ცალკეა გამოყოფილი სადაზღვევო და საბანკო სექტორისათვის გამოსაქვითი ხარჯების ჩამონათვალი. აგრეთვე, არსებობს ჩამონათვალი იმ ხარჯებისა, რომლებიც არ ითვლება გამოსაქვით ხარჯად.

სომხეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიებისათვის განსხვავებულ დებულებებს ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯების გამოქვითვასთან დაკავშირებით.

აზერბაიჯანისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა იმ ხარჯებისა, რომელიც დაკავშირებული არ არის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამასთან, კანონმდებლობა იძლევა გარკვეულ განმარტებებს და აწესებს შეზღუდვებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აზერბაიჯანის და საქართველოს მოდელი უფრო მარტივია როგორც გადამხდელისათვის, ასევე საგადასახადო ადმინისტრაციისათვის.

თითოეული საწარმოს თუ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია გამოსაქვითი ხარჯების ამომწურავი სიის შედგენა და ასეთი სიაც კი, მოკლე დროში მოძველდება, ბიზნესში ახალი დარგებისა და ტექნოლოგიების დანერგვის შესაბამისად.

სომხეთში ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვების განხორციელება, რიგ შემთხვევებში, მიბმულია რეალიზაციასთან, სხვადასხვა პირობებით.

ასეთი მიდგომა კიდევ უფრო ართულებს, ისედაც საკმაოდ რთულ გამოქვითვების სისტემას სომხეთში და განსაკუთრებით გადამხდელების მდგომარეობას. კერძოდ, წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვა, გარდა საფინანსო სექტორისა, მიბმულია მზა პროდუქციის რეალიზაციასთან. ეს კი მოითხოვს დიდი ოდენობით საბრუნავ საშუალებებს, რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გადამხდელთათვის.

საქართველოსა და აზერბაიჯანში ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება გართობაზე გაწეული ხარჯი, თუ იგი არ წარმოადგენს გართობითი ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში წარმოებულ ხარჯს.

აზერბაიჯანში ანალოგიური წესი ვრცელდება კვების, ცხოვრებისა და სხვა ასეთი ტიპის ხარჯებზეც. კერძოდ, ამ უკანასკნელის გამოქვითვის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ გადამხდელებს, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა სოციალური ხასიათისაა.

საქართველოში და სომხეთში წარმომადგენლობითი ხარჯები გამოიქვითება მთავრობის მიერ დადგენილი ნორმის ფარგლებში. საქართველოში ნორმა შეადგენს ერთობლივი შემოსავლის 0.05 პროცენტს.

სამივე ქვეყანაში ზარალი (ერთობლივ შემოსავალზე საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ხარჯების გადამეტება) გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება შემდგომი წლების შემოსავლების ხარჯზე. თუმცა, სომხეთში ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ბანკებზე.

გარდა ამისა, სომხეთის კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ 2001 წლის 1 იანვრამდე გამოუქვითავი ზარალი (მიუხედავად მისი წარმოშობის პერიოდისა) გამოქვითვას ექვემდებარება 2005 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული დებულებები არ ვრცელდება არარეზიდენტზე, რომელიც მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით საქმიანობს სომხეთში.

საქართველოში და აზერბაიჯანში ერთობლივი შემოსავლებიდან არ გამოიქვითება მოგების გადასახადი, რომელიც გადახდილია ამ ქვეყნებში ან სხვა სახელმწიფოში.

სამივე ქვეყნის კანონმდებლობით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი ფინანსური სანქციები.

საეჭვო ვალების ერთობლივი შემოსავლებიდან გამოქვითვის წესი სამივე ქვეყანაში იდენტურია. კერძოდ, გადამხდელს უფლება აქვს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს რეალიზაციის შედეგად დაგროვილი საეჭვო ვალი, რომელიც ასახული იყო მის ერთობლივ შემოსავალში, გაატაროს გამოსაქვით ხარჯად. ამასთან, საეჭვო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ჩამოწერილია და ასახულია ამ პირის საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

აზერბაიჯანში და საქართველოში საეჭვო ვალი განმარტებულია საგადასახადო კოდექსებით, ხოლო სომხეთში საეჭვო ვალს განსაზღვრავს მთავრობა.

საქართველოში და აზერბაიჯანში დაწესებულია შეზღუდვა კრედიტისათვის გადახდილ პროცენტებზე. კერძოდ, გადახდილი პროცენტები შემოსავლიდან გამოიქვითება არაუმეტეს კრედიტის გაცემის მომენტისათვის ბანკთაშორის საკრედიტო ვაჭრობით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის 150 პროცენტის (საქართველო) და 125 პროცენტის (აზერბაიჯანი) ოდენობებით.

განსხვავებულია საქართველოსა და აზერბაიჯანის კანონმდებლობით გათვალისწინებული სადაზღვევო შენატანების ხარჯების გამოქვითვა. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით გამოქვითვას ექვემდებარება სადაზღვევო შენატანები, გარდა მოგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის სადაზღვევო შენატანებისა, ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში - გარდა უცხოეთის სადაზღვევო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სიცოცხლის დაზღვევასთან და თავიანთი მუშაკების სასარგებლოდ ქონების ზარალთან დაკავშირებული გადახდები.

სომხეთში ასეთი ტიპის ხარჯზე არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვა.

სომხეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთობლივი შემოსავლიდან საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული ხარჯების გამოქვითვას, თუმცა არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლის 0.25 პროცენტისა.

სომხეთის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის გადამხდელს უფლება ეძლევა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან ისეთი ხარჯები, რომლებიც არ არის დადასტურებული დოკუმენტალურად, თუმცა სომხეთის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმის ფარგლებში.

ასეთი მოდელი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს გადამხდელის მდგომარეობას, რადგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ხშირად შეუძლებელია ხარჯების დოკუმენტალურად დადასტურება. ამასთან, იქმნება სერიოზული სტრატეგიული პრობლემა – ნაკლებია მოტივაცია, რომ აღირიცხოს ყველა სამეურნეო ოპერაცია.

სომხეთში ერთობლივი შემოსავლიდან აგრეთვე გამოიქვითება დოკუმენტალურად დადასტურებული ბუნებრივი და სხვა ფაქტიური ქონებრივი დანაკარგები. ამასთან, აღნიშნული დაქვითვების ზედა ზღვარი განისაზღვრება მთავრობის მიერ.

როგორც ვხედავთ, სომხეთში მრავალი საკითხის რეგულირება და ნორმების განსაზღვრა მთავრობაზეა დაკისრებული. ასეთი მიდგომა ამცირებს საგადასახადო კანონმდებლობის ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას.

აზერბაიჯანისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, არ გამოიქვითება ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან და სხვა ამგვარი ტიპის კაპიტალურ ხარჯთან. თუმცა ორივე (აზერბაიჯანი, საქართველო) ქვეყანაში ასეთი ტიპის აქტივებზე ვრცელდება საამორტიზაციო ანარიცხები.

სომხეთში განასხვავებენ ძირითადი საშუალებების შეძენაზე მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს, რაც განისაზღვრება მთავრობის მიერ. მიმდინარე ხარჯი მთლიანად გამოიქვითება შემოსავლიდან, ხოლო კაპიტალური - დადგენილი საამორტიზაციო ნორმის შესაბამისად.

ცალკეულ ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დაიშვება ყოველწლიურად წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით საქართველოს შემთხვევაში. ხოლო აზერბაიჯანის საგადასახადო კანონმდებლობით, ზემოაღნიშნული ნორმის განსაზღვრის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოს. აღნიშნულ ნორმაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი ზრდის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს და იგი გამოიქვითება დადგენილი საამორტიზაციო ნორმების შესაბამისად.

სომხეთში ძირითადი საშუალებების სარემონტო სამუშაოების დაფინანსება დაყოფილია მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად, რომელიც განისაზღვრება სომხეთის მთავრობის მიერ. მიმდინარე ხარჯი სრულად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო კაპიტალური ხარჯი ზრდის შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას.

სამივე ქვეყანაში გამოყენებულია ამორტიზაციის "დაჯგუფების" მეთოდი, ანუ ძირითადი საშუალებები, რომლებიც ექვემდებარებიან ამორტიზაციას ჯგუფდება ძირითადი საშუალებების კატეგორიის მიხედვით. ამასთან, შენობა და ნაგებობა არ ექვემდებარება დაჯგუფებას და საამორტიზაციო ანარიცხები დაერიცხება ცალკე.

მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეკონომიკური საქმიანობისთვის, აზერბაიჯანში და საქართველოში ქვემოთ ჩამოთვლილი საგნები არ ექვემდებარება ამორტიზაციას:

მიწა;

ხელოვნების ნიმუშები;

კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილი ძირითადი საშუალებები (საქართველოს შემთხვევაში);

სხვა არაამორტიზებადი აქტივები (აზერბაიჯანის შემთხვევაში აღნიშნული კატეგორია განისაზღვრება შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ).

ამასთან, აზერბაიჯანისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობები ითვალისწინებს დაჩქარებული ამორტიზაციის პრინციპს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი შეადგენს 50 აშშ დოლარზე ნაკლებს, იგი მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან; ხოლო აზერბაიჯანში - საშემოსავლო გადასახადის თვიური დაუბეგრავი მინიმუმის ხუთმაგი ოდენობის შემთხვევაში (დღევანდელი მდგომარეობით 100 აშშ დოლარი); გარდა ამისა, აზერბაიჯანში მთლიანად ექვემდებარება გამოქვითვას, თუ წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი შეადგენს საწყისი ღირებულების 5 პროცენტს.

სომხეთის საამორტიზაციო სისტემა განსხვავებულია. კერძოდ, თუ საქართველოში და აზერბაიჯანში საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები დადგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების პროცენტებში, სომხეთის კანონმდებლობით განსაზღვრულია საამორტიზაციო ვადები. ანუ, ძირითადი საშუალებების ამა თუ იმ ჯგუფისათვის დგინდება სრული ამორტიზაციის მინიმალური ვადა წლებში.

სომხეთში უბედურების ზონის ადგილებში ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია ერთწლიანი მინიმალური ვადით განისაზღვრება. უბედურების ზონის განსაზღვრას ახდენს სომხეთის მთავრობა. ანალოგიური, ერთწლიანი საამორტიზაციო ვადა, განისაზღვრება ქალაქ გიუმრიში არსებული ძირითადი საშუალებებისათვის. გარდა ამისა, ერთწლიანი საამორტიზაციო ვადა არის განსაზღვრული იმ ძირითადი საშუალებებისათვის, რომელთა ღირებულება არ აღემატება 90 აშშ დოლარს.

როგორც ვხედავთ, სომხეთის მოდელი ბევრად რთულია.

აზერბაიჯანის საამორტიზაციო მოდელის ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს დაწესებული ნორმების სიდიდეები. თუმცა მის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფების არაეფექტური დანაწილება. კერძოდ, აზერბაიჯანის კანონმდებლობით ერთი და იგივე ჯგუფში შედის მსუბუქი ავტომობილიც და გემიც. ამ მხრივ საქართველოს საამორტიზაციო მოდელი უფრო მოქნილია. მაგალითად: მსუბუქი ავტომობილები (I ჯგუფი), ავტობუსები და სატვირთო ავტომობილები (II ჯგუფი), სარკინიგზო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებები (III ჯგუფი) სხვადასხვა ჯგუფებში არიან განლაგებული, რაც გაცილებით ლოგიკურია მათი გამოყენების ხანგრძლივობისა და ღირებულების გათვალისწინებით.

## საშემოსავლო გადასახადი

სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა ხორციელდება მოგების გადასახადისათვის განსაზღვრული ნორმატივების შესაბამისად. კერძოდ, შემოსავლებისა და ხარჯების დადგენა ხდება მოგების გადასახადისათვის დადგენილი ნორმების ფარგლებში.

გარდა ამისა, სომხეთში ფიზიკურ პირს უფლება აქვს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ქველმოქმედებისათვის გაღებული თანხები, მაგრამ არა უმეტეს დასაბეგრი შემოსავლის 5 პროცენტისა.

სს გალტ & თაგგარტ სეკიურითისი
JSC GALT & TAGGART SECURITIES
კორპორატიული ფინანსები
თეორია, ანალიზი, პრაქტიკა
ტელ: (995 32) 235 800
ფაქსი: (995 32) 235 804
www.galtandtaggart.ge

# საქართველოს კაპიტალის ბაზარი

**გასულ კვირას გალტ ენდ თაგგარტ ბლუ ჩიპ ინდექსი (GTBCI) ლარის გამოსახულებაში უცვლელი დარჩა, ხოლო დოლარის გამოსახულებაში 0.23%-ით გაიზარდა** მცირე - 15.5 ათასი ლარი მოცულობის ვაჭრობის შედეგად. ვაჭრობის სპექტრი შემცირდა, რადგან მხოლოდ შვიდ სხვადასხვა აქციაზე დაიდო გარიგება. შესაძლოა, ეს იმაზე მიანიშნებდეს, რომ ბაზარი უკვე დაბალი აქტივობის ფაზაში შევიდა, რაც ზაფხულის სეზონთან არის დაკავშირებული. Blue Chip აქციების ბრუნვამ საფონდო ბირჟის კვირის სავაჭრო მოცულობის 49% შეადგინა.

"ყაზბეგის" (KAZB) - ქართული ლუდის მწარმოებელი წამყვანი კომპანიის აქციები, ჯამური 7.6 ათასი ლარის მოცულობით, კვირის ორივე სავაჭრო სესიაზე გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ გასულ პარასკევს (ანუ 20 ივნისს) ჩატარდა ყაზბეგის აქციონერთა კრება.

ჩვენთვის ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ კომპანია, 2002 წლის ფინანსური შედეგების მიხედვით, არათუ გაზრდიდა დივიდენდების გადახდის მაჩვენებელს, არამედ საერთოდ გადაიხდიდა დივიდენდებს. ამის საფუძველს იძლეოდა 2002 წლის ფინანსური მაჩვენებლები, განსაკუთრებით კი შემცირებული EBITDA (მოგება პროცენტების და მოგების გადასახადის წინ პლუს ამორტიზაცია) და, შესაბამისად, წმინდა მოგების 0.2 მლნ ლარამდე დაცემა 2001 წლის 1.4 მლნ ლართან შედარებით; თუმცა აკუმულირებული მოგების ხარჯზე ყაზბეგმა 0.3 მლნ ლარის დივიდენდების გადახდა, ანუ აქციაზე 0.11 ლარი გამოაცხადა, რაც აღემატება 2001 წლის მაჩვენებლების მიხედვით გადახდილ დივიდენდს - 0.09 ლარს აქციაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ყაზბეგის ზრდის მაღალ პოტენციალს და საქართველოს ლუდის მზარდ ბაზარს, მაშინ შედარებით მიზანშეწონილი იქნებოდა თავისუფალი სახსრების საწარმოშივე ინვესტირება, ვიდრე მათი დივიდენდების სახით განაწილება. აღსანიშნავია, რომ 0.34 EV/Sale (კომპანიის ღირებულება/წმინდა გაყიდვები) კოეფიციენტის მიხედვით, ყაზბეგის აქცია მნიშვნელოვანი დისკონტით იყიდება რუსულ და დსთ-ს ლუდის მწარმოებელ მსგავს კომპანიებთან შედარებით.

**გასულ კვირას 126-დღიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 53.2%-ით განისაზღვრა.** მთავრობამ შეინარჩუნა კონსერვატული საემისიო პოლიტიკა და ბაზარზე მოთხოვნის მოსალოდნელი შემცირების გათვალისწინებით შეამცირა მიწოდება. გასულ ოთხშაბათს, აუქციონზე, 126-დღიანი ვალდებულებები 4.5 მლნ ლარი მოცულობით იქნა გამოტანილი, თუმცა მთავრობას სახაზინო ვალდებულებების რეფინანსირებისათვის 6.0 მლნ ლარი სჭირდებოდა. ჩვენი პროგნოზის შესაბამისად, სავალუტო ფონდის პროგრამის გაგრძელებასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ ინვესტორებს სახაზინოებში ინვესტირებისას მეტი სიფრთხილისაკენ უბიძგა.

შედეგად, აუქციონზე წარდგენილი 87 განაცხადის ჯამურმა ღირებულებამ 4.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც მხოლოდ 0.2 მლნ ლარით აღემატებოდა მიწოდებას. ასეთი მცირე გადაჭარბების გამო პროცენტები გაიზარდა და დაკმაყოფილებული განაცხადების განაკვეთები წლიური 38.0%-დან 68.0%-მდე იცვლებოდა. შესაბამისად, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 126-დღიან ვალდებულებებზე წინა განთავსებასთან შედარებით 344 საბაზისო პუნქტით გაიზარდა და წლიური 53.16% შეადგინა.

მომავალ ოთხშაბათს 4.5 მლნ ლარი მოცულობის სახაზინო ვალდებულებები დაიფარება. ჩვენი აზრით, მთავრობას მომდევნო კვირებში გაუჭირდება განაკვეთების და დაფინანსების მოთხოვნილებას შორის არსებული ბალანსის შენარჩუნება, რაც ლარის დევალვაციის და სახაზინოებზე დეფოლტის გაზრდილ რისკებს უკავშირდება. შედეგად, განაკვეთების მკვეთრი მატება საკმაოდ რეალურია. გასული კვირა ამ მოსაზრების ნათელი დადასტურება იყო. ერთი მხრივ, სავალუტო ფონდის პროგრამის შესაძლო შეწყვეტა, რასაც, სავარაუდოდ, მსოფლიო ბანკის დაფინანსების შეჩერება მოჰყვება და "პარიზის კლუბში" ვალების გადავადებაზე უარი, მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს საგარეო ვალებზე დეფოლტის რისკს და ლარის დევალვაციის ალბათობას (დევალვაციის მიზეზი ქვეყანაში უცხოური ვალუტის ნაკადის შემცირება შეიძლება გახდეს). მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების 65 მლნ ლარის დანაკლისი, პირველი ხუთი თვის შედეგების მიხედვით, პენსიების და სახელფასო დავალიანების დაგროვების მიზეზი გახდა. მთავრობა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ შეეცდება ამ დავალიანების დაფარვას და ეცდება, არსებული დეფიციტის დაფინანსების გზები გამოძებნოს. გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად შედარებით გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების გამოშვება განიხილება. ჩვენი აზრით, დღეისათვის ადგილობრივ ბაზარს არ აქვს საკმარისი რესურსები ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და ბაზარი არ არის განვითარებული გრძელვადიანი ვალდებულებების ასათვისებლად. უფრო მეტიც, ინვესტორები გაზრდილი პოლიტიკური რისკის გამო, სავარაუდოდ, შედარებით ფრთხილად მოეკიდებიან ინვესტირებას იმ სახაზინო ვალდებულებებში, რომელთა დაფარვა არჩევნების შემდეგ პერიოდზე მოდის.

თუმცა მთავრობას გააჩნია სხვა ალტერნატივაც. მას შეუძლია მიმართოს ეროვნული ბანკისგან ფულის სესხებას და არჩევნების წინა პერიოდში გაისტუმროს საპენსიო და სახელფასო დავალიანება. ეს, რა თქმა უნდა, ლარის დევალვაციას შეუწყობს ხელს, თუმცა ეფექტი შესამჩნევი გახდება არჩევნების შემდეგ. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სავალუტო ფონდის პოზიციის გარკვევამდე სახაზინო ვალდებულებებში ინვესტირების რისკი საკმაოდ მაღალი რჩება.



საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მწირედ მიდის.

**გალტ ენდ თაგგარტის ბლუ ჩიპ ინდექსის (GTBCI) შემადგენელი კომპანიები**

| კომპანია | კოდი | ფასი (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | 0.70 | 56,803,520 | 0.3 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | 0.62 | 13,020,000 | 31.7 |
| საქართველოს ბანკი | GEB | 1.30 | 13,000,000 | 39.0 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | 1.20 | 8,896,302 | 2.9 |
| ყაზბეგი | KAZB | 2.00 | 5,600,000 | 15.1 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | 1.00 | 1,966,030 | 4.4 |
| საქქალაქმშენპროექტი | SQMP | 6.51 | 1,615,580 | 6.0 |
| რუსთავცემენტი | RUCE | 0.50 | 790,480 | 0.5 |
| სულ | | | 101,689,430 | 100 |

*ლექსო ლიპარტელიანი*
*საინვესტიციო-საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კაპიტალის ბაზრების დარგში*

# ერთი დეფოლტის ისტორია

*დიდი მოცულობის საგარეო და საშინაო ვალებმა, უცხოური ვალუტის რეზერვების სიმწირემ, საბიუჯეტო შემოსავლების მუდმივმა კლებამ და დევალვაციის (ვალუტის კურსის დაცემა სხვა ვალუტებთან მიმართებაში) საყოველთაო მოლოდინმა აგვისტოსათვის ის კრიტიკული ზღურბლი გადალახა, რომლის შემდეგაც სავალუტო კრიზისი გარდაუვალი შეიქმნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ მთავრობა რამდენჯერმე შეხვდა ქვეყნის უდიდესი კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს და თხოვნა-მუქარის გამოყენებით აიძულა ისინი, გაეგრძელებინათ მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების შეძენა, მიუხედავად ამ უკანასკნელთა ყოველმხრივ დასაბუთებული ეჭვებისა, რომ დეფოლტი (ფინანსური ვალდებულების გადახდაზე ამა თუ იმ მიზეზით უარის თქმა) სახაზინო ობლიგაციებზე უკვე გარდაუვალი იყო. აგვისტოს მეორე ნახევარში მთავრობამ უარი განაცხადა ეროვნული ვალუტის კურსის ხელოვნურ გამაგრებაზე (უცხოური ვალუტის რეზერვების ეროვნულ სავალუტო ერთეულებზე გაყიდვის გზით), განახორციელა დეფოლტი საშინაო ვალებზე და გაამკაცრა სავალუტო ოპერაციების კონტროლი. ამ მოვლენებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მოსახლეობის საშუალო შემოსავალი 15%-ით დაეცა, უმუშევრობის დონე მკვეთრად გაიზარდა, მრავალი კომერციული ბანკი გაკოტრდა და უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე პირველად აღინიშნა ეკონომიკის უარყოფითი ზრდა (ვარდნა).*

ეს გახლავთ იმ მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, რომელიც წინ უსწრებდა რუსეთის 1998 წლის დამანგრეველ სავალუტო კრიზისს. სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესები თითქმის აბსოლუტური სიზუსტით მიჰყვება რუსულ სცენარს. მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული პოლიტიკური არასტაბილურობა კი მხოლოდ ამძიმებს ისედაც მეტად რთულ ვითარებას. მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის მდგომარეობით, საბიუჯეტო შემოსავლებმა, რომლებიც, გეგმის თანახმად, 435.5 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო, რეალურად მხოლოდ 369 მილიონი ლარი შეადგინა. წლიური ბიუჯეტი რომ შესრულდეს, 2003 წლის ბოლომდე დარჩენილი ყოველი თვის განმავლობაში მთავრობამ 93 მილიონი ლარის (გრანტების გათვალისწინების გარეშე) ამოღება უნდა შეძლოს. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვისთვის შემოსავლების საშუალო ყოველთვიური ამოღება დაახლოებით 72 მილიონ ლარს შეადგენდა, ცხადი ხდება, რომ ასეთი ამოცანა, რბილად რომ ვთქვათ, უაღრესად რთული შესასრულებელი იქნება. რუსეთის მაგალითი და საქართველოს მასმედიის მიერ ფინანსურ წრეებში ფართოდ გაშუქებული ამ თემაზე მიმდინარე დისკუსიები გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო დეფიციტის შევსებას სახაზინო ვალდებულებების დამატებითი, ადრეულთან შედარებით დიდი მოცულობის ემისიის მეშვეობით აპირებს. იმისათვის, რომ დეფოლტის გაზრდილი რისკის პირობებში ახალმა სახაზინო ვალდებულებებმა შეინარჩუნოს მიმზიდველობა კომერციული ბანკებისა თუ სხვა ინვესტორებისათვის, მთავრობას მოუწევს ამ ვალდებულებებზე ისედაც მაღალი საპროცენტო განაკვეთების კიდევ უფრო გაზრდა. ამ შემთხვევაშიც კი, დეფოლტის გაზრდილი რისკის პირობებში, მოსალოდნელია, რომ კომერციული ბანკების მოთხოვნა ამ ფასიან ქაღალდებზე მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება იმ მოცულობაზე, რაც მთავრობას სჭირდება საბიუჯეტო შემოსავლების დანაკლისის საკომპენსაციოდ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რუსეთის კრიზისამდე რამდენიმე კვირით ადრე განაკვეთებმა რუსეთის სახაზინო ქაღალდებზე 47 პროცენტს (ინფლაციის გათვალისწინებით - 37 პროცენტს, რუსეთისათვის მეტად მაღალი განაკვეთი) მიაღწია. სტაბილურ საბაზრო გარემოში ასეთი მაღალი განაკვეთი სახაზინო ვალდებულებებზე უზარმაზარ მოთხოვნას გამოიწვევდა, რაც, თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას შეუწყობდა ხელს. მიუხედავად ამისა, რუსულმა კომერციულმა ბანკებმა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ დეფოლტი, პრაქტიკულად, გარდაუვალი იყო, არც თუ დიდი დაინტერესება გამოიჩინეს. მთავრობამ რამდენიმეჯერ აიძულა ისინი, შეეძინათ სახაზინო ობლიგაციები. ბანკებმა კრიზისის წინა კვირაში, ყველაფრის მიუხედავად, სახაზინო ვალდებულებების შეძენაზე უარი განაცხადეს, რამაც, ფაქტობრივად, ბიძგი მისცა ამ სტატიის შესავალში აღწერილ მოვლენებს.

იბადება კითხვა: ხომ არ ემსახურებოდა მთავრობისა და კომერციული ბანკების ამასწინდელი გასაიდუმლოებული შეხვედრა იმ მიზანს, რომ მთავრობას სხვადასხვა, ძირითადად, არაეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით დაეთანხმებინა კომერციული ბანკები ახალი სახაზინო ვალდებულებების დიდი მოცულობით შეძენაზე. Galt&Taggart-მა ჯერ კიდევ მარტში ივარაუდა მოვლენების ამგვარი განვითარება. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შესაბამისი ანალიზი იხილოს ჩვენს ვებგვერდზე (www.galtandtaggart.ge) განთავსებულ საფინანსო ბაზრების მიმოხილვის მარტის გამოცემებში.

სახაზინო ვალდებულებებზე დეფოლტის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის დასკვნა ფონდის მიერ საქართველოს ეკონომიური დახმარების პროგრამის განახლების მიზანშეწონილობის შესახებ დადებითი იქნება. მეორე მხრივ, სსფ-ს მიერ დახმარების პროგრამის გაგრძელებაზე უარის თქმა მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება იმისა, რომ მსოფლიო ბანკმაც გადახედოს საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებს, ხოლო პარიზის კლუბმა (კრედიტორი ქვეყნების ჯგუფი) უარი თქვას საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციაზე. ასეთი "დომინოს ეფექტის" შედეგი ხშირ შემთხვევებში არის ხოლმე ფინანსური სისტემის დესტაბილიზაცია, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ეკონომიკის ზრდის ტემპების დაცემა და უმუშევრობის ზრდა. ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ჩვენ დღეს აღმოვჩნდით, ძირითადად, ღრმა საბიუჯეტო პრობლემების და საშინაო ვალების არაეფექტური მენეჯმენტის შედეგია. საზოგადოების გარკვეულ ფენებში ფართოდ გავრცელებული აზრი, თითქოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს (მაგალითად, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს) უნდა დაეკისროს არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობა, აბსოლუტურად დაუსაბუთებელია. პრობლემების მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენი ქვეყნის მიერ წლების განმავლობაში გატარებულ არაეფექტურ ეკონომიკურ პოლიტიკაში.

*გოგა ჯაფარიძე*
*საინვესტიციო საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კორპორატიული ფინანსების დარგში*

www.24hours.ge 24 B

# "ხელოვნების ზეიმი" ერთი წლისაა

## ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციული გახდება

მადი სერებრიაკოვა

ცნობილი ქართველი მევიოლინის - ლიანა ისაკაძის სახელი მისი უშუალო შემოქმედებითი მიღწევების გარდა, კიდევ არა ერთ ღირსშესანიშნავი წამოწყებას დაუკავშირდა. მათ შორის, ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი" -ალბათ, განსაკუთრებულია. მართალია, ფესტივალების ნაკლებობას საქართველოში აღარ ვუჩივით, მაგრამ მათი უმეტესობა, ძირითადად, თბილისშია კონცენტრირებული. საქართველოს სხვა რეგიონები კი უსამართლოდ არიან საქართველოს კულტურულ ღონისძიებათა რუკიდან ამოღებული. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი რეგიონი - ბორჯომის ხეობა შარშან მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოების ყურადღების ცენტრში ფესტივალ "ხელოვნების ზეიმის" წყალობით მოექცა. 2002 წლის პირველი ფესტივალის წარმატებამ განაპირობა "ხელოვნების ზეიმის" ტრადიციად დამკვიდრება. ამიერიდან ფესტივალი ყოველწლიურად გაიმართება. 17 ივლისს კი იგი მეორედ გაიხსნება ბორჯომის ხეობაში.

ფესტივალის სულისჩამდგმელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე, ოდესღაც ანალოგიურ ღონისძიებას ბიჭვინთაში მართავდა. მაშინ იგი მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა არამარტო საქართველოს კულტურული ცხოვრებისათვის. 1991 წლიდან ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ლიანა ისაკაძეს არ განელებია სურვილი ანალოგიური ღონისძიება მოეწყო საქართველოს რომელიმე რეგიონში. გასულ წელს, "ხელოვნების ზეიმის" განხორციელება, სწორედ ცნობილი მევიოლინეს თავდადებული ბრძოლის შედეგია. შარშანდელი ფესტივალის წარმატება რამოდენიმე ფაქტორმა განაპირობა: პირველ რიგში, ღონისძიების მაღალმხატვრულმა დონემ, რომელიც გასცდა რეგიონურ მასშტაბს და მსოფლიოს სცენის საუკეთესო ოსტატები მოიზიდა საქართველოში; ამასთან, მრავალფეროვანმა პროგრამამ, რომელმაც კლასიკური, ფოლკლორული და ჯაზური მუსიკა, თეატრი, მხატვრობა და ლიტერატურა გააერთიანა. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, თუ რამდენად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ფესტივალი ბორჯომის ხეობის თავისებურებებიდან გამომდინარე: განსაკუთრებული ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის ენთუზიაზმი, რომელთაგან მრავალმა, ფაქტობრივად, პირველად შეაღო საკონცერტო დარბაზების კარი - საუკეთესო მიზეზია იმისთვის, რომ "ხელოვნების ზეიმი" ტრადიციად ქცეულიყო.

გასული ფესტივალი ვიქტორ პიკაიზენის, უვე ბერკემერის კლასიკური საღამოებით, ვლადიმირ ტარასოვის "დემონური რიტმებით" გაჯერებული ჯაზით, ლიანა ისაკაძის იმპროვიზებული სიურპრიზებით და კიდევ სხვა მრავალი მაღალპროფესიული და ამავე დროს, ორიგინალური ღონისძიებით აღინიშნა. წელსაც ფესტივალი მრავალ სიურპრიზსა თუ აკადემიურ კონცერტს გვპირდება. კიდევ ერთხელ ჩამოვა "ფენომენალური ჩელისტი" (ეს ეპითეტი მუსიკოსის მისამართით პენდერეცკის ეკუთვნის) - ივან მონიგეტი, რომელიც ლიანა ისაკაძესა და კიდევ რამოდენიმე მუსიკოსთან ერთად სახელდახელო ანსამბლითაც წარდგება. ასევე, კიდევ ერთხელ გვეწვევა ზემოთნახსენები ვლადიმირ ტარასოვი, რომელიც იმპროვიზაციული ჯაზის საღამოს ამჯერად პიანისტ პატრიკ შეიდერსა (საფრანგეთი) და ვოკალისტ ლორენ ნიუტონთან (აშშ) ერთად გამართავს.

სტუმრებს შორის შეიძლება ასევე პიანისტი და დირიჟორი იუსტუს ფრანცი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლარნეტისტი ედუარდ ბრუნერი, დ. შოსტაკოვიჩის სახელობის სიმებიანი კვარტეტი, პიანისტი ნიკოლაი პეტროვი და ალტისტი მაიკლ ზარეცკი აღინიშნოს.

ტრადიციულად, ფესტივალს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი უმასპინძლებს. ბორჯომის ფესტივალის არსებობა მის გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა. 2000-2001 წლებში კამერული ორკესტრი გერმანიის ქალაქ დიტცენბახის საერთაშორისო ფესტივალის საბაზო ორკესტრი იყო. "ხელოვნების ზეიმის" შარშანდელი გამოშვებაც სწორედ ბორჯომი-დიტცენბახის საერთაშორისო ფესტივალის ტიტულს ატარებდა. წელს ორკესტრმა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გამართა: მათ შორის, ბაირონის 215 წლისთავისადმი, პროკოფიევის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი და ნიდერლანდების დედოფლის დაბადების დღისა და თამარობისადმი მიძღვნილი კონცერტ-საღამოები. წლევანდელ "ხელოვნების ზეიმზე" სახელმწიფო კამერული ორკესტრი ხუთი დირიჟორის ხელმძღვანელობით წარდგება: გიორგი ჟორდანიას, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული ვახტანგ ჟორდანია და კონსტანტინე ორბელიანი, ასევე გერმანელი იუსტუს ფრანცი და ესტონელი ერი კლასი შეენაცვლებიან.

ფესტივალის განსაკუთრებულ მონაწილეთა შორის უდავოდ უნდა აღინიშნონ ლიანა ისაკაძის სტიპენდიანტი ახალგაზრდა მუსიკოსები. სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად ჩვენ ცოტა ხნის წინათ მოვუსმინეთ ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეს გივი ნასარიძეს; ამ უკანასკნელს შეუერთდებიან გიორგი ლემონჯავა და ქეთევენ როინიშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ კამერული ორკესტრის მუსიკოსები ფესტივალისთვის სახელდახელოდ შექმნილ ანსამბლებში სოლისტებადაც მოგვევლინებიან.

მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება ფესტივალის პროგრამა: ბახის, მოცარტის, შუბერტის, ბიზეს, პროკოფიევის, ჩაიკოვსკისა თუ რახმანინოვის გვერდით შესრულდება შონბერგის, ვებერნის, მესიანისა თუ ტავენერის ნაწარმოებები. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს საგუნდო კოლექტივიც: კამერული გუნდი "პირველი" (სამხატვრო ხელმძღვანელი - ნანა ხუნდაძე; ქორმეისტერი - გივი მუნჯიშვილი).

ხელოვნების დარგებიდან წლევანდელი ბორჯომის ფესტივალი თეატრსა და სახვით ხელოვნებასაც მოიცავს. თეატრალური დასებიდან მასში მონაწილეობას პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრი, ქართული ხელის ჩრდილების თეატრი და საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი მიიღებენ. როგორც შარშან, წელსაც დარგების უჩვეულო სინთეზია მოსალოდნელი. მაგალითად, პანტომიმის თეატრი ერთობლივ წარმოდგენას სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად გამართავს.

სახვითი ხელოვნება რუსუდან ფეტვიაშვილისა და იაპონელი მხატვარის კოხო მორის გამოფენებით იქნება წარმოდგენილი.

როგორც შარშან, წლევანდელი ფესტივალიც საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით ეწყობა. სახელმწიფო კამერული ორკესტრი ბორჯომის ფესტივალის გარდა კიდევ ერთ სიახლეს უყრის საფუძველს. ამიერიდან, "ხელოვნების ზეიმთან" ერთად, კიდევ ერთი - სააღდგომო ფესტივალი "ამაღლება" მოეწყობა. ეს უკანასკნელი მომავალ წელს აღდგომიდან ამაღლების დღესასწაულამდე გასტანს. ამჯერად ეს ფესტივალი თბილისში გაიმართება. ერთი ძველი გამოთქმისა არ იყოს - "აღდგომა და ხვალეო!". თუმცა, მანამდე წინ საგარაკო სეზონი და ბორჯომის ფესტივალის პერსპექტივა გვაქვს. თავად ლიანა ისაკაძე ფესტივალის მოსამზადებელ სამუშაოებს უცხოეთიდან უძღვება. საქართველოში ჩამოსვლამდე მას დაძაბული საკონცერტო გრაფიკიც აქვს: კონცერტები ლონდონში, ლისაბონსა და ესტონეთში.



ლიანა ისაკაძე და ვლადიმირ ტარასოვი

# ამერიკის საჯარო ცნობიერება

## სიუზენ სონტაგი

ანა კორძაია-სამადაშვილი

გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანებამ წლევანდელი მშვიდობის პრემიის ლაურეატი დაასახელა - ამერიკელი მწერალი, 70 წლის სიუზენ სონტაგი. 12 ოქტომბერს, ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის დროს, მას ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო და 15 ათასი ევრო ფრანკფურტში, წმინდა პავლეს ტაძარში გადაეცემა.

უკვე 53 წელია, რაც მშვიდობის პრემია იმ ავტორებს გადაეცემათ, რომელთაც მშვიდობის იდეის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. სონტაგი მისი მფლობელი მეშვიდე ქალი იქნება.

სიუზენ სონტაგი "ყალბი სურათებისა და შებღალული სიმართლის სამყაროში თავისუფალი აზროვნების ფასეულობებს იცავს", ეწერა გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანების განცხადებაში, რომელიც გასულ კვირას ფრანკფურტში გამოქვეყნდა. “ამავე დროს ის ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური დესპანი იყო.”

ბირჟათა გაერთიანება თავის კანდიდატურას შემდეგნაირად ასაბუთებს: “სონტაგმა დასავლური სამყაროს არსი და ფასეულობები გამოიკვლია და დაიცვა. ამ დროს მას არასოდეს დავიწყებია ევროპული მემკვიდრეობა და დიდი წვლილი მიუძღვის ევროპული, განსაკუთრებით კი გერმანული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მისმა წიგნებმა, მათ შორის "სხვათა ტანჯვის ცქერაამ" (2003), რომელიც ომის ფოტოგრაფიას ეხება, გერმანელ მკითხველზეც უდიდესი გავლენა იქონია”.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 70 წლისა ბრძანდება, ის დღესაც ამერიკის ყველაზე გავლენიან ინტელექტუალთა რიცხვს მიეკუთვნება, და თავს იმის საჯაროდ თქმის ნებასაც აძლევს, რის ხმამაღლა გაფიქრებასაც კი იშვიათად თუ ვინმე ბედავს. მის ინტერვიუებში ხშირად შეხვდებით პოლიტიკური ხასიათის გამონათქვამებს, ხოლო ჟურნალმა "თაიმმა" სონტაგს "ამერიკის საჯარო ცნობიერება უწოდა", “აშშ-ს თანამედროვე ლიტერატურის grande dame და enfant terrible”. ის ყოველთვის ყველაფერში ერევა.

ამის მაგალითი თუნდაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომი გამოსვლაა. მაშინ სონტაგი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობასთან სულ ახლოს ცხოვრობს და მუშაობს, ცეცხლოვანი კრიტიკოსის როლში მოგვევლინა. მან ტერორისტული აქტების კომენტირებას პოლიტიკოსთა და მედიების მიერ წამოწყებული კამპანია უწოდა, და ბრძანა, რომ მათი მიზანი საზოგადოების გაბრიყვება იყო. მან თქვა, რომ სინამდვილეში ეს ტერორისტული აქტი ის არაა, რასაც ბუშის მთავრობა ამტკიცებს – ის არაა მიმართული ცივილიზაციისა და თავისუფლების წინააღმდეგ. 11 სექტემბრის ამბავი ამერიკის სუპერძალაუფლების მოპოვების პოლიტიკის შედეგიაო, - ხსნის სონტაგი. ცხადია, ეს სიტყვები მის სამშობლოში არაპატრიოტულად იყო მიჩნეული, იქ ხომ საერთოდ ყველაფერი არაპატრიოტულად მიაჩნიათ, გარდა სიტყვებისა - "მე ჩემი პრეზიდენტის ზურგსუკან ვდგავარ"! ამასთან დაკავშირებით მას კონსერვატორთა საყვირის, გაზეთ New Republic-ის კორესპონდენტი შეეკითხა: "რა აქვთ საერთო ოსამა ბინ ლადენს, სადამ ჰუსეინს და სიუზენ სონტაგს?" პასუხი ასეთი იყო: "სამივეს ამერიკის დანგრევა უნდა". ასეთივე შემართებით გამოვიდა სონტაგი 20 წლის წინათაც, როდესაც პოლონეთის შესახებ იყო საუბარი: "კომუნიზმი ფაშიზმია".



სიუზენ სონტაგი - თავისუფლება შორს არ არის

მოკლედ, სიუზენ სონტაგს ხმა ვერავინ ჩააწყვეტინა. მწერალს, რომელსაც უამრავი ჯილდო აქვს მიღებული, არასოდეს უდარდია, რომ მის სიტყვებს შეიძლება ვინმეს გაღიზიანება გამოეწვია.

მისი ნამდვილი სახელია სიუზან როზენბლატი. ის 1933 წელს, ნიუ იორკში დაიბადა, ლამაზი და თვითდაჯერებული ბავშვი იყო. მას ბებია და ბაბუა ზრდიდნენ, მშობლები ჩინეთში იმყოფებოდნენ. მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ სიუზენი და მისი უმცროსი და კალიფორნიაში წაიყვანა საცხოვრებლად. გოგონა ენციკლოპედიებს ჩაუჯდა, ბევრს კითხულობდა, ყველაზე მეტად ედგარ ალან პო უყვარდა. 16 წლისამ ჩიკაგოს უნივერსიტეტში ფილოსოფიის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის შესწავლა დაიწყო. ერთ წელიწადში გათხოვდა და ბავშვი გააჩინა. მისი ვაჟი, დევიდი, დღეს თავადაც მრავალი წიგნის ავტორი გახლავთ.

სიუზენი ოქსფორდში, ბერკლიში და ჰარვარდში სწავლობდა. ჰარვარდში ფილოსოფიის სფეროში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. შემდეგ პარიზში გაემგზავრა, სადაც ფრანგული ეგზისტენციალიზმით დაკავდა. მერე ქმარს გაშორდა, ნიუ იორკში დაბრუნდა, კოლუმბიის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა და იქვე თავის პირველი დიდი ნაწარმოების წერა დაიწყო. დღეს ის იგონებს, იმხანად ყოველდღე თითო წიგნს ვკითხულობდიო.

ჩვენს გმირს ლიტერატურული ამბიციები მაშინ გასჩენია, როცა სულ პატარა გოგო იყო. 14 წლის სიუზენი უკვე ცნობილი ქალი ბრძანდებოდა – თვით თომას მანმა ჩაიზე მიიწვია. წერასთან ერთად სიუზენი 26 წლიდან გაზეთ Commentary-ის ერთ-ერთი გამომცემელიც იყო. 60-70-იან წლებში სონტაგი ესეებს, რომანებს, მოთხრობებსა და კრიტიკულ სტატიებს წერდა - პოლიტიკაზე, ეთიკაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ფოტოგრაფიასა თუ ლიტერატურაზე. ის ფილმებსაც იღებდა, და პოლიტიკურად ყოველთვის ძალიან აქტიური იყო.

ამჟამად ის მანჰეტენზე ცხოვრობს, ხუთ ენაზე ლაპარაკობს და წელიწადში ერთხელ მაინც ევროპაში, ძირითადად, პარიზში მიემგზავრება ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ესეისტადაა ცნობილი, სონტაგი შესანიშნავი რომანების ავტორია. მისი პირველი რომანი The Benefactor 1963 წელს გამოქვეყნდა, მას მოჰყვა Death Kit (1967), 25 წლის შემდეგ - The Volcano Lover და ბოლოს მისი ეპიური ნაწარმოები In America, პოლონელი თეატრის ვარსკვლავის, ჰელენა მოდიესკასა და “ჩამოსულთა ქვეყნის”, ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. მისი თქმით, უკანასკნელი ორი რომანი უკეთესი გამოუვიდა, ვიდრე ერთად აღებული ყველა ესე.

ჯერჯერობით მისი უკანასკნელი რომანი "ამერიკაშია", რომლისთვისაც სონტაგს 2000 წელს აშშ-ს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო, National Book Award გადასცეს. ისევე როგორც მისი რომანის გმირს, ავტორსაც ერთი ოცნება აქვს: "ყველაფერს თავი დავანებო და აფრიკაში შიდსით დაავადებულებზე ვიზრუნო - ხშირად ვფიქრობ, რომ ასეც უნდა მოვიქცე", - თქვა მან გასული წლის თებერვალში ნიუ იორკში.

ამ ოცნების ასრულებას ის სარაევოში ეცადა. ბოსნიის ომის დროს სონტაგი იქ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა, რომ სხვა ადამიანებთან ერთად განეცადა ომის საშინელება და მათთვის თანაგრძნობა და დახმარება შესძლებოდა. ალყაშემორტყმულ ქალაქში მან ბოსნიურ სცენაზე პირველმა დადგა სემუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში". “ეს ნაწარმოები,” - თქვა სონტაგმა, - “სარაევოში საუკეთესოდ ეხმიანებოდა დასავლეთის უმოქმედობას, მის გულგრილ დამოკიდებულებას იმ საშინელების მიმართ, რომელიც მისივე წყალობით დედამიწაზე ტრიალებს.”

# ჯაზი ოპერაში

## კენი გარეტის კვარტეტი - ფესტივალის პირველი კულმინაცია

ვერა ნეფარიძე

"ვეცდებით ისეთი კონცერტი გავმართოთ, როგორსაც ვმართავთ მთელს მსოფლიოში", - ეს სიტყვები ამერიკელმა საქსაფონისტმა კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე გვითხრა. მუსიკოსი თითქოს განსაკუთრებულს არაფერს გვპირდებოდა, მაგრამ ვინც წუხელ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში კვარტეტის კონცერტს დაესწრო, დიდ ჯაზმენს არ დაეთანხმება.

ეს არ იყო ჩვეულებრივი კონცერტი ჩვენთვის. თბილისში მსგავსი სიამოვნება იშვიათი ფუფუნებაა. გარეტი არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ მის მუსიკას კარგად მიიღებდა აქაური მსმენელი, მაგრამ მან არ იცოდა, თბილისში რამდენი თაყვანისმცემელი ელოდა. კენი გარეტის ჩანაწერები არაა უცხო ჩვენი მელომანებისთვის. კენი გარეტის სახელი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში ჯაზის უამრავი მოყვარულისთვის. ამის დასტურია გუშინდელი კონცერტი, რომლის მოსასმენად მოსულმა მაყურებელმა თითქმის შეავსო ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დარბაზი. არ ვიცი, შეკრებილი საზოგადოებიდან რამდენი მოიყვანა კონცერტზე გარეტის წარსადგენად აპრობირებულმა სარეკლამო ხერხმა: რომ ის მაილს დევისის ერთ-ერთი უკანასკნელი მოსწავლე, ლეგენდარული ჯაზმენის ფავორიტი, თანამედროვეობის აღიარებული საქსაფონისტი, Worner Brosers-ის მუსიკოსია და ა.შ. მაგრამ, ფაქტია, რომ არცერთ შემთხვევაში ქართველი მსმენელის მოლოდინი არ გაცრუებულა. გუშინ ოპერაში შეკრებილი საზოგადოება საათნახევრის განმავლობაში ტრადიციული ჯაზის ტყვეობაში იყო.

თავად კენი გარეტი თავიდანვე პოსტ-ბოპის ტყვეობაშია. მუსიკალურ სარბიელზე 70-იანი წლების ბოლოს გამოვიდა, როდესაც მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქ დეტროიტში მარკუს ბელგრეივთან დაიწყო. ვიდრე ნიუ-იორკში გადავიდოდა, კენი მერსერ ელინგტონის ორკესტრთან თანამშრომლობდა; სადებიუტო ჩანაწერი კი კრის კროსისთვის 1984 წელს გააკეთა; მაშინ კენი გარეტი ჯგუფ Out of the Blue-ში იყო. სწორედ ამის შემდეგ მოხდა გარდატეხა გარეტის ცხოვრებაში. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ახალგაზრდა საქსაფონისტი უმალ შეამჩნია ჯაზის ერთ-ერთმა ლეგენდამ მაილს დევისმა. დევისს ნიჭიერი მუსიკოსი სიცოცხლის ბოლომდე გვერდიდან არ მოუშორებია. იმასაც ამბობენ, რომ კენი გარეტი მისი ფავორიტი "მონაფე" იყო, რაშიც ძნელია დღეს ეჭვის შეტანა. საერთოდ, გარეტს ნიჭთან ერთად ბედიც სწყალობდა. წლების განმავლობაში მას ისეთ აღიარებულ მუსიკოსებთან უხდებოდა თანამშრომლობა, რომ შეუძლებელი იყო, ამ ურთიერთობას უშედეგოდ ჩაევლო. მაილს დევისის გარდა ამ ჩამონათვალს ამშვენებენ: არტ ბლეიკი და დიზი გილესპი. როდესაც თბილისში გარეტს პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, ვინ დატოვა მის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი, გარეტმა უპასუხა: "რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მაილს დევისი. ასევე ფრედი ჰაბერტი. საერთოდ, ძალიან ბევრ ბრწყინვალე ადამიანთან მიმუშავია, მიჭირს გამორჩევა, მაგრამ მაინც მაილს დევისს გამოვარჩევდი". და კიდევ ერთი, რაც მაილს დევისის სახელს უკავშირდება. კენი გარეტი ყველაზე დიდ დანატოვარს და ცოდნას დიდი მასწავლებლისგან ჯგუფის წევრების შერჩევასა და მათთან ურთიერთობას მიიჩნევს.


*კენი გარეტი თბილისში*

მაილს დევისის გარდაცვალების შემდეგ კენი გარეტს საკუთარი ჯგუფები ჰყავდა. იმის მიუხედავად, რომ ლეგენდებთან მუშაობა უდიდეს სიამოვნებასა და გამოცდილებას ანიჭებდა, ლიდერის ამპლუა მისთვის მაინც უფრო მისაღები აღმოჩნდა. "მირჩევნია ვიყო საკუთარი ჯგუფის ლიდერი, რადგან შემოქმედებითად გაცილებით მეტის კეთების საშუალება მაქვს; ჯგუფის ლიდერობისას ყველაზე მთავარია, რომ ასრულებ იმას, რაც შენ გინდა და არა ისე, როგორც ეს მაილს დევისის ჯგუფში ჩემი თანამშრომლობისას იყო". როგორც ნიჭიერი ხელოვანების შემთხვევაში ხდება ხოლმე, დამოუკიდებლად მოღვაწეობამ გარეტი ჩრდილში არ დატოვა. პირიქით, მსოფლიო აღიარებას მან სწორედ დამოუკიდებლად მუშაობისას მიაღწია.

კენი გარეტი პოსტ-ბოპის თაყვანისმცემელი რჩება. გუშინ მან თბილისში გამართულ კონცერტზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტრადიციული ჯაზი საუკეთესო შესრულებით ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია და ისევე შეუძლია დახვეწილი გემოვნების მსმენელის გულის მონადირება, როგორც უფრო თანამედროვე ჯაზად შერაცხული ეისიდ-ჯაზი თუ ჯაზ-ფანკი ახერხებს, ოღონდ უფრო მსუბუქი მუსიკის მოყვარულების შემთხვევაში. "მე გავიზარდე პოსტ-ბოპზე, წლების განმავლობაში ვუსმენდი მას, რასაც ჩვენ ვუკრავთ, ესაა პოსტ-ბოპისა და ბიბოპის კომბინაცია, მხოლოდ ამ ყველაფერს ვუმატებ ელემენტს, რომელსაც კენი გარეტის ენას ვუწოდებ", - ასე განსაზღვრა თბილისში საკუთარი მუსიკა კენი გარეტმა.

სამწუხაროდ, პრესკონფერენციაზე გარეტს აღარ დაუკონკრეტებია, თუ რა კრიტერიუმებს გულისხმობს მაილს დევისისგან ნასწავლი ბენდის წევრების შერჩევა, მაგრამ ფაქტია, რომ ნიჭიერ მოსწავლეს მაესტროს "ანდერძი" კარგად აუთვისებია. გუშინდელ კონცერტზე გარეტი არ ყოფილა ერთადერთი გმირი. დარბაზზე არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა პიანისტმა ვერნელ ბრაუნმა და კონტრაბასისტმა კრისტოფერ ფანმა; აღარაფერს ვამბობ დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელზე ლი პირსონზე, რომელმაც ისე იმუშავა სცენაზე, რომ წინა საღამოს მიღებული შთაბეჭდილებები (აეროპორტში ის ყველაზე ცინიკური და არასერიოზული ჩანდა) აღარც გვახსოვდა.

მოკლედ კონცერტი ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა. რისთვისაც მსმენელის განსაკუთრებული მადლობა გუშინდელი საღამოს სპონსორს სააქციო საზოგადოება "საქცემენტს" ეკუთვნის. ამ ორგანიზაციამ შარშან ბობ მინცერის წარდგენით უკვე მოიპოვა ჯაზის თაყვანისმცემლების სიმპათიები. წლევანდელი არჩევანიც იმედს გვაძლევს, რომ მომავალ ფესტივალზეც შეგვიძლია ველოდოთ მაღალი დონის ჯაზს. რაც შეეხება ფესტივალის დარჩენილ ნაწილს, გუშინდელი კონცერტის შემდეგ, ის კიდევ გვთავაზობს მორიგ კულმინაციას, რომელიც ხვალ დაასრულებს ცხელი ჯაზის დღეებს თბილისში. ეს კულმინაცია თბილისელებს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში Take 6 გვპირდება. დღეს კი ფესტივალს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ქართველი ჯაზმენები გააგრძელებენ. უცხოური შთაბეჭდილებების შემდეგ არა მგონია უინტერესო იყოს კონცერტი, სადაც ცნობილ ქართველ მუსიკოსებთან ერთად დამწყები ჯაზმენებიც მონაწილეობენ.

# ფილმი, რომლის გადაღებაც არ უნდოდათ

## პოლიტიკა + ხელოვნება = ძალაუფლება

თამარ სუხიშვილი

1939 წლის სექტემბერში გერმანიის ჯარები პოლონეთში შეიჭრნენ, ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მას შემდეგ თითქმის 64 წელი გავიდა, თუმცა ეს დრო არც ისე ხანგრძლივია, კაცობრიობას ფაშიზმის საშინელება რომ დაევიწყებინა. ახლახანს მსოფლიო კინოეკრანებზე კვლავ გამოჩნდა ფილმი, რომელიც მაყურებელმა პირველად ერთი წლის წინ იხილა და რომელიც სწორედ ომის თემას ეხმიანება, ჩვენს თანამედროვე ავბედით ისტორიას გაგვიცოცხლებს თვალწინ. ამ ფილმს მარტივი და ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი სახელწოდება აქვს, "მაქსი" ჰქვია, თუ ფილმს არ ნახავთ, ვერ მიხვდებით, ვინ არის მაქსი, ან რა კავშირი აქვს მას ფაშიზმის დაბადებასთან.

ამ კინოსურათში მაყურებლისთვის უამრავი სატყუარაა. მარტო სახელთა ჩამოთვლა რად ღირს. ჯერ ერთი, ეს არის ჰოლივუდის ცნობილი სცენარისტის, სპილბერგის ფილმების – "ინდიანა ჯონსისა" და "მეწამული ფერის" სცენარების ავტორის, ჰოლანდიელი მენო მეიესის სარეჟისორო დებიუტი. ამასთან, ფილმში პოპულარული მსახიობები მონაწილეობენ, ჯონ კიუზაკი (მაქსი), ჰიტლერი (ნოა ტეილორი - ცნობილია ფილმიდან "ბრწყინვალება"). მაგრამ ყველაზე მიმზიდველი და დამაინტრიგებელი მაინც სიუჟეტია - ახალგაზრდა ადოლფ ჰიტლერის ბედი.

დღეს ჰიტლერის სახელი ჩვენში ცალსახად უარყოფით ემოციებს იწვევს. მისი კინოგმირიც – სხვადასხვა ეროვნებისა და ესთეტიკის რეჟისორების მიერ შექმნილი პერსონაჟი – ძირითადად, ერთგვაროვანია, სქემატური. ეს პერსონაჟი გაკვრით მაინც ყოველთვის გვხვდება ომის თემაზე შექმნილ ფილმებში. უმეტესწილად ჰიტლერის გმირი კაცობრიობის დაუძინებელი მტერია, საშიში, ყველასათვის საძულველი. მისი გარეგნული თუ ხასიათის თავისებურებები ყველა სურათში დაახლოებით იდენტურია: ისტერიული შეძახილები, მბრძანებლური ტონი, რაც ხშირად სასაცილოდაც კი ჟღერს, წყვეტილი, ძაღლის ყეფის მსგავსი საუბარი, თმის კომიკური ვარცხნილობა, პატარა ულვაშები და სიარულის უცნაური მანერა.

ჰიტლერის კინოპერსონაჟზე საუბრისას, პირველ რიგში, თვალწინ დაგვიდგება ჩარლი ჩაპლინის "დიდი დიქტატორი", ჩაპლინის მიერ შექმნილმა სახემ ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. თუმცა, როგორც ამბობენ, თვით დიდ კომიკოსსაც კი არ შეუწუხებია თავი ფიურერის მხატვრული სახის შექმნის დროს. ის, უბრალოდ, დიდი ხელოვანი იყო.

ასეა თუ ისე, ყველა ფილმში ჰიტლერის გმირი, დაახლოებით, ერთ თარგზეა გამოჭრილი: ეს არის სახე-სიმბოლო - კაცობრიობის მტერი და კომიკური ფიგურა. განსახვავება ისაა, რომ ზოგან ერთი პლანია წინ წამოწეული, ზოგან – მეორე, ზოგან კი – ორივე ერთად.

სხვათა შორის, ჰიტლერის ხასიათის ჩვენებას, ამ ხასიათის სიღრმეებში წვდომას შეეცადა რუსი რეჟისორი ალექსანდრე სოკუროვი თავის ფილმში. მაგრამ, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ვერც ვერაფერი აღმოაჩინა, გარდა იმისა, რომ ფიურერი პათოლოგი იყო.


*ჰიტლერი - 2002*

"მაქსი" სწორედ ამ კუთხით არის განსაკუთრებით საინტერესო. ეს ფილმი დიქტატორის ხასიათის გახსნის მცდელობაა. რეჟისორი იმ კომპლექსებსა და წინააღმდეგობებზე მოგვითხრობს, რაც, მისი აზრით, ადოლფს აწუხებდა, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ხელოვნების ჭიაც ღრღნიდა და დიდი სიძულვილიც და განდიდების მანიაც.

ფილმში მოქმედება მიუნხენში ხდება. 1918 წელს ფრონტიდან ბრუნდება გადამდგარი ეფრეიტორი, ახალგაზრდა მხატვარი ადოლფ ჰიტლერი. მას არც ფული აქვს, არც სამუშაო, არც ოჯახი, არც სახლ-კარი. ნიჭიერი კაცია, კარგი ორატორი და მაშინვე გამოიჩენს თავს ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის მიტინგებზე. ამ პერიოდში გაიცნობს ადოლფი თავის თანატოლს, ომიდან დაბრუნებულ ვეტერანს, წარსულში მხატვარს, ვინმე მაქს როტმანს. ომში როტმანს ნაკლებად გაუმართლა – ფრონტზე მან ხელი დაკარგა. სამაგიეროდ, ცხოვრებაში თითქოს უმართლებს: აქვს გალერეა, სადაც ექსპრესიონისტების ნამუშევრებია გამოფენილი, მდიდრული სახლი, ჰყავს ლამაზი ცოლი, შვილები, მომხიბლავი საყვარელიც. მაგრამ... მაქსი ებრაელია. მაქსს მოსწონს ადოლფი, მიუხედავად იმისა, რომ ადოლფი პირქუში, უჟმური ტიპია და ექსცენტრული პოლიტიკური შეხედულებები აქვს. მაქსი ხედავს, რომ ადოლფი უზომოდ ნიჭიერია, ცდილობს ის თავისკენ გადმოიბიროს, ხელოვნებაში ჩააბას და გამოათრიოს მიზანთროპული სამყაროდან.

მაყურებელი გრძნობს, როგორ თანდათანობით გროვდება გმირში სიძულვილი და ბოროტება, როგორ ხდება მისი პიროვნების ჩამოყალიბება, როგორ ცდილობს ადოლფი ერთ მთლიანობაში მოაქციოს ორი გატაცება, მაგრამ ეს მცდელობა ხელოვნების სასარგებლოდ არ დასრულდება. როდესაც ჩაფიქრებულს ნახატის ნაცვლად ქაღალდზე გამოჰყავს მაგიური ფორმულა: პოლიტიკა+ ხელოვნება=ძალაუფლება, რაღაც მომენტში გვეჩვენება, რომ აი, სულ ცოტაც და ის გაწყვეტს კავშირს პოლიტიკასთან და მაქსის ენთუზიაზმით ანთებული ხელოვნებას მიუბრუნდება. ადოლფი კაფეში ზის და მისი ნამუშევრებით აღფრთოვანებულ მეგობარს – მაქსს ელოდება, რომელმაც მას მიმზიდველი წინადადება უნდა შესთავაზოს. მაქსი ეს ესაა უნდა გამოჩნდეს. მაგრამ ადოლფი ვეღარ ითმენს, აღელვებული გაიჯახუნებს კაფეს კარს და გადის. მაყურებელს აღარ სჭირდება იმის ახსნა, თუ სად წავიდა ადოლფ ჰიტლერი. ებრაელი მაქს როტმანი კი შეხვედრაზე არ მისულა. ის ამ დროს უპატრონოდ ეგდო მეზობელ ქუჩაზე, უმოწყალოდ ნაცემი ჰიტლერის პირველი თაყვანისმცემლების მიერ. შობის წინა ღამე იდგა...

"მოდი, არ გვინდა ამ ფილმის გადაღება", - უთქვამს პროდუსერს - ანდრაშ ჰამორის, სცენარისტსა და რეჟისორს - მენო მეიესს მისთვის სცენარი რომ უჩვენებია. ჰამორის ოჯახი თავის დროზე ნაციზმმა იმსხვერპლა და მისთვის, ისევე როგორც, ალბათ, მილიონობით ადამიანისთვის, ეს სცენარი რაღაცით შემაშფოთებელი იყო; შემაშფოთებელი იყო თვით ის იდეაც კი, რომ ჰიტლერი დაბადებიდან არ ყოფილა ასეთი. თუმცა, მენო მეიესმა შეძლო პროდუსერის დარწმუნება და, საბოლოოდ, ფილმიც გადაიღო.

# ზღაპარი, რომელიც არ ძველდება

ვენის საოპერო მეჯლისი 200-წლიანი სანახაობაა. ამ დროს ნაღები საზოგადოებით იჭედება ხოლმე ვენის ოპერა. ცხადია, ოპერის შენობა ყველა მსურველს ვერ იტევს, ამიტომ ძველი მეჯლისების გეოგრაფიული არეალი საგრძნობლად გაიზარდა. ვალსის მეფის - შტრაუსის მელოდიები უკვე პრაღაში, რომში, ტოკიოში, ბრიუსელსა და ნიუ იორკში გაისმის. წელს, პირველად ძველი მეჯლისი რუსეთის დედაქალაქში გაიმართა, რომელსაც დედაქალაქის პოლიტიკური და კულტურული ელიტა ესწრებოდა - ბილეთის ფასი 900-დან 2000 დოლარამდე იყო.

წვეულება Гостинный двор-ში მოეწყო, რომელიც ვენურ სტილში იყო გაფორმებული. საღამოს მეჯლისის აუცილებელი ატრიბუტი, 60 ათასი ცოცხალი ვარდისაგან გაკეთებული თაიგული ამშვენებდა, რაც მეტად რომანტიკულ და საზეიმო განწყობას ქმნიდა. სიმფონიურ ორკესტრს ვენელი მაესტრო ალფრედ ეშვე დირიჟორობდა. მასპინძლის როლში იყო ლიუბოვ კაზარნოვსკაია. ქორეოგრაფის როლში კი - ელეგანტური მოცეკვავე სტანისლავ პოპოვი. საღამოს მთავარი სიურპრიზი გახლდათ მსოფლიოს ნომერ პირველი ლირიკული ტენორის, რობერტო ალანიას გამოსვლა.

საღამოს საცეკვაო ნაწილი ტრადიციულად ლეგარის საზეიმო პოლონეზით გაიხსნა, რომელიც შტრაუსის ვალსებით შეიცვალა. მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა პოპულარული Alle Walzer.

ვენური მეჯლისის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებასთან ერთად, ალბათ, ღირს ცოტა რამ მოგითხროთ ამ მდიდრული ღონისძიების ტრადიციების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ვენელები, უბრალოდ, გიჟდებოდნენ ცეკვაზე. მათი გიჟური ვნება იქამდე მიდიოდა, რომ ვენაში ყველიერის დროს მრავალრიცხოვან მეჯლისებზე დღეში 50 ათასი ადამიანი იკრიბებოდა და ეს იმ ქალაქში, სადაც 200 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში მეჯლისები სულ უფრო პომპეზური და სანახაობრივი ხდებოდა. საგანგებოდ იქმნებოდა ხელოვნური ჩანჩქერები, განათებული გამოქვაბულები, მჩქეფარე შადრევნები სხვადასხვა ფერის ნაკადებით. ვენის მაცხოვრებლები სიამოვნებისათვის თანხებს არ ზოგავდნენ. ცეკვები და მეჯლისები კი მათთვის უდიდეს ნეტარებას წარმოადგენდა. სამეჯლისო დარბაზების მახლობლად სპეციალური ოთახებიც კი არსებობდა, სადაც ქალებს მშობიარობა შეეძლოთ - ვენელ მანდილოსნებს ხომ ფეხმძიმობაც კი ვერ აკავებდათ ცეკვისგან.


*დიდი ვალსი*

თავდაპირველად ვალსი უბრალო ხალხში გაჩნდა. ვალსის მოძრაობებში აშკარა იყო ეროტიკული ელემენტები. 1754 წელს ერთ-ერთ ლექსიკონში პირველად ჩნდება სიტყვა walzen, რაც ტაქტში ცეკვას ნიშნავს. მალე ვალსი პოპულარული ხდება არისტოკრატულ წრეებში და კონკურენციას უწევს მენუეტს, რომელსაც საბოლოოდ განდევნის კიდეც. ვალსის სწავლა არისტოკრატული აღზრდის განუყოფელი ატრიბუტი ხდება. ნაპოლეონი ავსტრიელი პრინცესას მოლოდინში ვენიდან ჩამოყვანილი მასწავლებლის საშუალებით ბეჯითად ეუფლებოდა ვალსის საიდუმლოებებს. ცეკვის ახალ ფორმას ყურადღება მიაქციეს იმ დროის უდიდესმა კომპოზიტორებმაც. შუბერტი თავის ნაწარმოებებში ფორტეპიანოსთვის ხშირად იყენებდა ვალსის ელემენტებს. კომპოზიტორმა კარლ მარია ფონ ვებერნმა საბოლოო ფორმა მიანიჭა ვალსს. თუმცა, ვალსის ნამდვილი ტრიუმფი ჯერ ვენაში, შემდეგ კი მთელ ევროპაში, მოგვიანებით დაიწყო, როცა დაიწერა შტრაუსისა და ლანერის ვალსები. დადგა ნამდვილი ვალსომანიის ხანა.

ვენის მეჯლისებს მარტო გასართობი ხასიათი არ ჰქონიათ, ისინი ერთგვარ სოციალურ ფუნქციასაც ასრულებდნენ. კლასობრივი უთანასწორობის ეპოქაში ვალსის დროს საზოგადოებრივ ფენებს შორის კლასობრივი საზღვრები იშლებოდა, ნიღაბს ამოფარებული მეჯინიბე და გენერალი გვერდიგვერდ ცეკვავდნენ.

1899 წელს აიკრძალა ორი მეჯლისი – კარის და საოპერო. მხოლოდ 21 წლის შემდეგ, პირველი ავსტრიული რესპუბლიკის დროს დიდი მეჯლისის ტრადიცია კვლავ აღდგა ვენის ოპერის შენობაში. მას შემდეგ საოპერო მეჯლისი ყოველ წელს იმართება, თუ არ ჩავთვლით მეორე მსოფლიო ომის წლებს.

მეჯლისი იხსნება ცეკვით, რომელსაც 200 ახალგაზრდა წყვილი ასრულებს. ამ საოცნებო რიცხვში მოხვედრა საკმაოდ რთულია. იმისათვის, რომ დებიუტანტი გახდე, საჭიროა მკაცრი გამოცდების ჩაბარება მეჯლისის კომიტეტის წინაშე. მათ, ვინც გამოცდას ჩააბარებენ, შეუძლიათ ვარცხნილობა გვირგვინით დაიმშვენონ. გვირგვინის ფორმა და მორთულობა ყოველ წელს იცვლება, რომელსაც კომიტეტი ამტკიცებს.

რა თქმა უნდა, საოპერო მეჯლისი თანამედროვე ცხოვრების რიტმს ნაკლებად მიჰყვება, მაგრამ ზღაპარი არასდროს არ არის თანამედროვე. სანამ არიან ადამიანები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ზღაპარში, იარსებებს ვენის მეჯლისიც.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

Fox Kids

# "ფოქს კიდსმა" სიხარულიც იცის და სინანულიც

როტერდამში, "ფოქს კიდსის" საერთაშორისო ტურნირზე ჩასული ჩვენი თანამემამულეები – ხაშურის "დიანა" და თელავის "ნადიკვარი" გუშინ უცხოელ თანატოლებთან პირველ გამოცდას აბარებდნენ. ჰოლანდიიდან მოსული ინფორმაცია სასიხარულოც იყო და სამწუხაროც. მივყვეთ თანმიმდევრობით.

გათამაშების ორგანიზატორებმა ქვეჯგუფები ისე დაყვეს, რომ გოგონებსაც და ბიჭებსაც ერთი და იგივე ქვეყნის გუნდები ერგოთ მეტოქედ. აშშ, იტალია, პანამა, ესპანეთი – ეს ის ქვეყნებია, რომლებთანაც ქართველ ბავშვებს C ჯგუფში უნდა გაერკვიათ ურთიერთობა. გოგონათა გუნდმა "დიანამ" და ბიჭუნათა გუნდმა "ნადიკვარმა" გუშინ ორ-ორი მატჩი გამართეს და გამარჯვებაც მოიპოვეს და მარცხიც იწვნიეს. სამწუხაროდ, ორივე შეხვედრა დათმეს გოგონებმა. პირველ მატჩში, ამერიკელებთან, ახლოსაც იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ 2:3 წააგეს. მეორე შეხვედრაში კი იტალიელებმა პირწმინდად დაჩაგრეს ქართველი თანატოლები. "დიანამ" ხუთი უპასუხო ბურთი გაუშვა და ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

კარგად აიღეს სტარტი ბიჭებმა. "ნადიკვარმა" გოგონათა ორივე მარცხზე იძია შური. ჯერ ამერიკელებს გაუტანა სამი უპასუხო ბურთი, შემდეგ კი - იტალიელებსაც. თუმცა, იტალიელებმა ერთი გოლის გატანა მაინც შეძლეს.

ორი მოგების ჯამში თელავის "ნადიკვარი" ქვეჯგუფს ჩაუდგა სათავეში და, ალბათ, ჯგუფიდან გასვლაც არ უნდა გაუჭირდეს.

სხვათა შორის, ასპარეზობის პირველ დღეს (გუშინ) ბიჭების 20 გუნდიდან ორივე მატჩი მოიგო მხოლოდ ოთხმა - ბრაზილიამ, პერუმ, მექსიკამ და საქართველომ.

დღეს ქართველი ბავშვები ესპანელ და პანამელ თანატოლებს ეთამაშებიან.

## ინფოთეკა

### შერინგემმა სამუშაო იპოვა

ტედი შერინგემმა "პორტსმუტში" გადასვლამდე კლუბთან ყველანაირი პირობა შეათანხმა. "პორტსმუტი" კი ის გუნდია, რომელიც მომავალ სეზონში პრემიერლიგის ბინადარი გახდება. შერინგემი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ინგლისის ნაკრების ღირსებას იცავდა, შარშან "ტოტენჰემში" თამაშობდა. წლეულს, მაისში კი "ტოტენჰემთან" კონტრაქტის ვადაც ამოეწურა. შესაძლოა, შერინგემს "პორტსმუტისკენ" არც მიეპყრო მზერა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ ლონდონელებს მასთან ურთიერთობა აღარ სურდათ, ახალი სამუშაოს ძებნას შეუდგა. ამჟამად ის არის ცნობილი, რომ შერინგენმი "პორტსმუტთან" კონტრაქტზე კვირის ბოლოს მოაწერს ხელს. ამის შესახებ ინფორმაცია კლუბის ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა.

### ტრუსიე ყატარში მიდის

ფილიპ ტრუსიე, რომელიც სამხრეთ აფრიკისა და იაპონიის ნაკრებ გუნდებს წვრთნიდა, ცოტა ხანში საკუთარ სამწვრთნელო გამოცდილებას ყატარელებსაც მოახმარს.

"90 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ შეთანხმება შედგება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არაფერზე მომიწერია ხელი, - L'Equipe-თან საუბარში აცხადებს ტრუსიე. – ირგვლივ ყველა იმას ირწმუნება, რომ ჩვენ უკვე მოლაპარაკებულები ვართ, მაგრამ, გარწმუნებთ, არის კიდევ საკითხები, რომლებიც კვლავაც განსახილველია".

### ალბერტინის იტალიაში დაბრუნება სურს

იტალიის ნაკრების ექს-ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი, რომელმაც გასული სეზონი იჯარის უფლებით მადრიდის "ატლეტიკოში" გაატარა, აცხადებს, რომ "მილანში" დაბრუნება განუზრახავს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 31 წლის ფეხბურთელი უკვე მომავალი სეზონიდან მილანელთა რიგებში ჩაირიცხება.

"მილანში სახლი დავიბრუნე და იტალიაში დაბრუნებასაც ვაპირებ", - ერთერთ ესპანურ რადიოსადგურთან საუბარში განაცხადა ალბერტინიმ.

ადრე იტალიელზე პრეტენზიას აცხადებდა პორტუგალიური "ბენფიკა", თუმცა, დღეს ყველაზე რეალურია, რომ ალბერტინი გადავა "სიენაში", რომელმაც 2003/04 წლების სეზონზე სერია A-ში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

### დე ბურს "ბარსელონა" აღარ სურს

ფრანკ დე ბურის წარმომადგენლის გუშინდელი განცხადებით, ჰოლანდიელს "ბარსელონაში" გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ კატალონიელთა კლუბის მიტოვება განუზრახავს.

"ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებისას ფრანკ დე ბურმა და "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ საერთო ენა ვერ გამონახეს. ოთხწელიწადნახევრის შემდეგ დე ბური "ბარსელონადან" მიდის და ახალ კლუბს ეძებს", - იტყობინება ამსტერდამული საადვოკატო კანტორის წარმომადგენელი და ფეხბურთელის ინტერესების დამცველი ხელინგმან ბუნდერსი.

## TV-სპორტი

### შაბათი. 24 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 რუსეთის ჩემპიონატი. "კრილია სოვეტოვი" - "ზენიტი"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "ინტერი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
16:45 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შტუტგარტი"
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "მილანი"
21:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "დინამო" (უკრაინა) - "რეალი"
00:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" - "ვასკო და გამა"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი
14:40 ცხენოსნობა. რუსეთის თასი
15:40 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 "ოლიმპიური თამაშები"
12:30 მულტისპორტი
13:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:30 ფეხბურთი. ევროგოლები
15:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
16:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:30 ფეხბურთი. ევროგოლები
17:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
19:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი
20:30 მძლეოსნობა
20:45 მძლეოსნობა
22:15 ახალი ამბები
22:30 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
23:00 მძლეოსნობა. საბერძნეთის სუპერ გრან-პრი
23:15 მძლეოსნობა. საბერძნეთის სუპერ გრან-პრი
01:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება რუმინეთიდან
03:15 ახალი ამბები
03:30 მოტორბოლები
04:00 კატერების რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
04:30 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "დინამო" გერმანიაში გაემგზავრა

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის "დინამო" თბილისი-ფრანკფურტის რეისით გერმანიისკენ აიღებს გეზს. ფრანკფურტიდან დინამოელები ავტობუსით ჩავლენ რუიტში, სადაც სამკვირიან შეკრებას გაივლიან. საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდებისთვის ემზადება. პირველ რაუნდში "დინამოს" მეტოქე იქნება ალბანეთის ჩემპიონი "ტირანა", რომელთანაც პირველი მატჩი თბილისში, 16 ივლისს გაიმართება.

შეკრებაზე მიემგზავრებიან: მეკარეები - გვარამაძე, ზოიძე, მამალაძე; დაცვა - ხიზანეიშვილი, ამისულაშვილი, წერეთელი, შაშიაშვილი; ნახევარდაცვა - კანდელაკი, ექონია, ბურდული, კვირკველია, გოგობერიშვილი, სახვაძე, ანჩაბაძე, დარასელია; თავდასხმა - ალექსიძე, ახალაია, ბობოხიძე, სამხარაძე, იაშვილი.

გუნდს რუიტში შეუერთდება ივო შუშაკი, რომელიც ახლა სამშობლოშია. რუიტშივე ჩავა ბრაზილიელი ლეგიონერი კარლოს და როჩაც.



გიორგი ლომაიას "დინამო" ეპატიჟება

"დინამოს" პრესატაშის, ლევან სალუქვაძის თქმით, "დინამო" რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებას აპირებს. მოლაპარაკება მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონისა და თბილისის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობებს შორის. მოლაპარაკების საგანია "ლოკომოტივიდან" "დინამოში" სირაძისა და ლომაიას იჯარით განათხოვრება. თუ მხარეები შეთანხმდნენ, ეს ფეხბურთელები "დინამოში" წლის ბოლომდე დარჩებიან. მხარეებმა ყველა საკითხი თითქმის შეათანხმეს, მაგრამ, არ არის გამორიცხული, მათი სურვილის მიუხედავად, ეს გარიგება ჩაიშალოს. "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ მოუხსნია "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობისადმი წაყენებული ულტიმატუმი. იმ შემთხვევაში, თუ სფფ რკინიგზის დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კუთვნილ თანხას არ მიიღებს, "ლოკომოტივი" ვერც იჯარის, ვერც პირდაპირი გაყიდვის სახით, ვერანაირ სატრანსფერო მანიპულაციას ვერ განახორციელებს.

რაც შეეხება თბილისის "დინამოს", გუნდი რუიტში გამართავს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას, რომელთაგან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს 5 ივლისის მატჩი ბუნდესლიგის კლუბთან, "მიუნხენ 1860"-თან.

"დინამო" სამშობლოში 12 ივლისს დაბრუნდება.

# "რეალი" ჩემპიონია! გაუმარჯოს ჩემპიონს!

## "რონალდო 25 გოლს დაგვპირდა და მხოლოდ 23 გაიტანა, მაგრამ ჩვენ მას ვპატიობთ"

აკა ტონია

შუაღამე იყო, როდესაც ფიესტამ თავის მწვერვალს მიაღწია. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ის ავტობუსიც, რომლის სახურავიდანაც მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები მიესალმებოდნენ თავიანთ ქომაგებს. ყოველივე ეს ესპანეთის დედაქალაქში, მოსავლის ქალღმერთის, სიბელესის შადრევანთან ხდებოდა. სწორედ სიბელესი არის ის ადგილი, სადაც "რეალი" ტრადიციულად ზეიმობს თავის დიდ გამარჯვებებს.

შადრევნის ცენტრში, ქანდაკების ირგვლივ დამონტაჟებულ პოდიუმზე "რეალის" ფეხბურთელები თავიანთ "თეთრ ბალეტს" ცეკვავდნენ, მთავარი ქორეოგრაფი კი ბრაზილიელი რონალდო იყო – მადრიდელთა 29-ე ტიტულის უმთავრესი შემოქმედი.

ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის წინ მადრიდის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც "რეალის" ფეხბურთელებს სიბელესის შადრევნის ქანდაკებაზე ასვლა აეკრძალათ. ყოველთვის, როდესაც "სამეფო კლუბი" რაიმე მნიშვნელოვან ტიტულს მოიგებს, მადრიდელთა სიმბოლო, რაული ამ ქანდაკებაზე აძვრება ხოლმე და იქიდან მიესალმება "რეალის" გულშემატკივარს. წლეულს ტრადიცია დაირღვა, თუმცა, ნაწილობრივ. მადრიდის მერიამ ქანდაკებაზე ასვლა აკრძალა. მიზეზი კი ის არის, რომ, ჩინოვნიკთა აზრით, არქიტექტურის ეს უძველესი ძეგლი რაულის წონას დიდხანს ველარ გაუძლებდა. ამიტომაც ქალაქის მუნიციპალიტეტმა სიბელესის შადრევანზე სპეციალური პოდიუმი დაამონტაჟა. ამ გადაწყვეტილებას ყველანი გაგებით მოეკიდნენ. მერე რა, რომ ქანდაკებაზე აცოცება აიკრძალა, 29-ე ტიტულის აღსანიშნავად პოდიუმიც გამოდგება, მთავარია, რომ ფიესტა კვლავ სიბელესზე იმართება...

გუშინდელმა ფიესტამ კი 300 ათასამდე (!) ადამიანს მოუყარა თავი.

ვინ იფიქრებდა, რომ "რეალის" ჩემპიონობა უკანასკნელ ტურში გაირკვეოდა, ვინ იფიქრებდა, რომ "სოსიედადი" უკანასკნელ დღემდე იბრძოლებდა "პრიმეროსთვის"? ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონატი სიურპრიზებით იყო აღსავსე. სახელოვანი "ბარსელონა" ფსკერზე ჩაეშვა და მხოლოდ ბოლო ტურში მოახერხა უეფას საგზურის მოპოვება, თანაც, ამას კატალონიელები "რეალს" უნდა უმადლოდნენ. კვირას მადრიდელებს ბილბაოს "ატლეტიკისთვის" რომ ვერ მოეგოთ, უეფას თასზე "ბარსელონა" კი არა, ბილბაოელები ითამაშებდნენ. თუმცა, სასაცილო იქნება იმის მტკიცება, "რეალი" "ბარსელონაზე" ზრუნავდაო. არა, "რეალი" საკუთარ თავზე ფიქრობდა, ესპანეთის ჩემპიონის 29-ე ტიტულის მოპოვებაზე. უკანასკნელ ტურამდე "რეალი" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებდა "სოსიედადს". მაშინ, როდესაც მადრიდელები "ბილბაოს" ხვდებოდნენ, "სოსიედადი" ასევე მადრიდის "ატლეტიკოს" ეთამაშებოდა. "რეალმა" კარგად იცოდა, რომ "ბილბაოსთან" მხოლოდ გამარჯვება იყო აუცილებელი, რადგან "სოსიედადი" "ატლეტიკოს" დაამარცხებდა, რადგან გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, მადრიდის "ატლეტიკოს" კი "სოსიედადის" ჩემპიონობა უფრო ესიამოვნებოდა, ვიდრე "რეალის". ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვვარაუდობდით: "სოსიედადმა", მართლაც, დაამარცხა "ატლეტიკო" – 3:0, თუმცა, ჩემპიონობისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან პარალელურად, მადრიდში რონალდოსაც გაჰქონდა თავისი გოლები, რომლებიც "რეალის" 29-ე "პრიმეროს" გარანტი იყო...



"რეალი" ესპანეთის ჩემპიონია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 38 | 22 | 12 | 4 | 86:42 | 44 | 78 |
| 2. სოსიედადი | 38 | 22 | 10 | 6 | 71:45 | 26 | 76 |
| 3. დეპორტივო | 38 | 22 | 6 | 10 | 67:47 | 20 | 72 |
| 4. სელტა | 38 | 17 | 10 | 11 | 45:36 | 9 | 61 |
| 5. ვალენსია | 38 | 17 | 9 | 12 | 56:35 | 21 | 60 |
| 6. ბარსელონა | 38 | 15 | 11 | 12 | 63:47 | 16 | 56 |
| 7. ბილბაო | 38 | 15 | 10 | 13 | 63:61 | 2 | 55 |
| 8. ბეტისი | 38 | 14 | 12 | 12 | 56:53 | 3 | 54 |
| 9. მაიორკა | 38 | 14 | 10 | 14 | 49:56 | -7 | 52 |
| 10. სევილია | 38 | 13 | 11 | 14 | 38:39 | -1 | 50 |
| 11. ატლეტიკო | 38 | 12 | 11 | 15 | 51:56 | -5 | 47 |
| 12. ოსასუნა | 38 | 12 | 11 | 15 | 40:48 | -8 | 47 |
| 13. ვალიადოლიდი | 38 | 12 | 10 | 16 | 37:40 | -3 | 46 |
| 14. მალაგა | 38 | 11 | 13 | 14 | 44:49 | -5 | 46 |
| 15. ვილიარეალი | 38 | 11 | 12 | 15 | 44:53 | -9 | 45 |
| 16. სანტანდერი | 38 | 13 | 5 | 20 | 54:64 | -10 | 44 |
| 17. ესპანიოლი | 38 | 10 | 13 | 15 | 48:54 | -6 | 43 |
| 18. რეკრეატივო | 38 | 8 | 12 | 18 | 35:61 | -26 | 36 |
| 19. ალავესი | 38 | 8 | 11 | 19 | 38:68 | -30 | 35 |
| 20. რ. ვალეკანო | 38 | 7 | 11 | 20 | 31:62 | -31 | 32 |

რობერტო კარლოსის პასის შემდეგ, რონალდომ უკვე მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში. ამას მოჰყვა ალკისას მიერ გატანილი ბრწყინვალე გოლი 35-ე წუთზე. თუმცა, პირველი ტაიმი მაინც "რეალის" გამარჯვებით დასრულდა: ბილბაოელები საკუთარი საჯარიმო მოედნის ხაზთან დაჯარიმდნენ. ჯარიმა რობერტო კარლოსმა დაარტყა. კიდევ კარგი, ეს ბურთი მეკარე არანსუბიას არ მოხვედრია, თორემ ნამდვილად დაშავდებოდა – 2:1.

მეორე ტაიმში უკვე ყველაფერი ცხადი გახდა. 62-ე წუთზე ზიდანის პასით რონალდომ თავისი მეორე გოლი გაიტანა და "რეალის" ჩემპიონობასაც წინ აღარაფერი ედგა. სწორედ ამ დროს შვებით ამოისუნთქა მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა, ხორხე ვალდანომ. "მთელი სეზონის განმავლობაში ვიბრძოდით და მხოლოდ ამ გოლის შემდეგ ვიგრძენით შვება", - განაცხადა მან მატჩის შემდეგ. მწვრთნელმა დელ ბოსკემაც კარგად იცოდა, თუ ვის უნდა უმადლოდეს ამ დიდ გამარჯვებას: "ჩვენ აქ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელზე ვსაუბრობთ და მან ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა". ბედნიერებას არ მალავდა თავად რონალდო, რომელსაც ამ დღეს, ისევე როგორც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში, თავისი ორიგინალური ვარცხნილობა ამშვენებდა. "ყველაფერი კარგად დასრულდა. ეს გამარჯვება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან პირველად მოვიპოვე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ჩემი ვარცხნილობა კი კვლავაც იღბლიანი აღმოჩნდა", - ამბობდა რონალდო.

მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდო საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამის შემდეგ ის "რეალში" გადავიდა და პირობა დადო, რომ 25 გოლს გაიტანდა. "ბილბაოს" კარში გატანილი მესამე გოლი 23-ე იყო ამ სეზონში. პირობის შესასრულებლად მას ორი გოლი დააკლდა. "რონალდო 25 გოლს დაგვპირდა და მხოლოდ 23 გაიტანა, მაგრამ ჩვენ მას ვპატიობთ", - წერდა გაზეთი "As" გუშინდელ ნომერში.

"რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელია. აქვს თუ არა მას ზედმეტი წონა, სრულიად არ მაინტერესებს", - ამბობდა "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი მატჩის შემდეგ.

მართალია, ამას ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ "რეალი" ჩემპიონია.



Wimbledon 2003

# პროგნოზები უმადური საქმეა

## ანტირეკორდი 36 წლის შემდეგ

უიმბლდონი დაიწყო და მერე როგორ... მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი გათამაშებას გამოეთიშა. უიმბლდონის ტურნირს 1967 წლის შემდეგ არ ახსოვს, რომ მოქმედი ჩემპიონი ტურნირის პირველივე წრეში დამარცხებულიყოს, თანაც, მეტოქესთან, რომელიც პირველად ასპარეზობს "დიდი სლემის" ტურნირებზე.

208 სანტიმეტრი სიმაღლის ხორვატმა გიგანტმა ივო კარლოვიჩმა უიმბლდონის ტურნირს ერთი უმთავრესი ფავორიტი წაართვა და ამით თავსლაფი დაასხა ყველა სპეციალისტის ვარაუდსა თუ ნააზრევს. ჰიუიტი უიმბლდონის ტურნირზე მეოთხედ ასპარეზობდა. შარშან ჩემპიონი გახდა და წლეულს, როგორც მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პროგნოზების კეთება უმადური საქმეა. ავსტრალიელთა კერპმა 36 წლის შემდეგ ანტირეკორდი გაიმეორა და უიმბლდონს პირველივე წრეში გამოეთიშა.


ლეიტონ ჰიუიტს ისღა დარჩენოდა ივო კრალოვიჩისთვის ხელი ჩამოერთვა

REUTERS

სიმართლე რომ ითქვას, მინდოდა, ეს წერილი ირაკლი ლაბაძეზე საუბრით დამეწყო, მაგრამ 24 წლის ხორვატმა ივო კარლოვიჩმა ისეთი ფურორი მოახდინა, უსამართლობა იქნებოდა, მასზე ყურადღება არ გამემახვილებინა. კარლოვიჩი ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირიდან მოხვდა და ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ ის ტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორის ძლევას მოახერხებდა. თუმცა, ხორვატ გიგანტს აღმოაჩნდა ძალა, თამაში გარდატეხა შეეტანა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა.

"ეს ნამდვილი ფანტასტიკაა. სიზმარშიც ვერ ვიოცნებებდი, რომ უიმბლდონის ტურნირზე თვით ლეიტონს დავამარცხებდი. როგორც ჩანს, ძალიან მინდოდა და ყველაფერი ჩემთვის სასიკეთოდ აეწყო. სიმართლე გითხრათ, თავიდან ცოტა მეშინოდა კიდეც", - მატჩის შემდეგ განაცხადა გაოგნებულმა ხორვატმა. ჰიუიტმა სცადა, კორტები ჩუმად დაეტოვებინა, მაგრამ ჟურნალისტებმა ორიოდე სიტყვა მაინც დააცდენინეს.

"ჩემი მეტოქე აქამდე არასოდეს მენახა. პირველად მხოლოდ კორტებზე მოვკარი თვალი, როცა კორტის გასწვრივ დაბოდიალებდა. შეხვედრისას, რაც დრო გადიოდა, ხორვატი უკეთ და უკეთ თამაშობდა და რწმენა ემატებოდა. ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა", - თქვა ჰიუიტმა.

ავსტრალიელი პირველი სეტის შემდეგ უაღრესად დამაჯერებლად გამოიყურებოდა - 6:1 მის სასარგებლოდ და ამ მომენტში, ალბათ, ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მატჩს გამარჯვებით დააგვირგვინებდა. ჰიუიტი მეტისმეტად თავდაჯერებული ჩანდა და ამანაც განაპირობა ის, რომ მეორე სეტში ცენტრალურ კორტზე აბსოლუტურად სხვა მეტოქეები ვიხილეთ.

კარლოვიჩი ამჯერად მხნედ გამოიყურებოდა - ავსტრალიელს არც ერთი თავისი გეიმი არ დაუთმო. ტაიბრეიკზე კი კარგად გამოიყენა ჰიუიტის შეცდომები და 7:5 მოიგო, რაც ამ შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. მომდევნო ორ სეტში ხორვატმა 18 ეისი ჩაუგდო ავსტრალიელს და საბოლოოდ დააკნინა მისი ამბიციები.

პარალელურად ირაკლი ლაბაძე ამერიკელ ჯასტინ გიმელსტობთან არკვევდა ურთიერთობას. სამწუხაროდ, ირაკლიმ ვერაფერი დაუპირისპირა საიმედოდ მოთამაშე ამერიკელს და იოლად დათმო პარტია - 6:2, 6:2, 6:4. ჰიუიტის გარდა, ვაჟთა თანრიგში ტურნირს გამოაკლდა კიდევ ორი განთესილი - ამერიკელი ვინსენტ სპადეა და არგენტინელი გასტონ გაუდიო. კრახთან ახლოს იყო ბრაზილიელი გუსტავო კუერტენიც, მაგრამ მისმა მეტოქემ ჯონ ვან ლოტუმმა მეორე სეტში თამაში შეწყვიტა.

### უიმბლდონი. ინგლისი. "დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი.
### შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ).
### პირველი წრე.

| | ვაჟები: | | ქალები: |
|---|---|---|---|
| ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) | ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 6:2, 6:4 | კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) | როსანა ნეფა-დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:0, 6:0 |
| ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) 1:6, 7:6 (7:5), 6:3, 6:4 | ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 5) | სამანტა სტოსარი (ავსტრია) 7:6 (7:3), 7:5 |
| გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 17) | ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 2:6, 3:2 ლოტუმმა თამაში შეწყვიტა. | ვინუს უილიამსი (აშშ, 4) | სტანისლავა ჰროზენსკა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2 |
| ენდი როდიკი (აშშ, 5) | დავიდე სანგინეტი (იტალია) 6:2, 6:3, 6:3 | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 9) | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:4, 6:1 |
| გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) | ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 7:6 (8:6), 7:5, 7:6 (9:7) | ამანდა კეტცერი (სარ, 17) | დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:1, 3:6, 6:3 |
| პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 12) | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:4, 4:6, 3:6, 6:3 | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 12) | ანკა ბარნა (გერმანია) 6:0, 6:1 |
| როჯე ფედერერი (შვეიცარია, 4) | იონგ-ტაიკ ლი (ს. კორეა) 6:3, 6:3, 7:6 (7:2) | დეია ბედანოვა (ჩეხეთი) | ტატიანა პუჩეკი (ბელორუსი) 6:3, 4:6, 6:4 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია, 9) | მიშელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:4, 6:7 (4:7), 7:5 | ემი ფრეზერი (აშშ) | სილვია ტალაია (ხორვატია) 6:2, 6:2 |
| ტოდ მარტინი (აშშ) | ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:4, 2:6, 7:6 (8:6), 6:4 | მაია მატევზიჩი (სლოვენია) | ტინა პისნიკი (სლოვენია) 7:6 (7:6), 2:6, 6:4 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 25) | ხოსე აკასუსო (არგენტინა) 3:6, 6:3, 7:6 (7:6), 6:4 | სამანტა რევესი (აშშ) | ანა პისტოლეზი (ისრაელი, 25) 6:4, 6:4 |
| მაქსიმ მირნი (ბელორუსი) | ვინსენტ სპადეა (აშშ, 31) 6:2, 6:4, 6:4 | ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) | კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:4, 6:2 |
| ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) | იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3, 6:2, 6:4 | რიტა გრანდე (იტალია) | პატრიცია ვარტუში (ავსტრია) 6:1, 6:4 |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:4, 4:6, 6:4 | პეტრა მანდულა (უნგრეთი) | პატი შნაიდერი (შვეიცარია, 20) 7:6 (7:2), 6:3 |
| ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 32) | ტომას ბერენდი (გერმანია) 6:4, 6:2, 6:3 | ნატალი დეში (საფრანგეთი, 22) | ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:2 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | ანდრეას ვინჩიგერა (შვეიცარია) 4:6, 6:3, 2:6, 6:2, 6:2 | სილვია ფარინა ელია (იტალია, 27) | მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:4, 6:2 |
| იონას ბიორკმანი (შვედეთი) | პეტრ ლუქსა (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (8:6), 6:2 | ანჟელიკ ვიჯაია (ინდონეზია) | ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 7:5, 6:1 |
| მარდი ფიში (აშშ) | გასტონ გაუდიო (არგენტინა, 29) 6:2, 4:6, 6:3, 6:3 | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 0:6, 6:3, 10:8 |
| ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) | რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:3, 6:4, 7:6 (7:4) | ნადია პეტროვა (რუსეთი, 29) | ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1, 6:3 |
| ოლივიე მატისი (საფრანგეთი) | ფრანკო სკილარი (არგენტინა) 4:6, 0:6, 6:4, 7:6 (7:1), 6:3 | აი სუგიამა (იაპონია, 13) | ლუსი ალი (ბრიტანეთი) 3:6, 6:4, 6:4 |
| ლი ჩილდსი (ბრიტანეთი) | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 2:6, 7:6 (7:2), 1:6, 7:6 (7:5), 6:2 | ვერა ზვონარევა (რუსეთი, 16) | ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:0, 6:2 |
| სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 8) | არვინდ პარმარი (ბრიტანეთი) 6:3, 6:4, 6:1 | ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | სედა ნოორლანდერი (ჰოლანდია) 6:2, 6:2 |
| ფლავიო სარეტა (ბრაზილია) | ალან მაკინი (ბრიტანეთი) 6:2, 6:4, 6:2 | მეგი სერნა (ესპანეთი, 24) | ვირჯინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) 6:3, 7:5 |
| ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | კენეტ კარლსენი (დანია) 6:3, 6:4, 3:6, 6:4 | დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი, 30) | კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3 |
| მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 16) | კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2, 6:3 | ვირჯინი რაზანო (საფრანგეთი) | ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3, 6:1 |
| შტეფან კუბეკი (ავსტრია) | კრისტოფ როხუსი (ბელგია) 4:6, 6:3, 6:1, 6:1 | კარა ბლეკი (ზიმბაბვე) | სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3 |
| აგუსტინ კალიერი (არგენტინა, 23) | ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 7:5, 1:0 ვოინეამ თამაში შეწყვიტა. | პაოლა სუარესი (არგენტინა) | სელირნა სფარი (ტუნისი) 6:1, 6:2 |
| ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) | ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:0, 6:0 | ევა ფისლოვა (სლოვაკეთი) | ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 7:6 (7:6), 2:6, 6:4 |
| პოლ ბაჩანელო (ავსტრალია) | ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 7:6 (8:6), 6:3, 3:6, 7:6 (7:2) | ჩანდა რუბინი (აშშ, 7) | ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:0 |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | ტეილორ დენტი (აშშ) 7:5, 3:6, 6:3, 7:5 | მორინ დრეიკი (კანადა) | ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 6:4 |
| არნო კლემანი (საფრანგეთი, 15) | რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3, 4:6, 7:6 (7:2), 2:3 თამაში შეწყდა. | შინოგუ ასაკო (იაპონია) | ჯანეტ ლი (ტაივანი) 6:3, 7:6 (7:2) |
| ბრაიან ვაჰალი (აშშ) | ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 2:6, 6:1, 6:4, 6:4 | იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) | კარლი კულიკსონი (აშშ) 7:5, 6:4 |
| იურგენ მელცერი (ავსტრია) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 19) 6:3, 6:4, 7:6 (8:6) | კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | ანა კეოტვონგი (ბრიტანეთი) 6:2, 4:0 კეოტვონგმა თამაში შეწყვიტა. |

ველოსპორტი

# პანტანი სიმშვიდეს ეძებს

ნინო პირველი

იტალიელი ველომრბოლი მარკო პანტანი ერთ-ერთი იმ სპორტსმენთაგანია, რომელსაც დოპინგ-სკანდალმა საბოლოოდ დაუნგრია სპორტული კარიერაც და პირადი ცხოვრებაც. ვინ არ გამხდარა მკაცრი ნარკო-კონტროლის მსხვერპლი, ფეხბურთელებით დაწყებული და მოცურავეებით დამთავრებული. საზოგადოებას დღემდე კარგად ახსოვს ლევერკუზენის "ბაიერის" ექსთავკაცის, კრისტოფ დაუმის კოკაინსასამართლო პროცესი. არც გერმანელი ველომრბოლის, პანტანის კოლეგის, იან ულრიხის ტრაგედია დავიწყებია ვინმეს. თუმცა, ორივე გერმანელი იტალიელზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. კრისტოფ დაუმმა ყველაფერს გაუძლო, თავის გამართლებაც შეძლო და კარიერის განახლებაც. თავზარდაცემული იან ულრიხიც მალე მოვიდა გონს. ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ვაჟკაცურად მოიხადა, დაქორწინდა და შვილიც შეეძინა. შემდეგ კი ძველი პოზიციების დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ფინანსურ კრიზისში ჩავარდა და ლამის ტურ დე ფრანსზე უარის თქმა მოუხდა. "ელეფანტინოდ" წოდებულ მარკო პანტანის კი, სამწუხაროდ, ასეთი ძლიერი ნერვები არ აღმოაჩნდა. მან ვერ გადაიტანა ვერც ტურნირიდან მოხსნა, ვერც სასამართლოს წინაშე თავის მართლება და, ნერვებდაწყვეტილმა, პადუას კლინიკაში ამოყო თავი.


მარკო პანტანი საავადმყოფოში აღმოჩნდა

1998 წელი მარკო პანტანისთვის ყველაზე ბედნიერი იყო მთელი მისი კარიერის მანძილზე. იმ წელიწადს გრძელყურება ველომრბოლმა, რომელსაც იტალიელმა ჟურნალისტებმა დაცინვით თუ მოფერებით "ელეფანტინო" (პატარა სპილო) შეარქვეს, რასაც შემდეგ კიდევ ერთი მეტსახელი "ილ პირატა" (მეკობრეც) დაუმატეს, ორმაგი ტრიუმფი იზეიმა - მშობლიური ჯიროც მოიგო და ფრანგულ ტურ დე ფრანსზეც ყველა მეტოქეს აჯობა. იტალიაში პანტანიმ რუსი პაველ ტონკოვი დატოვა მშრალზე, საფრანგეთში კი - გერმანელი იან ულრიხი. იტალიას შეემატა კიდევ ერთი ჩემპიონი, რომლისგანაც სპეციალისტები ბევრს ელოდნენ, მაგრამ... პანტანის სიმარჯვით მოხიბლულ იტალიელ ტიფიზოებს საერთოდ არ ახსოვდათ დოპინგ-სკანდალი, ყველა სპორტსმენის დაუძინებელი მტერი. სტიმულატორების მოწინააღმდეგე მკაცრ საკონტროლო კომისიას კი თურმე არ ეძინა. 1999 წლის ჯიროს ფინიშზე, როცა პანტანის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, "ელეფანტინოს" ნარკოკონტროლი დაატყდა თავს. ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. პანტანი ტურნირიდან მოხსნეს და ყველა უბედურებაც აქედან დაიწყო. ჯირო 97-ში წლის გამარჯვებულმა იტალიელმა ივან გოტიმ მოიგო, მარკო პანტანი კი 21-ე ეტაპზე აღარ დაუშვეს და რვათვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

ვინ იცის, რამდენი ნერვიულობა გადაიტანა "ელეფანტინომ" ამ რვა თვეში! დამამტკიცებელი საბუთების ნაკლებობის გამო პანტანის, ბოლოს და ბოლოს, დისკვალიფიკაცია მოუხსნეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, 19 სექტემბერს სპორტსმენი მაინც უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე. ტიონეს სასამართლო მას ანტიდოპინგ-კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. ამაოდ ბობოქრობდა და ბრაზობდა "ელეფანტინო" - კანონის დამცველთა წინაშე თავის მართლება მაინც არ ასცდება. პანტანის ტურნირებზე გამოსვლის უფლება კი დაუბრუნეს, მაგრამ რაღა დროს! ის უკვე სულიერად განადგურებული და სასოწარკვეთილი იყო. ამ სკანდალმა მას საბოლოოდ დაურღვია სიმშვიდე.

წლევანდელი ჯირო პანტანიმ ომახიანად დაიწყო, მაგრამ მეთოთხმეტე ადგილზე დაასრულა. ძველი პანტანის დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. "მე აღარასოდეს ვიქნები უწინდებური დიდი პანტანი!" - თქვა დანაღვლიანებულმა "მეკობრემ" ტურნირის შემდეგ ერთ-ერთ ინტერვიუში. "ელეფანტინოს" უკვე აღარ სჯეროდა საკუთარი ძალების. ის კი არა, ნერვული მოშლილობაც კი დაემართა: ეჩვენებოდა, რომ ვიღაც დასდევდა, ვიღაცებს მისი ლიკვიდაცია სურდათ... დევნის მანია ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფსიქიკური გადახრაა და იმის მაჩვენებელია, რომ ამ ადამიანს ექიმის დახმარება სჭირდება. მარკო პანტანის ექიმებმა დეპრესია დაუდგინეს და სამკურნალოდ გაისტუმრეს. როგორც "გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, პანტანი ნერვების დასაწყნარებლად წავიდა ერთ-ერთ კერძო კლინიკაში, რომელიც ვენეტოს მხარეში, ქალაქ პადუას მახლობლად მდებარეობს. პანტანი ხომ წარმოშობით ვენეტოს მხარიდანაა. 1999 წლიდან მოყოლებული, პანტანი გამუდმებით პრობლემებს ებრძვის, მაგრამ კლინიკაში დაწოლაზე აქამდე არასოდეს უფიქრია. 33 წლის სპორტსმენი წლეულს პირველად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, გადაღლილსა და ნერვებდაწყვეტილს, მკურნალობა სჭირდებოდა. იტალიაში იმედოვნებენ, რომ ტეოლოს კერძო კლინიკის ექიმები ველოსპორტს "დიდ პანტანის" დაუბრუნებენ. იქნებ მართლაც უშველოს "ელეფანტინოს" პროფესიონალთა დახმარებამ?

ფილოიქნები

ბიგა ბურასაშვილი

## მე ტარზანი, შენ...
### ტარზანიც და ოლიმპიური ჩემპიონიც

სახელოვანი სპორტსმენებით კინემატოგრაფისტთა დაინტერესების არაერთი ფაქტი არსებობს, მაგრამ გადასაღებ მოედანზე მათი გამოჩენა, ძირითადად, ეპიზოდური როლებით თუ შემოიფარგლებოდა. თუმცა, გამონაკლისები აქაც არიან.

ჯონი ვაისმიულერის სასცენო სახე, ალბათ, უფრო შთამბეჭდავია მაყურებლისთვის, ვიდრე მის მიერ ოლიმპიურ თმაშებზე მოპოვებული ხუთი ოქროს მედალი. თუმცა, ერთი რამ უდავოა: ვაისმიულერი სპორტულ სამყაროშიც და კინოშიც ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია. კინოეკრანზე გამოჩენამდე მან ცურვის საკუთარი მანერის გამო აალაპარაკა მსოფლიო, მოგვიანებით კი -ტარზანის როლით.

პეტერ იონას ვაისმიულერი, ეთნიკურ ავსტრიელთა შვილი, დღევანდელი რუმინეთის პატარა ქალაქ ფრეიდორფში 1904 წლის 2 ივნისს დაიბადა. იმავე წელს ვაისმიულერების ოჯახი ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად პენსილვანიაში დასახლდნენ, მოგვიანებით კი ჩიკაგოში დამკვიდრდნენ. 16 წლის ჯონმა სკოლას თავი მიანება და "ილიანოისის ათლეტთა კლუბში" მთლიანად ცურვაზე გადაერთო. ვაისმიულერს აღნაგობაც (1,95 სმ სიმაღლის გახლდათ) ხელს უწყობდა, რომ კარგი მოცურავე დამდგარიყო. თანატოლებში მარტო აღნაგობით კი არა, ცურვის განსაკუთრებული მანერითაც გამოირჩეოდა, რაც მწვრთნელებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. ვაისმიულერი დღითი დღე საკუთარ თავს უსწრებდა. მხოლოდ დროის ამბავი იყო, თუ როდის დაიქუხებდა მისი სახელი. მალე ეს დროც დადგა. 1922 წელს ვაისმიულერმა (ამ შემთხვევაში მარტო ინდივიდს არ ვგულისხმობთ) ადამიანის შესაძლებლობებს ახალი ზღვარი დაუწესა. ის გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ერთწუთიანი ბარიერი გადალახა. მეტიც, იმავე სტილით ცურვაში უკვე ფენომენალურმა მოცურავემ 1927 წელს, ამჯერად 100 იარდზე გაცურვას 51 წამი მოანდომა. ეს კი მსოფლიოს რეკორდი გახლდათ. რეკორდი, რომლის დამხობასაც 17 წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ.

სხვათა შორის, როდესაც ჯონი ვაისმიულერსა და ცხრაგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მის თანამემამულეს, მარკ სპიცს შორის პარალელებს ავლებენ (ისიც ასევე ფენომენალური შესაძლებლობებისა და მიღწევების პატრონი გახლდათ), ერთნი მაინც ვაისმიულერს ანიჭებენ უპირატესობას. არგუმენტად მოყავთ 100 იარდი და აცხადებენ, რომ მარკ სპიცის არც ერთი მსოფლიო რეკორდი 17 წლის განმავლობაში ხელუხლებელი არ ყოფილა. ამასთან, იმხანად დისციპლინათა რაოდენობაც შეზღუდული გახლდათ. მარკ სპიცის სახელი კი, მოგეხსენებათ, 70-იან წლებში ამობრწყინდა, ანუ მაშინ, როდესაც ცისფერმა ბილიკებმა დისციპლინათა ერთგვარი მატებითი ტრანსფორმაცია განიცადა. ესეც რომ არა, "ვაისმიულერის ხანაში" არ არსებობდა ისეთი დამხმარე კომპონენტები, როგორებიცაა სასტარტო ბაქანი და ბრუნის კულტურა.

ვაისმიულერის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ოლიმპიური ჩემპიონობაც სულ უფრო რეალური ხდებოდა.

1924 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის მოცურავეთა გამწევმა ძალამ 100 და 400 მეტრზე "თავისუფალში" ფინალები ოლიმპიური რეკორდებით მოიგო. სხვათა შორის, 100 მეტრზე ფინალური გაცურვა სხვა რამითაც იყო მნიშვნელოვანი. ვაისმიუელერს მეტოქეობას უწევდნენ თანამედროვე სერფინგის ფუძემდებელი, ჰავაელი დიუკ კაჰანამოკუ და მისი უმცროსი ძმა სემი, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს.

უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მოგვიანებით თანაგუნდელებს 4X200 ესტაფეტაშიც შეეშველა. ამერიკელთა კვარტეტმა მსოფლიო რეკორდით გამოიჩინა თავი, ამასთან, რეკორდი მთელი 11 წამით გააუმჯობესა.

პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ვაისმიულერი მარტო ცურვით როდი შემოიფა-


ჯონ ვაისმიულერი

რგლა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი პარალელურად წყალბურთელთა ნაკრების ღირსებასაც იცავდა. წყალში ბურთის "გორებით" ვაისმიულერმა აუზი ბრინჯაოს მედლით დატოვა.

წარმატებები 1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზეც ელოდა. უკვე სახელოვანმა მოცურავემ საჩემპიონო ყულაბას ორი ამსტერდამული "ოქროც" შემატა. აქაც, ისევე როგორც პარიზში, 100 მეტრზე ოლიმპიური რეკორდით გამოიჩინა თავი, ხოლო 4X200 ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად საკუთარი მსოფლიო რეკორდი 17 წამით გააუმჯობესა. რაც შეეხება თავად ვაისმიულერის რეკორდებს, მან, გარდა იმისა, რომ ერთწუთიანი ბარიერი გადალახა, 400 მეტრზე 5-წუთიანი ზღვარიც "გატეხა". არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება პირადი შედეგებიც: 52-გზის აშშ-ის ჩემპიონი 28-გზის მსოფლიო რეკორდსმენიცაა. ისეთმა საინფორმაციო გიგანტმა, როგორიც "ასოშიეტედ პრესია", ჯონი ვაისმიულერი XX საუკუნის პირველი ნახევრის უდიდეს მოცურავედ დაასახელა. მიუხედავად ამისა, ხალხს მის შედეგებზე მეტად იგი მაინც ტარზანის როლის შემსრულებლად დაამახსოვრდა, ისევე როგორც მისი ტარზანისებური საფირმო ყვირილი.

27 წლის ჯონი ვაისმიულერი ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა, რომ ჰოლივუდმა დაადგა თვალი. ამ დროისთვის ვაისმიულერს არც სახელი აკლდა და არც ტიტულები იმისთვის, რომ ჰოლივუდის პროდიუსერებს მისი სახელი გამოეყენებინათ. პირველად 1929 წელს ფილმ "ამერიკელი გოგონას განდიდებაში" (Glorifying the American Girl) ვაისმიულერმა ეპიზოდური როლი შეასრულა. მისთვის გარდამტეხი გამოდგა 1931 წლის ოქტომბერი. კინოსტუდია "მეტრო გოლდვინ მაიერმა" (MGM) ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ტარზანის როლზე დაამტკიცა და შვიდწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა. პირველი ფილმის გამოშვებამაც არ დაახანა. 1932 წელს აფიშები კინომოყვარულებს ამცნობდა ფილმ "ტარზანი, ადამიანი მაიმუნის" შესახებ, რომლის მთავარ როლსაც ჯონი ვაისმიულერი ასრულებდა. გადაღებას გადაღება მოსდევდა, ფილმს - ფილმი. პროდიუსერები შემოსავალს ვერ აუდიოდნენ.

მომდევნო 16 წლის განმავლობაში ვაისმიულერმა კიდევ ბევრჯერ განასახიერა ტარზანი, თუმცა, დროთა განმავლობაში "ჩემპიონ ტარზანს" ასაკიც დაეტყო. 1949 წელს ვაისმიულერის ადგილი უკვე სხვამ - ლექს ბარკერმა დაიკავა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, 1951 წლამდე ტარზანის არც ერთი ფილმი აფრიკის კონტინენტზე არ გადაღებულა. ვაისმიულერისეული ტარზანის ფილმების უმეტესობა სტუდიაშია გადაღებული, ან - ფლორიდაში, ან - მექსიკაში.

სპორტულ და კინოარენაზე მიღწეული დიდი წარმატებების მიუხედავად, ვაისმიულერს ეკონომიკურად არასდროს ულხინდა.

ის ქორწინებაშიც რეკორდსმენი გახლდათ - ხუთჯერ იყო დაქორწინებული, მაგრამ ყველა კავშირი (გარდა უკანასკნელისა) საბოლოოდ გაყრით მთავრდებოდა. მეხუთედ და უკანასკნელად ვაისმიულერმა იქორწინა 1963 წელს მარია ბაუმანთან, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. ხანში შესული ვაისმიულერი ხშირად ავადმყოფობდა. 1984 წლის 20 იანვარს აკაპულკოში (მექსიკა), სადაც იგი ცხოვრობდა, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სპორტსმენს სიღატაკეში ამოხდა სული. დასაფლავებულია ქალაქის მახლობლად, ვალე დე ლა ლუზის პანთეონში.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
THE SOCIAL-ECONOMIC INSTITUTE OF TBILISI

2003-2004 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტი საბუთებს მიიღებს ...

ინსტიტუტის მისამართი: ...

ტელ: 99-96-88; 899-51-80-84.





**თბილისის ბაირონის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ორი ფორმით:**

**ქართულ-ინგლისური საშუალო სკოლა I-V კლასის ჩათვლით. ინგლისური ენის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა 5-დან 16-წლამდე.**

**მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა 2. ტელ: 99-04-91.**



24 საათი

24.06.03 N-171


## აფიშა

### კლუბები

**„აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
თბილისის VII საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი
თბილისის დიქსილენდი (საქართველო),დინი ვირსალაძის ჯგუფი (საქართველო), ეთნო 10 (საქართველო), "ჯაზზაუზ პროექტი", დიჯეი იდგარ სებისი და მერაბ სანოძე (საქართველო)
დას: 21:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
თეა ბოტკოველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 18:00 სთ

**TMS**
დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა"**
პოლონური პლაკატის გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ჰალკი"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
დას: 15:30; 20:00 სთ; ფასი 7,8

**„ელისო"**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

## TV პროგრამა 24 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა"
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე"
11.10 სერიალი „ჯაშუში"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.00 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
18.00, 21.00, 04.00 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
18.45 დოკ. ფილმი „ბუნება"
19.15 პერეკრესტოკი
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ედუარდ შევარდნაძე „პირველი მდივანი" 1-ლი ნ.
22.50 ღამის კურიერი
00.20 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში"
01.00 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
02.00 მხ. ფილმი „მოსამართლე და მკვლელი" მთ. რ-ში: ფილიპ ნუარე.
04.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი"
10.15 მხ. ფილმი „ორმო"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ლერერის შოუ
14.00 ტელესერიალი „ცისფერი ველოსიპედი"
15.15 მხ. ფილმი „ბიჭები სტადიონზე"
16.50 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.05 შემეცნებითი ფილმი „ქვეყანა, ქვეყნები"
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 პალიტრა
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 სათავეებთან
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
00.00 მხ. ფილმი „სიკვდილი არავის უნდოდა".

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ქერა ქალი" მთ. რ-ში რიზ უიზერსპუნი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 „ბრავო" „შიმშილი" მთ. რ-ში კატრინ დენევი.
01.40 „ღამურა" „სექსი, სიცრუე, სიგიჟე" მთ. რ-ში ჯეიმს სპეიდერი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 ზღაპარ იყო
19.40 სერიალი „რვაფეხა"
20.30 დოკ. ფილმი
21.00 გლობუსი
21.30 ასპარეზი
22.10 მხ. ფილმი „უკანასკნელი რელიქვია"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ტიტანიკი"
15.00 მხ. ფილმი „გასეირნება ამერიკაში"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „მარტის კატები"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ბოლერო"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 ბურთი და მოედანი
10.50 მხ. ფილმი „შანტაჟი"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „კორუფციონერი"
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „მოხუცი ნედის სიურპრიზი"
22.15, 23.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „მართლმსაჯულების მხედრები" 1-ლი ნ.
01.10 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა"
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი"
11.00 სერიალი „მოჯადოება"
12.00, 15.15,
17.50, 19.50 მუსიკა
12.10 მხ. ფილმი „თქვენთან წერილია"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „მსოფლიო რაგბი"
15.30 მხ. სერიალი „სირინოზები"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი"
19.00 სერიალი „მოჯადოება"
20.00 დოკ. ფილმი „ევროპის სტადიონებზე"
21.15 სერიალი „სირინოზები"
22.25 მოკლ. მხ. ფ. „გულუბრყვილობის მსხვერპლი" (აშშ)
23.00 „ცხელი ცხრიანი"
23.40 „ტელემეტრი"
00.20 მხ. ფილმი „ტახტი ნიუ-იორკში".

### იმედი

08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 23.55 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი"
10.30 სპორტ. პროგრამა „გოლი"
11.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის"
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო"
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
15.15 კინონოსტალგია „ჟანდარმი ნიუ-იორკში"
17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" მე-16ს.
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო"
20.30 ლარის მახე
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
23.00 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი"
23.55 მძაფრსიუჟეტიანი კინო „განგსტერები"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ჩვილის გასეირნება"
10.45, 14.10 მუსიკა
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „სამეფო წყალობა"
14.25 კომედია „ციხეში მინდა"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „სასწაულებრივი გადარჩენა"
17.30 თრილერი „ყინულოვანი დუმილი"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.40, 22.40 „Пресс-папье"
19.50, 01.00 მუსიკა
20.15 ვესთერნი „რაზმი"
21.50 „გალერეა"
22.45 „რა არ ხდება"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.30 ისტორიული ფილმი „ელ სიდი"1 ს.
03.20 თრილერი „ინსტინქტი"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია -
10.30 მობილურები
11.20 მელოდია .
11.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.25 კომპიუტერული თამაშები
12.35 დისნეი და მისი მეგობრები
12.55 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.25 „ღამის კაპრიზი" - თემა: .
21.25 მობილურები
22.40 „კინოკლუბი" - „სხვისი ქორწილი". ცხოვრებისეული . რეჟ: გრეგორ ნიკოლსი. როლებში: რადა სერგეჯია, ალექსანდრა ვუიჩიჩი
00.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.45 მელოდია

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Худ.фильм „Алмазная тропа", 2 с.
12.05 „Шутка за шуткой"
12.35 Дисней-клуб: „Ким 5-с-плюсом"
13.15 Детектив „Всего одна ночь"
15.00 „Искатели". „Ломоносов. Пропавшая „История"
15.30 „Русский экстрим"
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.50 Триллер „Сияние"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Сати". С.Безруков
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт"
22.00, 00.30 „Время"
22.40 Худ.фильм „Пятый угол"
23.45 Док.сериал „Спецназ ГРУ"
01.00 Дневник Московского кинофестиваля
01.10 „На футболе"
01.40 „Сканер"
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Тысячелетие"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Сериал „Театральный блюз"
10.45 Детектив „Марш Турецкого. Опасно для жизни", 1 с.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Худ.фильм „Идентификация Борна"
14.15, 17.45 „Экспертиза"
14.30 „Колоссальное хозяйство"
14.45 Вести - Москва
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Московские окна"
17.15 Сериал „Простые истины"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 02.50 „Дорожный патруль"
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал „Театральный блюз"
23.00 Детектив „Марш Турецкого. Опасно для жизни", 2 с.
00.20 Худ.фильм „Марина Ладынина: крупный план"
00.45 Боевик „Полет захватчика"
03.00 „Горячая десятка"
04.00 Сериал „Сеть"
04.55 Сериал „Дживс и Вустер"

### НТВ

07.00 „Утро на НТВ"
09.45 Сериал „Дальнобойщики"
11.00 „Сегодня утром"
11.25 „Внимание! Розыск!" „История с продолжением"
12.10 „Растительная жизнь". Г.Сукачев
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 „Сегодня"
13.30 „Страна Советов"
14.30 Сериал „Курортный роман. Левая грудь Афродиты", ч.2
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино". „Месть и закон"
18.30 Сериал „Скорая помощь"
19.25 Док. драма „Преступление и наказание"
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей. Подставка"
21.50 Сериал „Дальнобойщики"
23.00 „Страна и мир"
23.30 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей"
01.50 „Гордон"
02.50 Сериал „Доктор"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა მუხიანის მე-4ბ მკ/რ., კორპ. 30-ე, 8-ე სართული ბინა 61, ტელეფონით, ლიფტი მუშაობს. ფასი: 5000$. ტელ: 71-71-78 ნათელა.

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება! 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით. ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**სასწრაფოდ! იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები. ფასი: 13 500$ ტელ: 899 182227**

**იყიდება BMW-320, 2 - კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

კვალიფიციური თარჯიმანი ამზადებს გერმანულ ენაში უახლესი პროგრამით. სასურველია ჰქონდეს საფუძველი. ტელ: 39-85-30 ოთარი.

## სხვადასხვა

გთავაზობთ დასვენებას თურქეთში (ანტალიაში, კალკანი), 1 კვირის დასვენება 150$-დან. ტელ: 877 73-46-86, 92-19-13.

**ვარ გამოცდილი მასაჟისტი, ჭარბი ბიოენერგიით. ვიმუშავებ კლუბებში, სალონებში ან სხვა გამაჯანსაღებელ კომპლექსში კარგი ანაზღაურებით. შესაძლებელია ბინაზე გამოძახებაც, ჩაწერა წინასწარ.**
**ტელ: 98-31-32.**

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 584855




# იყავით ისეთი, როგორიც დევიდი და ჯონია









*მოდელები წარმოადგენენ წამყვანი დიზაინერების ახალ კოლექციებს*

მილანში ღირსშესანიშნაობებს რა დალევს. მით უმეტეს, ივნისის თვეში, როდესაც მაცოტას გალერეაში ხუან მიროს უდიდესი გამოფენა მიმდინარეობს, პარასკევიდან კი "ფიერა მილანოში" საქორწინო კაბების გრანდიოზული ექსპოზიცია იხსნება.

დასვენებას მილანელები ვერც ამ ღონისძიებათა შუალედში ახერხებენ. მათ გასამხიარულებლად უკვე ორი დღეა მაღალი მოდის დიზაინერები ზრუნავენ. კვირიდან ხუთშაბათის ჩათვლით მამაკაცის ტანსაცმლის 2004 წლის გაზაფხული/ზაფხულის მოდის კვირეული ტარდება. მოდურ მამაკაცებს დომენიკო დოლჩემ და სტეფანო გაბანამ, ვივიენ ვესტვუდმა და დონატელა ვერსაჩემ უკვე წარუდგინეს თავიანთი კოლექციები. თუმცა, სიურპრიზები მაინც არ ილევა და იტალიური მოდის დედაქალაქში ამ დღეებში კიდევ რამდენიმე ცნობილ სახეს ელიან. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი იდეებისა და ორიგინალური შოუების მიუხედავად, მილანის მამაკაცებისთვის განკუთვნილი კვირეული ფინანსური კრიზისით გამოირჩევა. რეცესია, რომელიც 2001 წლის პირველ ნახევარში დაიწყო, დღემდე გრძელდება. წუწუნებენ მოდის პრესტიჟული სახლებიც. მაგალითად, "ვერსაჩემ" 2002 წელს 5.8 მილიონი ევრო დაკარგა...

რაც შეეხება კვირეულის პირველ ორ დღეს, როგორც ზემოთ ნახსენები სახელებით თავადაც დაასკვნიდით, ის ექსცენტრულობით გამოირჩეოდა. ხუმრობა ხომ არ არის ორ დღეში აგრესიული კოლექციებით ცნობილი ვესტვუდისა და არანაკლებ ექსცენტრული წყვილის, დოლჩესა და გაბანას გაძლება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შოუმ, იანვარში გამართულ შემოდგომა/ზამთრის ჩვენებებთან შედარებით, მშვიდობიანად ჩაიარა. არსად ჩანდა ვესტვუდის დიდბიუსტიანი მამაკაცები. იანვარში ხომ ვივიენმა ჩვეულებრივ კაცებს მაისურის ქვეშ ყალბი მკერდი მიაწება და თავისი შემოდგომა/ზამთრის კოლექციაც ასე ორიგინალურად წარმოადგინა.





*მილანის მოდის კვირეულის ექსცენტრიული გმირები: დომენიკო დოლჩე, სტეფანო გაბანა და ვივიენ ვესტვუდი*

გუშინ კი, პირიქით, თვითონ ვესტვუდიც საკმაოდ მშვიდად და შემრიგებლურად გამოიყურებოდა. ხელში ყვავილები ეჭირა და ისე ულიმოდა აუდიტორიას, თითქოს ეუბნებოდა: ნუ გეშინიათ, ამჯერად არაფერს გავნებთო... თუმცა, მან ჩვეულებას მაინც ვერ უღალატა და საკმაოდ შესამჩნევი დოზებით თავის კოლექციაში ირონია მაინც ჩააქსოვა. ირონიული იყო, აბა, რა, შოუს ის ნაწილი, როდესაც პოდიუმზე გამოვიდა წითელქუდა მამაკაცი, უსახელო მაისურითა და მოკლე წითელი ტრუსით, უკანალზე კი დათუნიას აპლიკაცია ჰქონდა მიკრული. გამომწვევი იყო მეორე მოდელიც, ვარდისფერი პერანგით, გახსნილი ჰალსტუხითა და ჩახსნილი ღილებით, რომელსაც ზემოდან მკლავებაკაპიწებული პიჯაკი ეცვა, დიდი ინგლისური საყელოთი დამშვენებული.

სანამ ვივიენ ვესტვუდი წარმოადგენდა თავის ირონიულ შოუს, მამაკაცებს ახლებური იმიჯი დოლჩე-გაბანას წყვილმა შესთავაზა. კოლექციას თან ახლდა მათთვის ტრადიციული აქსესუარები – ისეთი, როგორიც კაშკაშა თვლებით მოოჭვილი ჯვრები, ბადე სვიტერები და დიდბალთიანი ქამრებია, მაგრამ იყო დიდი სიახლეც – მილანელმა დიზაინერებმა კაცებს აბსოლუტურად ღია და ძალიან ქალური სანდლები ჩააცვეს – თითზე და ტერფზე შემოხვეული ტყავის სალტეებით. ასეთი ფეხსაცმელი სექსუალურად ითვლება ქალის ფეხზე, მაგრამ ოდნავ უცნაურად გამოიყურებოდა შარვლიან და კუნთებიან მამაკაცებზე. თუმცა, დოლჩე და გაბანა ხომ ფსონს ყოველთვის ორიგინალობასა და კონტრასტებზე დებენ. როგორც ჩანს, მათმა ექსპერიმენტმა ამჯერადაც გაამართლა და დარბაზში მსხდომი მამაკაცებიც აბსოლუტური სოლიდარობით შეხვდნენ დიზაინერების ორიგინალურ შეთავაზებას.

წყვილმა პოდიუმზე გადაიტანა ერთი ძალიან აქტუალური თემაც – ბექჰემების ოჯახი და დევიდის ისტორიული ტრანსფერი. ისე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" მადრიდში გაყიდული ფეხბურთელი დომენიკოსა და სტეფანოს დიდი მეგობარია, ეს ამბავი გასაკვირი არც იქნება. დიზაინერებმა ყველა მამაკაცს მოუწოდეს, ცოტათი მაინც დაემსგავსონ ბექჰემს და ამ შეთავაზების გასაჟღერებლად პოდიუმზე ფეხბურთელის პროტოტიპი გამოიყვანეს – ქერა მოდელი, წვრილსალტეებიანი, სრულიად ღია სანდლებით, ალაგ-ალაგ დაჭრილი, დაბალწელიანი და ჩაჩაჩული ცისფერი ჯინსის შარვლითა და წითელი ფერის მაისურით, რომელსაც უზარმაზარი ასოებით აწერია "დევიდი" და ნომერი 7. ამ მოდელში მართლაც არის რაღაც ბექჰემური. ის ზედმიწევნით მოდურია ისევე, როგორც ნამდვილი დევიდი – სუპერთანამედროვე მზის სათვალით, რკინის დიდბალთიანი, თეთრი ქამრით, მაჯაზე ოქროს დიდი ჯაჭვითა და ხელში აშკარად ქალური, თეთრი ჩანთით. ანუ, როგორც რეალური ბექჰემი, არც ეს მოდელი ერიდება მანდილოსნებისთვის განკუთვნილი აქსესუარების გამოყენებას და მიაჩნია, რომ საკუთარ მამაკაცობას, ვისაც მოესურვება, ისედაც დაუმტკიცებს და რომ ქალურმა ხელჩანთამ და ფეხსაცმელმა არავინ უნდა დააბნიოს.

ძირითადად მამაკაცებისგან დაკომპლექტებული შოუ ნამდვილად გაახალისა შილიფად ჩაცმული ევა ჰერციგოვასა და ნაომი კემპბელის გამოჩენამ. ეს ქალბატონები ვერსაჩესა და "დოლჩე&გაბანას" მოდელებს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებული ოვაციით ხალხი მაინც საცურაო კოსტიუმების ეპიზოდს შეეგება – ჰერციგოვასა და კემპბელის სხეულების ცქერა მათ არასდროს ბეზრდებათ.

ერთი სიტყვით, მილანის ეს პომპეზური ღონისძიება დიდი აქტიურობით ცდილობს გასცეს პასუხი ამ ეტაპზე ნამდვილად არააქტუალურ, მაგრამ დიზაინერთათვის მაინც მთავარ კითხვას: რა უნდა ჩაიცვან მამაკაცებმა 2004 წლის გაზაფხული/ზაფხულის სეზონზე. დოლჩე-გაბანას, დონატელა ვერსაჩესა და ვივიენ ვესტვუდის გარდა, პასუხის ინდივიდუალურ ვარიანტებს შემოგვთავაზებენ ჯანფრანკო ფერე, ვალენტინო, კელვინ კლაინი, პოლ სმიტი, "პრადა", ჯორჯო არმანი და "გუჩიც".

და, რაც მთავარია, ამ კვირაში ფლორენციის ერთ-ერთ სტუდიაში შედგება მსახიობისა და რეჟისორის, ჯონ მალკოვიჩის კოლექციის დებიუტიც. მალკოვიჩი თავის ქმნილებებს სათაურის - "ბიძია კიმონოს" ქვეშ აერთიანებს და აცხადებს, რომ მისი სავაჭრო ნიშნით გამოსული ტანსაცმელი ნიუ იორკის, ლონდონის, პარიზისა და ტოკიოს დიდ მაღაზიებში დეკემბრიდან გაიყიდება. ასე რომ, მამაკაცებს, დევიდ ბექჰემის გარდა, მოდურად ჩაცმის კიდევ ერთი "მიზეზი" აქვთ – ნიჭიერი და ძალიან სიმპათიური ჯონ მალკოვიჩის მოდით დაინტერესება.

# იუტას შტატში სნაიპერებს ეძებენ - არა მკვლელებს, არამედ ჯალათებს

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

იუტას შტატში სნაიპერებს ეძებენ – არა მკვლელებს ან სპორტსმენებს, არამედ მოხალისე ჯალათებს. ძებნა მაისის ბოლოს დაიწყო, როდესაც სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ორ ბოროტმოქმედს, რომელთაც სიკვდილით დასჯის ფორმად დახვრეტა აირჩიეს. იუტა აშშ-ს სამი შტატიდან ერთ-ერთია, სადაც დახვრეტას სიკვდილით დასჯის "ალტერნატიულ" ფორმად იყენებენ. ორი დანარჩენი შტატი აიდაჰო და ოკლაჰომაა. ამ სამი შტატიდან დახვრეტა რეალურად მხოლოდ იუტაში იყო გამოყენებული და მხოლოდ აქ მოხდა ეს სიკვდილმისჯილის თხოვნით. ოკლაჰომაში დახვრეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუ ელექტრონული სკამის ან სასიკვდილო შხამის გამოყენება ანტიკონსტიტუციურად იქნება გამოცხადებული, აიდაჰოში კი – თუ სიკვდილით დასჯის ამ ფორმებს "არაპრაქტიკულად" მიიჩნევენ (ისე გაიგეთ, როგორც გაგიხარდებათ). მართალია, აიდაჰოში ისინი ჯერჯერობით პრაქტიკული აღმოჩნდა.

შტატ იუტას ციხეების დეპარტამენტმა პატარა ქალაქ დრეიპერში (შტატის დედაქალაქ სოლტ ლეიკ-სიტისთან) არსებული ციხის სიახლოვეში და დანაშაულის ჩადენის ადგილას განლაგებულ სამართალდამცველ ორგანოებს მოხალისე სნაიპერების გამოყოფის მოწოდებით მიმართა. "ჩვენ მათ პასუხისმგებელ ადამიანთა სიის შედგენა ვთხოვეთ. ეს სტანდარტული პრაქტიკაა," განაცხადა დეპარტამენტის სპიკერმა ჯეკ ფორდმა. მას შემდეგ, რაც 1976 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა აღადგინა, იუტაში ექვსი სიკვდილმისჯილიდან ორმა დახვრეტა აირჩია (განსხვავებით ლუბიანკისგან, სადაც კეფაში მოულოდნელი გასროლით ხვრეტდნენ, იუტას შტატში დახვრეტა ძველებურად ხდება – მოხალისეთა რიგის წინ, რომლებიც შტატის ხელისუფლების მიერ სანქცირებული არიან). პირველი ამგვარად დახვრეტილი ცნობილი ბოროტმოქმედი, მკვლელი გერი მარკ გილმორი იყო. ის მთელს აშშ-ში პირველი დამნაშავე იყო, რომელიც სასჯელის უმაღლესი ზომის აღდგენის შემდეგ 1977 წელს დახვრიტეს. მეორე დახვრეტილი იყო ჯონ ალბერტ ტეილორი, რომელსაც სიკვდილი პატარა გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის მიუსაჯეს (1996 წელი).



*სიკვდილით დასჯა დახვრეტით*



*ელექტრო სკამი*

ახლა ხელისუფლებამ "დახვრეტის თხოვნა" კიდევ ორი ბოროტმოქმედისგან მიიღო. ერთ-ერთი მათგანი ტროი მაიკლ კელია, თეთრი რასის უპირატესობის მქადაგებელი, რომელმაც 1994 წელს თავის საკანში მჯდომი შავკანიანი დაკლა. მეორე რობერტო არგუელესია, რომელმაც 1992 წელს სამი გოგონა და ერთი ქალი გააუპატიურა და დახოცა. კელი 27 ივნისს უნდა დახვრიტონ, არგუელესი – 28 ივნისს, ანუ, ამ დღეებში, თუ ამას აშშ-ს უზენაეს სასამართლოში აპელაცია არ შეაჩერებს.

სიკვდილით დასჯის საინფორმაციო ცენტრის (აშშ-ში ასეთიც არსებობს) აღმასრულებელი დირექტორის, რიჩარდ დიტერის თქმით, სიკვდილმისჯილები დახვრეტას სხვადასხვა მიზეზების გამო ამჯობინებენ. ერთნი იმისთვის, რომ "სიკვდილით დასჯის ბარბაროსული არსის დემონსტრირება მოახდინონ", განსაკუთრებით, იუტას შტატში, სადაც მას ძალიან იშვიათად იყენებენ. "მაქსიმალური პაბლისიტი უნდათ", ამბობს დიტერი, "მათ უნდათ შტატის ხელისუფლება სასტიკად და სისხლისმსმელად წარმოაჩინონ და საზოგადოებაში სასჯელის უმაღლეს ფორმასთან მიმართებაში არაკომფორტულობის განცდა შექმნან. ისეთ შტატებში, როგორიც ტეხასია, სადაც სიკვდილით დასჯა ხშირი მოვლენაა, მათ დიდ ყურადღებას არ აქცევენ. მაგრამ იუტასთან შტატში ეს მნიშვნელოვანი ამბავია ხოლმე. ის საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, თუმცა შედეგი ისეთივე აქვს, როგორიც ტეხასში". მართალია, რასისტ მკვლელ კელის დახვრეტა საპროტესტო ჟესტის გამო არ მოუთხოვია. თავად ის აზრი, რომ ვიღაცამ ვენებში შხამი უნდა შეუყვანოს, მასში ზიზღს იწვევს. ასე ახსნა მისი "თხოვნა" ადვოკატმა სტეფენ მაკკოჰიმ. რაც შეეხება მოძალადე მკვლელ არგუელესს, მას თავის "თხოვნა" არაფრით დაუსაბუთებია. მან დაცვაზე საერთოდ უარი თქვა და განაცხადა, რომ სიკვდილი უნდა. არგუელესს "სიკვდილით დასჯის ფორმის არჩევის შესახებ არაფერი უთქვამს და დაკითხვაზე თავისი თვალსაზრისის გადმოცემაზე უარი თქვა".

გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი" წერს, რომ ამ ორი სიკვდილმისჯილის თხოვნებს იუტაში ჯერჯერობით განსაკუთრებული რეაქცია არ მოჰყოლია. სხვათა შორის, უწინ იუტაში ჩამოხრჩობა, დახვრეტა და თავის მოჭრაც იყო დაწესებული. კეი გილესპი, ვებერის უნივერსისტეტის სისხლის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სიკვდილით დასჯის შესახებ ნაშრომთა ავტორი ამბობს, რომ აქ თავის მოჭრა არასოდეს გამოუყენებიათ და 1888 წელს გააუქმეს კიდეც, რვა წლით ადრე, ვიდრე იუტამ შტატის სტატუსი მიიღო. მაგრამ ჩამოხრჩობა და დახვრეტა იუტას სისხლის სამართლის კოდექსში 1980 წლამდე რჩებოდა, სანამ ჩამოხრჩობა მომაკვდინებელი შხამის ნემსით არ შეცვალეს. დახვრეტას საერთოდ არ შეხებიან. 1996 წელს შერილ ალენმა, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა შტატის კონგრესის წევრმა დახვრეტის გაუქმების შესახებ კანონპროექტი შეიტანა, თუმცა თვითონ სიკვდილით დასჯის მომხრე ბრძანდება. მაგრამ სხვა რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა მას მხარი არ დაუჭირეს, და კანონპროექტი დავიწყებას მიეცა. მას შემდეგ დახვრეტის გაუქმება არავის უცდია. "ეს ხომ სისხლიანი წარმოდგენაა," აღშფოთდა ქალბატონი ალენი, "არ მესმის, ასე რატომ ვიქცევით. ვეცდები კვლავ შევიტანო ჩემი კანონპროექტი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობის იმედი მექნება. ეს ყველაფერი ფრიად უსიამოვნო საქმეა..."

მაშ ასე, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, 27 და 28 ივნისს იუტას შტატში, ქალაქ დრეიპერის ციხეში მოხალისე ჯალათი სნაიპერების გასროლები გაისმება. მაგრამ ეს ისეთი დახვრეტა არ იქნება, როგორიც მრავალრიცხოვან ისტორიულ ფოტოსურათებზე, მხატვრულ ტილოებზე ან კინოფილმებში გვინახავს – ოფიცერი, რომელიც მწკრივს ბრძანებას აძლევს: "ცეცხლი!"; ბოძზე მიბმული ან კედელთან მდგომი, თვალებახვეული ან თვალაუხვევალი სიკვდილმისჯილი. მართალია, კედელი იარსებებს, მაგრამ არა სიკვდილმისჯილთა ზურგსუკან, არამედ ჯალათების წინ. საქმე ისაა, რომ იუტას შტატის "დახვრეტის რიტუალის" თანახმად, მსჯავრდებული თავის ჯალათებს არ უნდა ხედავდეს. ისინი კედლის უკან დგანან, რომელსაც ადამიანის თავზე ოდნავ დიდი ნახვრეტები აქვს. ნახვრეტები ორ სიმაღლეზეა გაკეთებული – ადამიანის თავისა და მკერდის დონეზე. სულ ოთხი ნახვრეტია. ამდენივე იქნება მოხალისე ჯალათი სნაიპერიც. დახვრეტამდე ციხის ხელისუფალნი მსჯავრდებულის სიმაღლეს ზომავენ და კედელში ნახვრეტებს შესაბამის სიმაღლეზე აკეთებენ ხოლმე.

# არა პოპ-როკი, არამედ ქანთრი



კერის მატიუზი

რამდენიმე წლის წინათ დაშლილი კვინტეტის, "კატატონიას" სოლისტმა კერის მატიუზმა, სახელწოდებით Cockahoop, თავისი პირველი დამოუკიდებელი დისკი გამოუშვა,

კერისის თაყვანისმცემელთა გასაოცრად, ამ დისკზე "კატატონიური პერიოდისთვის" დამახასიათებელი სტადიონური პოპ-როკის მსგავსი არაფერი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად კერისი ვერსაჩეს სახლის ფავორიტი იყო და წესით, ამავე ხაზის გამგრძელებლად უნდა დარჩენილიყო.

მუსიკის გარდა, კერისმა თავისი ცხოვრების წესიც რადიკალურად შეცვალა. ევროპის პოდიუმებს ის პირადი და გეოგრაფიული მიზეზების გამო ჩამოშორდა – ამერიკელს გაჰყვა ცოლად, და ამიტომ სამხრეთ უელსის ნაცვლად ამჟამად ტენესის შტატში, პასტორალურ ნეშვილში ცხოვრობს.

ცხადია, გარემოს შეცვლამ პატივმოყვარე მომღერალს ახალი ჰორიზონტები გაუშალა. ის ქანთრის და ვესტერნის სტილმა გაიტაცა, რომელიც ევროპელი მსმენელისთვის ერთობ ეგზოტიკურად ჟღერს.

თავდაპირველად კრიტიკოსები მას "შემოქმედებითი პატიოსნების ნაკლებობაში" სდებდნენ ბრალს და არ ითვალისწინებდნენ, რომ თვალუწვდენელ ველებზე, ქოხმახებში მცხოვრები ქანთრის გმირები საერთოდ აღარ არსებობენ, და ამერიკაში ამ სტილს ამჟამად მუსიკალური სასწავლებლები ასწავლიან.

Cockahoop მსუბუქი და გულწრფელი ალბომია. მისი პროდიუსერის მოვალეობები ბაკი ბაკსტერს, ბობ დილანის ჯგუფის გიტარისტს დაეკისრა, რამაც დისკს "აუთენტურობა შეჰმატა".

ალბომში შესული სიმღერები, ძირითადად, სხვა მუსიკოსების რეპერტუარიდანაა ამოღებული. ისინი გემოვნებით არის შერჩეული და მომღერალი მათ დიდი გრძნობით ასრულებს. განსაკუთრებით წარმატებული ქანთრის დიდოსტატების The Handsome Family-ს მიერ დაწერილი Weightless Again გამოდგა.

# ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ



ბენეტონის ერთ-ერთი რეკლამა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოღვაწეობის მხარდასაჭერად კომპანია "ბენეტონმა" გლობალური კამპანია წამოიწყო, რომელიც ძალადობის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია ბრიუსელში შედგა, ის მსოფლიოს ოც ქვეყანას მოიცავს. ამ კამპანიის მიზანია საზოდაგოებრიობის ყურადღება ადამიანთა ყოველდღიური ტანჯვისკენ მიმართოს და ამგვარად თანამედროვე საზოგადოებაში ზნეობრივი კლიმატის შეცვლა სცადოს.

ომი, თვითმკვლელობა, სექსუალური ძალადობა, პარტნიორის სისასტიკე, მოზარდთა დანაშაულები, ბავშვების მიმართ უდიერი დამოკიდებულება... "ბენეტონი" ცდილობს, ჩვენი ყურადღება ფარულ ძალადობაზე გაამახვილოს, რომელიც ყველაზე ძნელი აღმოსაჩენია ხოლმე.

ძალადობა 15-დან 45 წლის ასაკამდე ადამიანების სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გამოთვლებით, რომლის შედეგებიც გასული წლის ოქტომბერში "ძალადობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მსოფლიო ანგარიშში" გამოქვეყნდა, დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ 2 233 ადამიანი თავს იკლავს, 1 425 მკვლელის მსხვერპლი ხდება და თითქმის 850 უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იღუპება. "ბენეტონის" კამპანია სწორედ იმ პრობლემებს გვახსენებს, რომელთა შესახებაც არ ვლაპარაკობთ და რომლებისგანაც საკუთარი სახლისა თუ ბინის კედლებში ვცდილობთ დამალვას.

კამპანია რვა-რვა ფოტოსურათისგან შემდგარი ორი სერიისგან შედგება, რომლებიც ძალადობის ყველა სახის დემონსტრირებას ახდენს. ეს სირცხვილის, შიშის და იმ წარუშლელი კვალის ილუსტრაციებია, რომლებსაც სისასტიკე მთელს კაცობრიობას ამჩნევს და ეს თანაბრად ეხება მოძალადეებსაც და მათ მსხვერპლსაც.

კომპანია "ბენეტონის" ჟურნალი "კოლორსი" ამ თემას მთელ გამოცემას უძღვნის. ერთობ დამთრგუნველი რამაა – ძალადობის მსხვერპლებისა და და ადგილების ამსახველი სურათები, სადაც ყოველდღიურად ძალადობის აქტები ხდება.

# დიზაინერი აზიზა

მომღერალი აზიზა ამჟამად ახალ პროფესიას ეუფლება – სამკაულების დიზაინითაა გატაცებული.

რამდენიმე ხნის წინათ აზიზა მაიამიში საიუველირო სალონის თანამფლობელი გამხდარა და ამის გამო გადაწყვიტა, რომ "ძვირფასი ჯინჯილების" შექმნას თავადაც უნდა მიჰყოს ხელი. მან უკვე რამდენიმე ორიგინალური საყურე, სამაჯური და გულსაკიდი შექმნა, ამჟამად კი ბეჭდებზე მუშაობს. მისი თქმით, "აზიზას ბეჭდების" შეძენას სულ მალე შევძლებთ.

მომღერალი დიზაინერის მთავარი სიამაყე წითელი მარჯნისა და ოქროსგან გაკეთებული საყურეები და გულსაკიდია, რომელსაც მან "შაჰერეზადა" უწოდა.

საერთოდ, აზიზას ფერად ქვებთან ურთიერთობა მოსწონს, ბრილიანტები კი რატომღაც არ უყვარს – რაღაცნაირად უსიცოცხლოაო, ბრძანა.

## კროსვორდი




იკითხეთ ყველგან
გამომცემლობა "ლიტერას"
ახალი წიგნები

დათო ტურაშვილის "გურჯი- ხათუნი და აკა მორჩილაძის "შელოქსვეობაშის თბილისი"

საიდუმლოებით მოცული ამბები, სასიყვარულო ისტორიები და ფათერაკიანი თავგადასავლები ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.